

# ଶ୍ରୀକୃତ୍ୟ ପାତାଳପାତାଳ

ମନେ ହୁଏ

(51)

902.7(ე) (= 99.9621) + 91(0.922.211)



63.5(2Γ)+26.891(2Γ)

გ 181


1) *hofs*  
2) *JohnsLoyola 1964/65*

„მთის რაჭა“ პირველი წიგნი იყო სერგი მაკალათიაშვილის, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერმა 1926 და 1928 წლებში მთის რაჭაში მოგზაურობის შედეგად დაშერა და 1930 წელს გამოქვეყნა. მისი განმეორებით გამოცემით „ნაკადული“ განავრძობს საქართველოს კუთხების ყოფილი მოწა-ცხოვრების ამსახველი იმ მონოგრაფიების გამოქვეყნებას, რომელიც სერგი მაკალათიაშვილი დაგვიტოვა.

რედაქტორი

ლ 0806 ფრუბაძე

შეიტანი ბაზოდება



© „ნაკადული“, 1987

70803 — 133

M —————— 126 — 87

M — 603(08) — 87

2022/145

## რ მ დ ა ქ ტ ო რ ი ს ა პ ა ნ

1930 წელს დაიბეჭდა პროფესორ სერგი მაკალათიას წიგნი „მთის რაჭა“, რომელიც მაშინვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ეს არის პირველი მხარეთმცოდნეობითი ნარკვევი რიონისა და ჭანჭახის სათავეებში მდებარე სამი სოფლის – ლების, ჭიორისა და გლოლის შესახებ.

ტერმინი „მთის რაჭა“ ხალხურია და სამეცნიერო ლიტერატურაში ს. მაკალათიას ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ დამკვიდრდა.

„მთის რაჭა“ სერგი მაკალათიას ერთ-ერთი პირველი წიგნია. ახალგაზრდა მკვლევარი, რომელიც ღროულად მიხვდა, თუ რა მისია ეკისრებოდა – გადაერჩინა და შთამომავლობისათვის შემოუნახა 20-იან წლებამდე მოღწეული ეთნოგრაფიული რეალიები, რაჭაში მასალებს 1926–1928 წლებში კრებდა. მას მსარდამსარ იყო საქართველოს ხსრ სახალხო მხატვარი, ღვაწლმოსილი პროფესორი, ქართული გამოყენებითი ხელოვნებისა და მხატვრული რეწვის დიდი მცოდნე და მოამავე დავით ციციშვილი. სწორედ ამიტომ, საზოგადოებამ მიიღო მშვენივრად იღუსტრიორებული და გამოცემული წიგნი, რომელიც რაჭველთა ოჯახებს აქა-იქ რელიგიად შემორჩა და მას, როგორც ეროვნულ სიწმინდეს, ისე უფრთხილდებიან. დიდი ხანია მომწიფდა საკითხი ამ წიგნის მეორედ გამოცემის შესახებ, რაც ბოლოს და ბოლოს „ნაკადულმა“ განახორციელა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ს. მაკალათიას ნაშრომთა გამოცემით „ნაკადული“ კარგ



საქმეს აკეთებს. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფი-  
ულ ერთეულთა უმეტესობა ფართო საზოგადოებამ ს. მაკილებით  
კალათიას თავდადებული, დაუღალავი შრომის შედეგად  
გაიცნო. მის წიგნებზე პატრიოტული სულისკეთებით  
მთელი თაობები აღიზარდა. ვინაიდან ჩვენთან მხარეთ-  
მცოდნეობა, როგორც მეცნიერების დარგი, ს. მაკალა-  
თიას შემდეგ თითქმის წინ აღარ წასულა, საქართვე-  
ლოს არც ერთ კუთხეზე მსგავსი გამოკვლევები არ და-  
წერილა, ამიტომ ს. მაკალათიას მონოგრაფიების ხელ-  
მეორედ გამოცემა ცხოვრებისეულ აუცილებლობად იქცა.  
ისინი მკითხველმა ახლაც გულთბილად მიიღო და დახ-  
ლებს ერთ დღესაც არ შერჩენია. ერთხელ კიდევ დავრწ-  
მუნდით, რომ სერგი მაკალათია, როგორც მკვლევარი  
და მწერალი, ერთმანეთს ავსებს და ამ ბედნიერი შერ-  
წყმის შედეგად მისი შემოქმედება ხალხის სიყვარულს  
ყოველთვის დაიმსახურებს. მეცნიერმა, მწერალმა და სა-  
ზოგადო მოღვაწემ ხალასი ნიჭითა და გასაოცარი ენერ-  
გიის წყალობით შეძლო ყოფილან სწრაფად გარდამავა-  
ლი ეთნოგრაფიული სინამდვილის ასახვა, ამიტომ, რაც  
დრო გავა, მის ნალვაწს ფასი უფრო და უფრო მოემა-  
ტება.

„ათვალიერებ მთის რაჭის „დუროიან“ სახლებს, —  
წერს მკვლევარი, — რომლის ჭერქვეშ ჯერ კიდევ ფუს-  
ფუსებენ „ჩიქილიანი“ ქალები. გიგვირს მათი სოციალუ-  
რი ყოფის ძველი ფორმების გამძლეობა და ხანგრძლი-  
ვობა, მაგრამ დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერსად პო-  
ულობთ, რადგანაც ამ მხრივ ეს კუთხე შესწავლილი არ  
არის.“

დღეს არ კმარა მგოსნის ან რომელიმე გრძნობამო-  
ჭარბებული კალმისნის, რაჭის ქოჩორა მწვერვალების  
სიღამაზით ნაკარნახევი პირადი განცდების გაზიარება. ეს სრულიად არ აკმაყოფილებს თანამედროვე მებრძოლს  
და ახალიერებით გატაცებულ მასას, რომელიც ყველგან და  
ყველაფერში აზრს ეძებს, ხელის შეხებით ცდილობს სი-  
ნამდვილის ამოკითხვას და მის აზრიან გავებას“.



მკვლევარი განაგრძობს:

„საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი ტრანსფორმაცია  
ცის პროცესში ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ მისი თითოეული  
ეტაპის რეგისტრაცია, რომ შემდეგში მათი შეჯერებით  
შესაძლებელი იყოს იმის დადგენა, თუ როგორ და რა  
სოციალ-ეკონომიკური კანონების ფარგლებში მიმდი-  
ნარეობდა ამა თუ იმ ერთს ხაზოგადოებრივი ცხოვრების  
განვითარება. ამ მხრივ რაჭის ძველი მოსახლეობის შე-  
სასწავლად უპირველესი მნიშვნელობა მთის რაჭის ებ-  
ლევა, სადაც დღემდე დაცულია რაჭული ყოფის დამახა-  
სიათებელი ზოგიერთი ძველი ნაშთები.

მართალია, კავკასიონის ამ ქედშიაც თანადროულობა  
უკვე შექრილია და თანდათანობით ანადგურებს მთიელე-  
ბის კოშკებს, დუროიან სახლებს, რწმენას და ადათ-ჩვე-  
ულებებს, მაგრამ სანამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ სრუ-  
ლიად არ გამქრალა, საჭიროა მათი ნამსხვრევების შეკ-  
რება და შეკოწიწება, რომ ისინი სამუდამოდ არ დაეკარ-  
ვოს მომავალ თაობას“.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერმა ასეთი  
სამოქმედო პროგრამა დაუსახა ხაკუთარ თავს და კოლე-  
გებს. მან პირნათლად შეასრულა ნაკისრი ვალდებულე-  
ბა, ქართული მეცნიერული მხარეთმცოდნეობის ფუძე-  
მდებელმა, ჰემმარიტმა ეთნოგრაფმა, მუზეუმთმცოდნემ,  
არქეოლოგმა და ისტორიკოსმა, ქართველ ხალხს მდიდა-  
რი შემოქმედებითი მექანიდრეობა დაუტოვა. ყველა  
ეთნოგრაფ-მკვლევარს ასე რომ მოქადა საქვეყნო ვალი,  
მაშინ ჩვენი ეთნოგრაფიული ლიტერატურა გაცილებით  
მდიდარი იქნებოდა და დავიწყების უფსკრულს ბევრი  
ეროვნული საუნჯე-საგანძური გადაურჩებოდა. ჩავლილ  
წყალს უკან ვერავინ მოაბრუნებს, ძვირფასი დრო და-  
კარგულია, „ნამსხვრევების შეკრება და შეკოწიწება“ აქა-  
იქ ახლაც შეიძლება, მით უმეტეს, რომ ქართველ ეთნო-  
გრაფთა კოლექტივი საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

სხვადასხვა სწრაფად წარმავალ ყოფით მოვლენებს  
თავი რომ დავანებოთ, სერგი მაკალათიამ სოფელ ლებში

50 „დუროიანი“ სახლი აღწერა. ზალხური ზუროთმომანი  
ვრების ეს უიშვიათესი და უბრწყინვალესი ნიმუშები განკუთხულია  
განადგურდა, გულისტკივილიც მრავის გამოუთქვამს...  
ოცდახუთი წელია ღებში შემთხვევით გადარჩენილი  
ერთადერთი „დუროიანი“ სახლის დაცვას ლამობენ, მაგ-  
რამ ამაოდ ირჯებიან, თითქოს ბედისწერის განაჩენიაო,  
სახლი მაინც უპატრონობით ინგრევა. სამწუხაროდ, მთის  
რაჭაში ასევე ხელადებით განადგურდა ს. მაკალათიას  
მიერ დიდი სიყვარულითა და რუდუნებით გამოვლენილი  
საერო თუ სასულიერო მატერიალური კულტურის მრა-  
ვალი ძეგლი.. რაც შეეხება თქმულება-გადმოცემებს, რე-  
ლიგიურ და სოციალური ყოფის თავისებურებებს, ადგი-  
ლობრივი მოსახლეობის მეხსიერებაში დღემდე ს. მაკა-  
ლათიას წიგნის მეშვეობით ცოცხლობენ.

— „ჩვენი სერგო!“ — ასე უწოდებენ მადლიერი რაჭ-  
ველები თავიანთ მემატიანეს, აწ განსვენებულ, დამაშვ-  
რალ სწავლულს სერგი მაკალათიას. ზალხის თანადგომა,  
მადლიერება და სიყვარული შემოქმედისათვის ყველაზე  
დიდი ჯილდოა.

\* \* \*

წიგნი პირველი გამოცემის მიხედვით დაიბეჭდა. გან-  
წოდა შემჩნეული კორექტურული შეცდომები.

„წიგნი სასისხლო საქმისა ბელას — ზემო სვანეთისა  
და თავად ჯაფარიძეთა შორის (1490—1503 წლებში)“  
დაიბეჭდა. პ. ინგოროვას გამოცემის მიხედვით (იხ.  
პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები,  
ნაკვეთი მეორე, ტექსტები, საქართველოს სსრ მეცნიერე-  
ბათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941,  
გვ. 31—34).

მხცოვანი ხელევანი დავით ციციშვილი ზალისით  
დაეთანხმა რედაქციის თხოვნას და „მთის რაჭის“ ახალი  
გამოცემა კვლავ მხატვრულად გააფორმა.

ლევან ფრუ ი მ ე  
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

## მ ი ნ ა ს ი ტ ჰ პ ა რ ბ ა

მთის რაჭა საქართველოს ერთი უმშვენიერესი კუთხეა, რომელიც მრავალ საუკუნეთა მანძილზე ღირსეულად დარაჯობს საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარს, ეს მხარე მოწმეა მყინვარობის ხანაში კავკასიონის ქედის მწვერვალების ფორმაციისა, რასაც დღემდე მეტყველებენ მის მიდამოში მიმოფანტული ყინვარობის ნაფარი ფორები, გასიპული და დაკაწრული ძირითადი მორენების ღორღი.

ისტორიულად მთის რაჭა შედიოდა რაჭის საერისთავოში და ამ საერისთავოს არანაკლები ღვაწლი მიუძღვის საქართველოს სახელმწიფო ფონდის თუ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება-დაწინაურებაში. ამას მოწმობენ მთელ რაჭაში მიმოფანტული ნანგრევები და დღემდე დაცული ისტორიული ძეგლები. მავრამ, სამწუხაროდ, ეს კუთხე ჯერ კიდევ შეუსწავლელია და ამიტომ მისი წარსულით და აწყოთი დაინტერესებული პირიც ამის საშუალებას მოკლებულია. ასეთი დაინტერესება კი განსაკუთრებით ზემო და მთის რაჭისადმი დღეს ერთობ დიდია, როდესაც თავიანთი სამკურნალო წყლებისა და ლამაზი სააგარაკო ადგილების გამო მათ ფართო საკურორტო პერსპექტივები ემლებათ. ზაფხულობით რაჭის ეს მხარე იზიდავს მოაგარაკებს, ალპინისტებს, ტურისტებს და სხვ. ავტომიმოსვლა უკვე გაცხოველებულია, რომელთა გუგუნით შერყეულია მყინვარ-მწვერვალების მყუდროება. სასომიხდილი და უნიათო მგზავრი ამ მამ-

კურნებელი ბუნების წიაღში ეძლევა ფიზიკურ დასვენებას, სუნთქვას სურნელოვან პაერს, ტკბება ბუნების ჰილიორთავის ტურფით და ხახაგამშრალი ეწაფება მის შეშხუნა „ვეძას“.

ბუნების ეს სიღიადე ამახვილებს დამაშვრალი ადამიანის ცნობისმოყვარეობას, რომლის თვალწინ მთის ფერდობებზე იშლება კოხტად გამწკრივებული სოფლები, რომლებსაც მაღალი მწვერვალებიდან ჯერ კიდევ ამაყად დაპყურებენ ძველი ციხე-კოშკები. ათვალიერებ მთის რაჭის „დუროიან“ სახლებს, რომლის ჰერქვეშ ჯერ კიდევ ფუსფუსებენ „ჩიქილიანი“ ქალები. გიკვირს მათი სოციალური ყოფის ძველი ფორმების გამძლეობა და ხანგრძლივობა, მაგრამ დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერსად პოულობთ, რადგანაც ამ მხრივ ეს კუთხე შესწავლილი არ არის.

დღეს არ კმარა მგოსნის ან რომელიმე გრძნობამოჭარბებული კალმოსნის, რაჭის ქოჩორა მწვერვალების სილამაზით ნაკარნახევი პირადი განცდების გაზიარება. ეს სრულიად არ აქმაყოფილებს თანამედროვე მებრძოლ და ახლის ძიებით გატაცებულ მასას, რომელიც ყველგან და ყველაფერში აზრს ეძებს, ხელის შეხებით ცდილობს სინამდვილის ამოკითხვას და მის აზრიან გაგებას. ამიტომ დიდმა რევოლუციამ აქტიურ საკითხად აქცია მხარის შესწავლის საქმე და ასეთ მიზანსაც ისახავს ახალი მეცნიერული მიმართულება მხარე თმცოდნეობა. რუსეთში მხარეთმცოდნეობას თავისი მიღწევებიც აქვს, ჩვენში კი, სამწუხაროდ, მან ჯერჯერობით ვერ იგვარა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა მხარეთმცოდნეობის მდიდარი მასალების შემცველია. ამ მხრივ როგორც რაჭა, ისე საქართველოს დანარჩენი კუთხეებიც განსწავლული მხარეთმცოდნის მოლოდინშია, რომელიც ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ უძღვნის მათ ღირსეულ გამოკვლევებს.

ჩემი ეს თხზულება მიზნად არ ისახავს ეთნოგრაფიული რაჭის მთლიანად შესწავლას, რომელიც იყოფა

ქემო, ზემო და მთის რაჭად, არამედ კვლევის ობიექტის  
აქ წარმოადგენს მხოლოდ მთის რაჭა თავისი არქაული ჰქონდოთავა  
ფა-ცხოვრებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვემო და ზემო რა-  
ჭაში თანადროულობა საკმაო სიძლიერითაა შეჭრილი. ძვე-  
ლი ყოფის სოციალური თუ ნივთიერი კულტურის ნაშთები  
თითქმის გამქრალია და მათ ნაცვლად გაბატონებულია  
ქალაქის კულტურა თავისი მოდებით, ელექტრონით, რა-  
დიოთი და სხვა. ეს პროცესი აქ თავისი კანონზომიერე-  
ბით მიმდინარეობს, რადგანაც თანამედროვე სამუშაო  
იარაღების და ელექტრონის ძალოვანობის სოფლის მე-  
ურნეობაში შეჭრა შლის რაჭის სოფლის პრიმიტიულ  
მეურნეობას და მასთან ერთად ძველ ეკონომიკურ ურთი-  
ერთობასაც. მეურნეობის ეს პროგრესული განვითარება  
შეუბრალებლად სპობს ძველი ყოფის ზედნაშენების ყო-  
ველგვარ ნაშთებს. მავრამ, ამასთანავე, პქმნის ახალ იდე-  
ოლოგიას და ამკვიდრებს საზოგადოებრივი ცხოვრების  
მანამდე უცნობ სახეს.

საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი ტრანსფორმაციის  
პროცესში ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მისი თითოეული ეტა-  
პის რეგისტრაცია, რომ შემდეგში მათი შეჯამებით შე-  
საძლებელი იყოს იმის დადგენა, თუ როგორ და რა სო-  
ციალ-ეკონომიკური კანონიერების ფარგლებში მიმდინა-  
რებდა ამა თუ იმ ერის საზოგადოებრივი ცხოვრების  
განვითარება. ამ მხრივ რაჭის ძველი მოსახლეობის შე-  
სასწავლად უპირველესი მნიშვნელობა მთის რაჭას ებ-  
ლევა, სადაც დღემდე დაცულია რაჭული ყოფის დამახა-  
სიათებელი ზოგიერთი ძველი ნაშთი.

მართალია, კავკასიონის ამ ქედშიაც თანადროულობა  
უკვე შეჭრილია და თანდათანობით ანადგურებს მთიელე-  
ბის კოშკებს, დუროიან სახლებს, რწმენას და ადათ-ჩვე-  
ულებებს, მავრამ სანამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ სრუ-  
ლიად არ გამქრალა, საჭიროა მათი ნამსხვრევების შეკ-  
რება და შეკოწიწება, რომ ისინი სამუდამოდ არ დაეკარ-  
გოს მომავალ თაობას.

ამ მიზნით, საქართველოს მუნიციპალიტეტის დახმარებით, მე

ორჯერ ვესტუმრე მთის რაჭას 1926 წ. და 1928 წ. სადაც ზაფხულის განმავლობაში შევძლები შემეგროვებული და ის მცირედი მასალა, რომელიც მოთავსებული და გა-შუქებულია ამ შრომაში.

ხალხი შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა და მისი ამორწყვაც შეუძლებელია. ჩემი ეს შრომა ამ დიდი აუზიდან მხოლოდ მცირედი ამონახაპია. და, როგორც ასეთი, უსრულოა და ნაკლული.

დასასრულ, ამ მუშაობაში შეგნებული დახმარებისა და ცნობების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ მთის რაჭის გლეხებს: ოთხმოცი წლის „ბაბუას“ მა-მუგო მახარას ძე ლობჯანიძე ძე ს, ძილა-რა (აღუკეთ) ლობჯანიძე ძე ს, ივანე პანტი-ოლაშვილი გავაშელ ს, ივანე გოგიში-შვილ ს; მოსწავლე ახალგაზრდობას: გერმანე გობეჯიშვილ ს, დემნა ლობჯანიძე ძე ს, ვა-სასი გავაშელ ს და მელიტონ ბიძი-შვილ ს.

წიგნში მოთავსებული ფოტოგრაფიული სურათები და ნახატები შესრულებულია მხატვარ დავით ციცი-შვილის მიერ.

სერ. მაკალათია  
5/V — 1929 წ.

## 1. მთის რაინის გეოგრაფიულ-ისტორიული მიმოხილვა

(მთის რაინი მდებარეობს მდინარე რიონის სათავისა და გლოლის ან ჭანჭახის წყლის შორის: ჩრდილოეთის განედის  $42^{\circ}38'$ — $42^{\circ}54'$  და აღმოსავლეთის გრძედის  $43^{\circ}22'$ — $43^{\circ}51'$  შუა. მას უჭირავს და-ახლოებით 640 კვადრატული კილომეტრი ფართობი. იგი მოქცე-ულია კავკასიონის მთავარი ქედისა და შოდა-კედელის ქედს შორის და თავისი საშუალო სიმაღლით 3 800 მეტრს აღემატება ზღვის დო-ნიდან. მთის რაინი შემოზღუდულია მაღალი მთებით: ფასის მთა — 3 787 მეტრი, გეზე — 3 870 მეტრი, ლაბო და წითელი — 4 317 მეტ-რი, წინვარგა — 4 137 მეტრი, ბურჯულა — 4 356 მეტრი, შოდა — 3 607 მეტრი და სხვა.)<sup>1</sup>

ამ მთების ფერდობები და კალთები 2 600 მეტრამდე ტყით არის მოსილი. ტყის საზღვარს მიჰყვება ალპური ზოლი, რომე-ლიც სუბალბების მდელოების მთლიანი ხალითაა დაფარული<sup>2</sup> და ზაფხულობით საკვებს აძლევს რამდენიმე ათას სულ საქონელს. შემდეგ იწყება ტიტველი კლდეები და თოვლ-ყინულიანი დაწვე-ტილი მწვერვალები. ეს ყინვარები ასაზრდოებენ რიონის სათავის ტოტებს: ჩვეშურას, ნოჭარულას, ჭანჭახს და სხვა, რომლებიც უხ-

<sup>1</sup> ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ტფილისი, 1904 წ., გვ. 281—288; პროე. ალ. ჭანჭახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, გეომორფოლოგია, ტფილისი, 1926 წ., გვ. 50—64.

<sup>2</sup> В. В. Маркович, О поездке к истокам Ардона и Риона (Труды Юрьев. Ботанич. сада, II, 1901 г.); მიხევა, В верховьях Риона и Ардона (Зап. Рус. Географ. о-ва, XXXVIII, № 3, СПБ. 1906); И. К. Сердинский, очерк растительности Рионского бассейна (Зап. Новорос. о-ва Ест. т. II, 3. Одесса, 1874); ა. ა. გროსბეიმი, დ. ი. სოსნოვსკი, ბ. ი. ტრიოცკი, საქართვე-ლოს მცენარეულობა, ტფილისი, 1928 წ., გვ. 48—50.

ვად რწყაცვენ ამ ხეობას და რიონს ერთვიან. ჰავა ტყისა და მდინარეების ველისაა. აქ წლის განმავლობაში ცივი ამინდებია (წლის სწორულებულების ტემპერატურა 5°-ია), ზამთარი კი ძლიერ ცივია და თოვლის ტემპერატურა ვებიანი. იანვრის ტემპერატურა ( $-12^{\circ}$ )-დან ( $-18^{\circ}$ )-დე, გაზაფხული ცვიან დგება, შემოღვომა აღრე. ზაფხული გრილია და მოკლე. (ივლისის ტემპერატურა 10°-დან 14°-დეა). ატმოსფეროს დანალექის რაოდენობა 1000 მილიმეტრს აღწევს და უმთავრეს და თოვლის სახით მოდის.

კავკასიონის მთავარი ქედი აქ ჭანჭახის მთასთან საკმარისად დაბლდება — 2 850 მეტრს უდრის და ჰემის ჭანჭახის ან მამისონის გადასავალს, რომელიც იერთებს რაჭა-იმერეთის გზატკეცილს (ეგრეთ წოდებული, ოსეთის სამხედრო გზით) არდონის ხეობის გზატკეცილთან. ამ მთავარ გადასასვლელთან, რომელსაც მოელი რაჭისათვის უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, არსებობენ აგრეთვე საცალფეხო ბილიკებიც. მაგალითად, სოფ. ლებიდან და გლოლა-ჭიორიდან კირტიშოს, ლრჯამის და ნოწარის ბილიკებით რაჭველები დიგორში გადაჭიან. ამ გზებს ეხუშტი ასე იგვიწერს: „რიონის სათავიდან გარდავალს გზა კავკასზედ გლოლას, სადა არს კავკასის ძირში, დიდს მაღალს კლდესა შინა, ქვაბნი გამოკვეთილნი დიდ-დიდნი. მოგზაური მივალს მის ქვაბსა და დილას წარვალს, ჩავალს გლოლას. ეგრეთვე მუნიდამ მოსული, მუნ განისვენებენ დაშრომისათვის. და მეორის ამის რიონიდამ გარდავალს გზა ლებს. არამედა ამ გზებზე ზაფხულის ცხენით ვლენან, გარნა ჭირითა დიდითა, და თუინიერ ზაფხულისა — ვერც ქვეითნი“ (იხ. მისი სიქარ. გეოგრაფია, გვ. 193 — 194).

მთის რაჭა შეიცავს ლებისა და გლოლის თემს და შესდგება სამი სოფლისაგან: ლები (1550 მეტრი), ჭიორი (1500 მეტრი) და გლოლა (1400 მეტრი). მისი მოსახლეობის რაოდენობა 1926 წლის სტატისტიკური აღწერის<sup>1</sup> მიხედვით ასეთია:

სოფ.	კომლი	მამაკაცი	დედაკაცი	სულ
ლები	414	1376	1445	2821
ჭიორა	207	638	763	1401
გლოლა	101	434	487	921

<sup>1</sup> იხ. მოსახლეობის სტატისტიკა აღწერა 1926 წლ. ტურისი, 1929 წ.

შეჯამებით მთის რაჭის მთელი მოსახლეობა შედგება სულისაგან. დასავლეთით მას საზღვრავს რაჭა-სეანეთის ქედისა და უმაღლესი მწვარვალები ჭუთხარა და ლაფიშუარი 3 500 მეტრს სჭარბობენ. აქ არსებობს ორი საცალფეხო გადასავალი. ერთი ფასის მთის გადასავალი მარყალში და მეორე კი ვაცის წვერით სვანეთში. ჩრდილო-აღმოსავლეთით მთის რაჭას საზღვრავენ: ოსეთი, ყარაჩა და ბალყარეთი. სამხრეთით მთავარი გზატკეცილი მას აერთიანებს რაჭა-იმერეთთან და მთელ საქართველოსთან. ამგვარად, მთის რაჭა სოლივითაა შეჭრილი და მიბჯენილი კავკასიონის მთავარ ქედს და ჰქმნის რაჭის კავკასიონს.

მისი გეოგრაფიული მოხაზულობის ეს რელიეფი ერთგვარ დაეპვებას იწვევს მთის რაჭველების აბორიგენობის შესახებ, რომელი საკითხიც უშუალოდ დაკავშირებულია თვით რაჭველების დასავ-



ლებმი აღმოჩენილი ბრინჯაოს ბალთა

ლეთ საქართველოში გადმოსახლების პრობლემასთან. სამწუხაო ფერები ეს კუთხე არქეოლოგიურად და ისტორიულადაც ჯერ შეუძლია და ამიტომ ძნელია ამაზე რაიმე გარკვეული მოსაზღვეების გამოთქმა. მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის აღმოჩენები, რომლებსაც აღვილი აქვთ მთის რაჭაში, აშკარად უჩვენებენ, რომ დებში, ჭიორაში და გლოლაში აღამიანს უცხოვრია ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, რამდენიმე საუკუნით ქრისტეს წინ. ამას მოწმობენ სოფ. ლების მახლობლად, რიონის მარცხენა მხარეზე, აღვილ „ბრილში“ აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის ქვის ყუთის აკლდამები. დღეს ეს აღგილი ეკუთვნის ოყა ჯიგოვნთ ლობჭანიძეს, რომელსაც მიწის ხვნის დროს არაერთხელ გაუხსნია აღნიშნული აკლდამები. ერთი ასეთი აკლდამიდან, რომელიც, მისივე სიტყვით, ქვის ბრტყელი ფილაქნებისაგან ყოფილა შემდგარი და მიცვალებულის შემკული ნეშტი სვენებულა, მას ამოუკრეფია თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამკაულები, ქანდაკებები და მძივები) ამ ნივთების უმეტესი ნაწილი მას კავკაზში გაუყიდია, მხოლოდ მძივები და ერთიც ბრინჯაოს სამაჭური ინახება საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში № 18—26/1. შემდეგ, ფრიად საყურადღებოა ავრეთვე 1928 წელს სოფ. ლებში, აღვილ „შოშეთში“ აღმოჩენილი ბრინჯაოს ბალთა, რომელიც მიცვალებულს წელზე ჰქონია.<sup>1</sup> ამ ბალთაზე ლამაზი ხელობით გამოსახულია ლაგამამოდებული ცხენი, რომელსაც ზურგზე ხარი აზის და ფეხებში უტევს მყეფარი ძალლი.

ასეთივე ტიპის რამდენიმე ბალთა, სოფ. ლებში ნაპოვნი, შემთხვევით შეუძენია გრაფ. უვაროვას და ლებში თავისი მოგზაურობის დროს მას ვერც მისი აღმომჩენი და ვერც აღმოჩენის აღვილი უპოვნია. <sup>2</sup> ამიტომ აღნიშნული ბალთების ლებში აღმოჩენის სინამდვილე მას ეჭვის ქვეშ აქვს დაყენებული. „შოშეთის“ ეს აღმოჩენა კი ფანტაზის ამგვარ ეჭვებს და აღასტურებს მათ სინამდვილეს. აღსანიშნავია, რომ მსგავსივე ბალთები ჩვენში ჯერჯერობით აღმოჩენილია: საელიოში (რაჭა), იქოთში (ქართლი), სურამში, მანგლის-

<sup>1</sup> აკლდამა აღმოჩინა ვაინილ გობეგიშვილი. ბალთა შემოსწირა საქართველოს მეზეუმს გერმანე თელორეს ძე გობეგიშვილშა, საღაც ის ინახება №13—28/1.

<sup>2</sup>. Материалы по Археологии Кавказа, вып. VIII, Москва, 1900 г. გვ. 349—355, ტაბ. CXXXIV.

ში და თრიალეთში. უცელა ამ ბალთაზე სხვადასხვა ვარდული /  
მხატვერულად გამოსახულია ფანტასტიური ცხენი, ირემი დაქართულია  
ზოგ მათგანს ნუკრი ან ფრინველი სწოვს, ზოგს კი მაძებაში უდიდესია  
ლი უყეფს და სხვა.


ბალთის ამ სახეების გამოსაცნობად წამოყენებულია არაერთი  
მეცნიერული პიპოთეზა,<sup>1</sup> მაგრამ მათი საბოლოო ამოკითხვა მეც-  
ნიერებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს. მით უმეტეს, რომ ამ ცხოვე-  
ლების კულტთან დაკავშირებული ქართული ხალხური რწმენისა  
და რიტუალის გამოყენებით ჯერ არავინ ცდილა ამ ბალთების  
მეცნიერულ გარკვევას, რომელსაც შეუძლია მათ საიდუმლოებას  
ერთგვარი შუქი მოჰყინოს.

『 შემდეგ, არქეოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებოა ავ-  
რეოვე ჭიორის მიღამოში მდებარე იდვილი „შხიროლი“, სადაც  
ჩნდება უფრო გვიანდელი დროის, ქრისტიანობის ხანის, სხვადასხვა  
ნივთები და სამკაულები. ერთი სიტყვით, ამ მცირეოდენი არქე-  
ოლოგიური ოღმოჩენების მიხედვით მაინც ირკვევა, რომ მთის  
რაჭა უძველესი დროიდან დასახლებული ყოფილა, მაგრამ ამ მო-  
სახლეობის ვინაობის გამორკვევა ჯერგერობით მეტად ძნელია. მხო-  
ლოდ შემდეგში, როგორც ეს ისტორიული ცნობებიდან<sup>2</sup> და გვიგ-  
რაფიული სახელების ნომენკლატურიდან ირკვევა, დღევანდელი  
მთის რაჭის ტერიტორიაზე სვანური მოსახლეობა გავრცელებულა  
და კავკასიონის მთელი ეს კუთხევა XV საუკუნის პირველ ნახევარ-  
ში სვანეთს ჰკუთვნებია. ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული ერთი  
ფრიად საყურადღებო, 1432 წლის ალექსანდრე მეფის სიგელი,<sup>3</sup>

<sup>1</sup>. Граф. Уварова, Мат. по Арх. Кавказа, т. VIII, გვ. 350—355; А. А. Миллер, Изображение собаки в древностях Кавказа (Изв. Рос. Акад. Ист. Мат. Культуры, т. II, გვ. 287); И. И. Мещанинов, Закавказские поясные бляхи (сбор. Мат. для опис. местн. и племен. Кавказа, вып. 45, Махач-Кала, 1926, г., გვ. 195—232).

<sup>2</sup> ისტორიული ლეონტი მროველი მმობას: „დალოეთიდან ვიდრე ეგრისამდე ... არს სვანეთი“ (ინ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის გარიბინტი, ტფილ., 1906 წ. გვ. 23); ივ. ჭავახიშვილი, ქართველი ერთს ისტორია, ტ. II, ტფილ., 1914 წ. გვ. 312.

<sup>3</sup> სარგის კავაბაძე, სვანეთი XV საუკუნეში, შერილები და მასალები საქართ-  
ველოს ისტორიისათვის, ტ. I, ტფილ., 1914 წ., გვ. 126—131; ეგნ. გაბლიანი,  
თავისუფალი სვანეთი, ტფილ., 1927 წ., გვ. 12—18.



სოფ. ღები 1830-იან წლებში.

სადაც მოთხრობილია ამ კუთხის სისხლიანი თავგადასავალი. იმ, ამ სიგელის ტექსტიც:

„... მოუკედით და იქცენი ბიძანები თვალია და ივანე მოგუეშივნეს და შეგუებნეს. მოგუერია ცოდვა, ეშმაკის მანქანებითა შემოგუერივნეს. მერმე დაგუიშვეთ მტერობა თქუენ ჭაფარიძემან სარგის და ოლარც გაგუიშუით საჯამარიროდ, ოლარც რაჭას და ლეჩხუმს სამუშირაოდ გამოგუიშუით. შუიღს წელიწადს ასრე ვიყვენით, რომე სრულიად სუანეთის ქუეყანქა საზიარებელს ცელაზ ვიშოვებდით და არც ვის მარილის გემო გუინახავს. მერმე მიგუჭირდა და ოლარა ღონე გუქონდა, შევიყარენით და ოთხასი საპალნე ცხენი წამოვიტანეთ, თუითოს. ცხენსა ოროლი კაცი წამოვჰყევით.

ჩამოვედით ლეჩხუმს და რაც სივაჭრო გუახლდა, გავპყიდეთ და ვისაქმეთ. ივპკიდეთ ლუინო და წამოვედით. თავი მორქემული გუეგონა, ოლარას მოველოდით. თურმე კუჭაძე და ლაშხიშვილი შემოჩენილი გუყუა. როგორც ჩუენ სავაჭროდ ჩამოვედით, კუჭაძესა და ლაშხიშვილს თქუენთუის კაცი გამოეგზავნა, თქუენ სრულიად რაჭელნი შეგეყარა და ასრე მოსულიყვენით რეხტაშიგა, რომ ჩუენ

თქუენი მოსლვა ვერათ საქმით ვერ შევიტყევით. წინათ ჟენერალი დაგუხუდით, უკანით კუჭაიძე, ლაშხიშვილი, ინასარიძე და ემილ მარიამ განიძე მოგუეწივნეს, გვიყავით წინა უკანა და დაგვკოცეთ ჰუცუმაშვილი გრწყუატეთ. რვასის კაცისაგან ოთხასის მეტი აღარ მოვრჩით. ეს ყუელა კაცი დაგუკოცეთ და ოთხასი ცხენი, ყველას ღუინო ეკიდა, მისის საპალნით წიგუართუით.

ამას გარეთ სხუა მრავალი მტერობა გუიყავით და ვერსით საჯამაგიროდ ვერ გაეცარენით, ამისი ღონე ვერ დავდევით, რომ გზა გუეშოვნა. ასი სუანი დვალეთისაკენ გავიპარენით, კახეთის საჯამაგიროდა წავედით. მის წასლვა ვერ შეგუიტყევით, და მერმე შინისაკენ რომ შემოვიქეცით, იმავ დვალეთზედ წამოვედით, — დაგუხუდით გლოლას და ჭიორასა შუაზედან და მოგუიქირეთ ჰელთა, დაგუძარცუეთ, ასის კაცისაგან ორი მოამბედ გაუშუით, სხუა ყუელა ტყუედ წაგუასხით, ჩუენის მონაგებიანად ონს მიგუასხით, საქონელი სალაროში შეიტანეთ და ჩუენ დარჭილნი, საბრალონი, სალორესა და საბატეში შეგუყარეთ. ნააღდვომევიდალმა ენკენის-თუემდის იმაშიგ ტყუედ ვიყვენით. ღონე აღარა გუქონდა, დავიქ-სენით თავი და თუითო კარგი აბგაჩი ჩუენის თავის საკსრად გამოვიდეთ და გარჯილი სული ამით შევირჩინეთ.

სხუა რასდენი ჭირი და მტერობა გარდაგუეკიდა, კაცის ენა როგორ იტყუის. ვიყუენით სრულიად ეცერს აქეთ რაც სუანეთი არის თორმეტს წელიწადსა ასრე შეწყუდუელნი, რომ ვერც კახეთისაკენ ვიშოეთ საჯამაგირო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერც გურიისაკენ, ვერც ვიმ(უ)ჩირეთ. და მერმე შევიყარენით სრულიად სუანთ ჩენილები და ვენენით ვაზირობა. მივედით ეცერს, რუჩაგიანსა და დადიშკელიანსა შევეხუეწენით და დადიანთან გავგზავნეთ. შევეხუეწენით დადიანს მამიასა და ცხრა ჭორი გაუგზავნეთ. ამისი აჯა ვსთხოეთ, რომ მეფეთა-მეფეს პატრონს ალექსანდრესთან აჯა ეთხოვნა.

ლმერთმან გაუმარჯოს პატრონს დადიანსა, ჭყონდიდელი გაეგზავნა და შეხუეწოდა ალექსანდრე მეფესა, ეაჯებინა და ეპატივებინა ბატონის დადიანისათუის, და ასრე ებრძანა მეფეთა-მეფესა პატრონსა ალექსანდრეს, თუ ჯაფარიძისთანა თავიდი რაჭას არა მყავსო; თუ ჯაფარიძის სისხლს გარდიქდიანო, სუანთ გზას მივცემო და ჯაფარიძეთაც ჩამოვკსნითო, თუ არა ჯაფარიძის საქმეს

არ გარდავსწყუეტო, გაფარიძენი უბრალოდ და კოცესო, მაგრა მძლავრნი კაცნი არიანო და სრულიად რაჭელნი და ლექსი მიზანში დამეკარგუიანო. და თუ იმ გაფარიძის საქმეს გარდასწყუეტებო, მოიყენე კარსა და რა რიგადაც სჯობდეს და ემართებოდნენ, გაფარიძესაც გარდაუწყუეტონ და შემოვიწყობთო.

ამაში გამოვდა ხანი და მივეღით დადიანთან სრულიად ჩენილები. წამოგუიძლუა თუითან ბატონი დადიანი და გეგუს მივეღით. შეიქნა საქმობა და სანახშირე გუთხოეს გაფარიძეთა. დასხდეს თუითან მეფეთ-მეფე პატრონი ალექსანდრე და დადიანი ბატონი მამია, ფალავანდიშვილი ზუიადი, ჭილაძე ლომქაცი, ერისთავი კახაბერი, ამირეჯიბი რამინ და ფალავანდიშვილი ფალავანდი. ქნეს მოკითხული და სიგელიც მოატანინეს გაფარიძეთა. და მეტად უზომოდ დიდი სისხლი და სანახშირე ეწერა. ამაზედა იანგარიშეს და (...) ასი კაცი მოეკლა გაფარიძეთა და სხუა მრავალი ავი დამართებოდა გაფარიძეთაგან სუანთა; დაუდევით სიგელი სუანთა და გარდაიკადეს.

და მივაცემინეთ ლაშეთს სოფელი და ციხე, ხერიას ცხრა კუამლი კაცი, და ერთი მომცრო მონასტერი წმიდის გიორგისა თექუმეტით ჭვარ-ხატითა, ოთხთავითა, საწინასწარმეტყუელოითა, მარხუანითა, ტიბიკონითა, სტოდიელითა.

ამას გარეთ მოგეცით ოსეთის პირად მთიულეთს ხილურას ოცი გლეხი, ერთი კარგი ციხე, ორი მონასტერი: ერთი დიდი გუმბათიანი მთავარანგელოზთ მონასტერი ორით დიდით ოქროს ხატითა, ოცდაოთვრამეტითა სხუა დიდით ხატითა, ოთორმეტით ოქროისა და ვეცხლის კანდლითა, მისით სამონასტრო წიგნებითა. — დიდით გულანითა, ოთხთავითა, სამოციქულოითა, საწინასწარმეტყუელოითა, მარხუანითა, მეტაფრასითა, დავითითა, დავითის თარგმანითა, ოთხთავის თარგმანითა, ენქეროსნით წინამძღვრითა; მეორე წმიდის გიორგის სახანის ღილი სიონი მონასტერი, ოცდათორმეტით ჭუარ-ხატითა და ოც სამონასტრო წიგნი არის მით სრულიად გათავებული, და საბატონო დეკანოზი; წინამძღვარს ორი კუამლი კაცი და დეკანოზს რვა კუამლი კაცი.

ამის გარეთ იქივ ხილურ(ა)ს ერთი აზნაურ-შვილი სოსავიძე, მისითა ციხითა, ოთორმეტი კუამლი კაცითა.

სხუა მთიულეთს ციხე და სოფელი (ბ)რილი, ოცდაოთხი კუამ-

ლი კაცი, ერთი ეკლესია თხუთმეტით პატიოსნით ხატითა და მისი  
წიგნებითა სრულობით შემკობილი.

თექვარეშოს თექუსმეტი კუამლი კაცი და ციხე სხუა, და მომავა  
ძე ლომი მისით ციხითა, ორმოცით კუამლით კაცითა.

ზედ — ქალაქება კარგი საბატონო გუმბათიანი საყდარი ჭუარც-  
მისა საეფისკოპოზო მისით მოტუარმარგალიტულით ომფორითა  
შემკობილი, რაც ეფისკოპოზისა და იმისთანა საყდარს ეკადრების,  
იმისთანას წიგნებით სრულად გათავებული, ასის კუამლით კაცითა.

და ღებს ორი აზნაურიშვილი გიგაშვილები მისით ციხითა და  
სამოცდა თორმეტით კუამლით კაცითა.

შოდას წმიდის გიორგის ეკლესია და სოფელი, ოცდახუთი კუ-  
ამლი კაცი და ციხე.

ჩუეშოს ციხე და შუიდი გლეხი.

ვიორას ციხე და სოფელი, თექუსმეტი კუამლი გლეხი.

ბუბას კარგი ეკლესია, ციხე და სოფელი, — ეკლესია კარგის  
ჭუარ-ხატითა, ოცდახუთი გლეხი.

სხუა ღების შესავალი სოფლები.

ჭუმლად ოთხასი კუამლი კაცი.

სამი საშავარდნე სხუა, ყოვლის დღის სანადიროები საჯინვე,  
ზოგხითო, კირტიშო, ედენ, გილოინა, რიონის სათავე, სხუა სა-  
ნადიროები. არჩუისა.

ამ მამულს გარეთ სამასი სამანქანური და ზედალური აბჯარი,  
სამასი ვეცხლის ჭურჭელი: სურა-თეფში, ჩორლათო და თასი, ვე-  
ცხლის ტაშტი, წურწუმა, კახთ მეფის ნაპარევი.

ამას გარეთ სამასი დიდი და სუბუქი ჭუაბი, სამასი ჭორი, სამა-  
სი კარგი ულაყი.

ამას გარეთ ვეღარა ამოგივედით, არ შეგუჯერდით, ამისათუის  
რომე თქუენი სწორი კაცი სუანეთს არ იყო, და სხუა ვეღარა  
ღონე ვქენით, სრულად სუანთა ეცერს აქათ ყუელმან თქუენი  
ბაჟი დავიდევით, სრულად მულახელთა და მულაბის შესავალთა,  
ლატარელთა და ლატარის შესავალთა, უშეკულელთა და უშეკულის  
შესავალთა.

აშე მოგუიკენებია გლოლის ზედათ, ცენას ქით, ოსეთს აქათ,  
სრულად მთიულეთის თემი, მათით სამართლიანითა მთითა, ბარი-  
თა, საყდრებითა, წყლითა, წისქუილითა, სათევზოითა, სანადი-



### მოხუცთა ჯგუფი

როითა, ველითა, სათიბითა, მისითა მიმდგომითა შართლით სამართლიანითა საძებრითა და უძებრითა მისით ყოვლითა. გქონდეს მკუიდრად და სამამულოდ თქუენ ჭაფარიძესა სარგისა, აბესალამს და ვამიყს. ვინც ეს მოგიშალოს და შეგიცუალოს. წყეულიმც არის აქა და მერმესა მას საუკუნესა, ორთავე ცხოვრებათა შიგან. ან თემისაგან, ან ბაჟისაგან, სადამდის სუანეთი იქსენებოდეს, ან ჭაფარიძის გუარი იყოს ან იქსენებოდეს, ვინც შეგიცუალოს, ან მოგიშალოს, — შემცაიცულების ქრისტიანობის სჯულისაგან, რისხაეს-მცა მამა. ეკე და სული წმიდა. აწე გქონდეს მკუიდრად სამამულოდ ჭიდროთა(ს) ზედათი, და გლოლას ზედათი, სუანეთს იქით, ოსეთს აქათი, სრულად მთიულეთი ოთხასი კუამლი აზნაურ-შვილიანად, გლეხიანად. სრულად ეცერს აქათ რაც სუანი იყოს, ყუელამან ბადი

(მოგცეს). ვინც ან ამ მთიულეთს დაგეცილოს, და ან ბაესა, ამის პირისა და პასუხის გამცემი ჩერენ სრულად სუანი ვიყვნეთ. პილეობითია

ამის გარეთ სააღაპოდ მოგაჯენეთ სამასი ნებიერი, ათასი ცხუარი და სამასი ლიტრა სანთელი.

დაიშერა წიგნი ესე ქრონიკონს რ(ჟ) და ერთსა, კელითა ფრიად ცოდვილისა ცალავანდიშვილის ცალავანდისითა. მოწამეცა ვარ ამ საქმობისა“.

ამ სიგელში მოთხრობილია სეანების მიერ რაჭის ერთ-ერთი ფეოდალის ჯაფარიძის მოკვლის შემთხვევები, რასაც სეანებსა და ჯაფარიძეებს შორის გამოუწვევია დაუსრულებელი შფოთი და სისხლის ღვრა. ჯაფარიძეებმა სეანებს ოურმე ყველა გასავალი გზა შეუკრეს, რომლის შესახებ სიგელში ნათქვამია: „ვიყუენით სრულიად ეცერს ქეთ რაც სეანეთი არის, თორმეტს წელიწალსა ასრე შემწყვდეულნი, რომ ვერც კახეთისაკენ ვიშოვეთ საჯამავირო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერც გურიისაკენო“. უმუშევრობით და განსაკუთრებით უმარილობით სეენიბი მეტად შეწუხდნენ: „სრულიად სეანეთის ქვეყანასა საზიარებელს ვეღარ ვიშოვებდით და არცა ვის მარილის გემო გვინახვესო“. ამავე დროს ჯაფარიძეები სეანებს ყველგან უსაფრდებოლონენ, ძარცვავდნენ და შეუბრალებლად ხოცავდნენ. სარგის ჯაფარიძე სეანებისავინ სისხლის დიდ საზღაურს მოითხოვდა, რომლის გადახდა სეანებს უძნელდებოდათ, მაგრამ მთებში გამომწყვდეულს და ჯაფარიძეებისაგან გარემოცულ სეანებს სხვა გზა არა ჰქონდათ რა—რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, მაინც კიდევ მორიგება არჩიეს. ამ მიზნით „დასხდეს თუითან მეფეთ-მეფე პატრონი ალექსანდრე და დადიანი ბატონი მამია, ფალავანდიშვილი ზვიადი, ჭილაძე ლომქაცი, ერისთავი კახაბერი, ამირავიბი რამინ და ფალავანდიშვილი ფალავანდი“. დიდებულთა ამ კრებულს უკისრია საქების გარჩევა და სისხლის საზღაურის დადგენა. „ქნეს მოკითხული და სიგელიც მოატანინეს ჯაფარიძეთა და მეტად უზომოდ დიდი სისხლი და სანახშირე ცწერაო“.

შემდეგ ჩამოთვლილი და დაწვრილებით აღნუსხულია ყველა ის ადგილი და ძვირფასი ოქრო-ვერცხლის ხატები და ნივთები, რომლებიც სეანებს სისხლის საზღაურში ჯაფარიძეებისათვის გადა-

უციათ. „დაუდევით სიგელი სვანთა და გარდაიხადეს და მოვარდ-  
მინეთ ლაშეეთს სოფელი და ციხე, ზიარას ცხრა კუამლი ჭავლის  
ერთი მონასტერი (ჩამოთვლილია მისი განძეულობანი). პირველ  
რათ მოგეცით ოსეთის პირად მთიულეთს ხიდური ას ოცი გლეხი,  
ერთი კარგი ციხე და ორი მონასტერი. შემდეგ მთიულეთის ციხე  
და სოფელი ბრილი ოცდაოთხი კუამლი კაცი, თევარეშოს თექუს-  
მეტი კუამლი კაცი და ციხე სხუა და ორიშიძე ლომი მისითა  
ციხითა, ორმოცი კუამლი, კაცითა, ზედა ქალაქსა კარგი საპატიო  
გუმბათიანი საყდარი ჭავარცმისა (ჩამოთვლილია მისი განძეულო-  
ბა). ღებს ორი აზნაურიშვილი გიგაშვილები მისით ციხითა და  
სამოცდათორმეტი კუამლი კაცითა. შოდას წმიდის გიორგის ეკლე-  
სია და სოფელი ოცდახუთი კუამლი კაცი და ციხე; ჩუეშოს ციხე  
და შვიდი გლეხი; ჭიორას ციხე და სოფელი, ამასთანავე სიგელში  
ნაჩვენებია ამ გადაცემული ადგილის საზღვრები: „აწ, მოვვისხე-  
ნებია გლოლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქათ, სრულიად მთი-  
ულეთის თემი მათით სამართლიანითა მთითა, ბარითა, საყდრები-  
თა, წყლითა და წისქვილითა, სათევზითა, სანალიროთა, ველთა, სა-  
თიბითა და მისითა მიმდგომითა... გქონდეს მკვიდრად და სამამუ-  
ლოდ თქუენ ჭავარიძესა სარგისს, აბესალომს და ვამისა... აწე  
გქონდეს მკუიდრად და სამიმულოდ ჰიდროთას ზედათი, და გლო-  
ლას ზედათი, სვანეთს იქით, ოსეთს აქათ, და სრულიად მთიულე-  
თი ოთხესი კუამლი აზნაურიშვილიანად, გლეხიანად. სრულიად  
ეცერს აქათ რაც სვანი იყოს, ყველამ ბიუი მოგცეს. გიბელნიეროს  
ღმერთმან, როგორც ნასისხლარსა მართებდეს, ვინც ან ამ მთი-  
ულეთს დაგეცილოს და ან ბაჟსა, ამისი პირისა და პასუხის გამცემ-  
ნი ჩუენ სრულიად სვანნი ვიყვნეთ. ამის გარეთ სააღაპოდ მოვახ-  
სენებო სამასი ნებიერი, ათასი ცხვარი და სამასი ლიტრა სამთე-  
ლიო“.

ამგვარად, ამ სიგელის მიხედვით სვანებს სისხლის საფასურში  
ჭარაფიძეებისათვის დაუთმიათ ქვემო სვანეთიდან ლაშეთი და მთე-  
ლი დღევანდელი მთის რაჭა. ასეთი საქმიანდ ფართო და სვანეთი-  
სათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაკარგვა, რასაცვირველია,  
მხოლოდ მესისხლეობით არ უნდა აისხნებოდეს და თვით ეს ფიქ-  
ტიც სვანებსა და რაჭელებს შორის არსებული გამწვავებული პო-  
ლიტიკურ-ეკონომიკური დამოკიდებულების შედეგი უნდა ყოფი-

ლიკო. მით უმეტეს, რომ ამ ხანებში რაჭის მომრავლებული მოსახლეობა თანდათანობით რიონის სათავეებისაკენ იწევდა და კავკაციური ინის ქედს უახლოვდებოდა.

გარდა ამისა, რაჭის საერისთავოს ჩრდილოეთიდან მუდამ ემუქრებოდნენ სვანები და ჩრდილო კავკასიის მთიელები, ამიტომ ზურგის მეტი სიმტკიცისათვის საჭირო იყო კავკასიონის ამ ქედის და მისი ყველა გასავალი ბილიკის ხელში ჩაგდება, რომლებსაც უკვი სვანები ფლობდნენ. ამ მიზნით რაჭის მოსახლეობის ჩრდილოეთით გაწევის პროცესი უნდა დაწყებულიყო XII საუკუნიდან, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ზრდამ ხუთ მილიონს გადააჭარბა. ამ ზრდაში, უეჭველია, როგორც დღეს, მაშინაც მეტ უნარიანობას და ნაყოფიერებას რაჭა იჩენდა და ამიტომ მისი მოჭარებული მოსახლეობაც რიონის სათავისაკენ იწევდა. ამას მოწმობენ, სხვათა შორის, რაჭის ამ მთიელებში დღემდე დაცული თქმულებები სოფ. გლოლისა და ზოგიერთი აქაური ეკლესის თარიღ მეფის მიერ აშენების შესახებ.

ალნიშნული სიგელიდან ისიც ირკვევა, რომ XIV საუკუნეში რაჭის აზნაურებს აქ ფეხი მაგრად მოუკიდიათ, როგორც, მაგალითად, ხოხავიძეს, არიშიძეს, გაგაშვილებს და სხვა. ამ აზნაურებს მისდევდნენ მათი ერთგული ყმებიც და ამგვარად მთიულეთში თანდათანობით იჭრებოდა რაჭული მოსახლეობა. და ეს აჭრელებული კუთხეც XV საუკუნეში საცილობელ საგნად გამხდარა რაჭისა და სვანეთს შორის. გარდა ამისა, ეცერს აქეთ, ეგრეთწოდებულ თავისუფალ სვანეთში, ამ დროს ბატონყმობა არ იყო. აქ კი, მთიულეთში, რაჭის ფეოდალებს მთელი ეს კუთხე ბატონყმობის უღელში შეუბამთ.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ XV საუკუნიდან დაიწყო ჩვენში ბატონყმობის გაძლიერება და ფეოდალები ცდილობდნენ თვით კავკასიონის ქედზე მობინაღრე ქართველი მთიელების დამონებას. ამ განხრახვით ფეოდალებმა პირველი იერიში სვანეთზე მიიტანეს. ჩრდილოეთით მას დადეშქელიანები უტევდნენ და ეს მხარე ბეჩომდე კიდევაც დაიმორჩილეს. ქვემო ან ცხენის წყლის ხეობიდან სვანეთს დადიანი და მისი მოყმე თავადები ებრძოდნენ და ეს კუთხეც დაიმონეს. ამავე დროს, როგორც ალნიშნული სიველიდან ირკვევა, აღმოსავლეთიდან სვანეთს რაჭის ფეოდალები,

ჭაფარიძები ებრძოდნენ და ამ ბრძოლაში სვანებს ერთი ჭაფარიძე შემოკვდომიათ, რასაც შედეგად მოპყოლია სვანეთის მთიულებრივი და სასტიკი გარემოცვა, შემდეგ კი მისი მთიულებრივი შემოკვდომიათ, რასაც ჭაფარიძების ხელში გადასვლა.

ამ ბრძოლაში მხოლოდ ზემო სვანეთის ერთშა ნაწილმა, თავის სუფალმა სვანეთმა, მედგარი და გმირული ბრძოლით შეძლო ბოლომდე გამკლავებოდა მოძალადე ფეოდალებს და ამგვარად თავი დააღწია მათ ბატონიშვილ ულელს. მთიულეთის მიტაცების შემდეგ, სვანები რომ ხელმეორედ არ წამოდავებოდნენ, რაჭის ფეოდალებს ხელი მიუყვიათ ამ კუთხის შემომტკიციცებისათვის. ამისათვის საჭირო იყო აქ რაჭული მოსახლეობის უფრო გაძლიერება გადმოსახლებულთა ახალი ჯგუფებით. სამაგიეროდ, მისი სვანური მოსახლეობა, რომელსაც მებატონები ეწიზღებოდა, რაჭველების გაძლიერებით შესუსტებულა, ბოლოს აყრილა და სვანეთში გადასახლებულა. ამაზე მეტყველებენ სიგელში მოხსენიებული მათი ნასახლარი სოფლები: ბრილი, თევარეშო (თევრეში), შოდა, ჩურში, ბუბა და სხვა, რომლებიც დღეს მხოლოდ ნანგრევებს წარმოადგენენ. რაჭული მოსახლეობა დამკვიდრებულა უმთავრესად სამ სოფელში: ლებში, ჭიორასა და გლოლაში, სადაც დღესაც ბინადრობენ.

სვანური ყოფის დამახასიათებელი ძეელი ნაშთები დღეს აქ უკვე მოსპობილია, დარჩენილია მხოლოდ ერთი სვანური, „მურვეამის“ ტიპის კოშკი სოფ. ლებში, რომელიც გამოყენებულია სამლოცველოდ და ეწოდება „დედა ღვთისა“. ამასთანცე, გამქრალია სვანური იდათ-ჩვეულებების და რწმენის ნაშთებიც. ლისანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მიუხედავად ისტორიულ მოელენათა ამ ფაქტებისა, ჩვენ აქ არ ვხედავთ ორი ყოფის — სვანურისა და რაჭულის — გადაჯვარედინებას და ორც მათ ასიმილაციის. რაჭულებს, დროისა და ადგილის მიუხედავად, დღემდე დაუცავთ წმინდა რაჭული კილო, ყოფა-ცხოვრება და რწმენა. ამ მხრივ, როგორც ამას ჩვენ ქვემოთ უფრო გარკვევით დავინახავთ, მთის რაჭველებს მციდრო კავშირი აქვთ ქვემო რაჭასა და იღმოსავლეთ საქართველოსთან, ვიდრე სვანეთსა და დასავლეთ საქართველოსთან. ეს უნდა აიხსნებოდეს ამ მხარეში რაჭველების გვიან გადმოსახლებით, რასაც სვანური სიგელიც მოშმობს, და აგრეთვე მათი

ქვემო რაჭისთან მჰიდრო და შეუწყვეტელი ეკონომიკურ-კულტურული კავშირით.

ამგვარად, კავკასიონის მთავარ ქედსა და შოდა-კედელზე უკუცავ-ლიდან დებში, ჭიორასა და გლოლაში ვრცელდება რაჭული მოსახლეობა და სვანურის ნაცელად მყარდება რაჭული ყოფა-ცხოვრება. ამ ხეობის გარშემო ითხზება ახალი მითები და თქმულებები, რომელებსაც რაჭელი მოხუცები დღესაც შთაგონებით მოგვითხრობენ. მაგალითად, გლოლას<sup>1</sup> შესახებ ხალხში ასეთი გადმოცემა არსებობს:

მთიელებში მოგზაურობის დროს ერთხელ თურმე თამარ მეფეს, ხალხური გადმოცემის მეორე ვერსით დავით მეფეს (იხ. ე. ვაშაკიძე, რაჭა, „ივერია“, 1902 წ. № 177), სოფ. სამაროვანში შეუსვენია, გლოლიდან ათი ვერსის მანძილზე. სამაროვანიდან გამომგზავრებისას თამარს მოუკითხია საბალახოდ გაშვებული ჭორები. მეფის მხლებლებს ბევრი ძებნის შემდეგ მათი კვალისთვის მიუკვლევიათ, დასდევნებიან და გლოლას ჩასულან. აქ ჩიჩხვის მთის ძირში დაკარგული ჭორები უპოვიათ, რომელებიც თურმე მევავე წყალს — „ვეძის“ სვამდნენ. მეფის მხლებლებს ეს მევავე წყალი ძვირფასი აზარფეშით მეფისთვის მიურთმევიათ. თამარს მოუსურებებია ამ წყაროს ნახვა და თავისი ამალით გლოლას ჩასულა. მას ძლიერ მოსწონებია გლოლის არემარე და უბრძანებია აქ ეკლესიის აშენება, მაგრამ რაღვანაც ეს ადგილი სრულიად უკაცრიელი და ტყით დაბურული ყოფილა, ამიტომ ეკლესიის მეთვალყურედ საჭირო გამხდარა ვინმეს დატოვება. ამის შესახებ თამარი თავის ამალს შეკითხვია, თუ ვინ მოისურვებდა აქ დარჩენას. დუმილის შემდეგ ერთ ბერს მისთვის მოუხსენებია, თუ ცოლის შერთვის ნებას მიბოძებ, მე დავრჩებით. თამარს ბერისათვის ამის ნება მიუცია. ბერთან დარჩენილა მისივე ბიძა და ერთი მოსამსახურე ბიჭიც. ხალხური გადმოცემით, ამ სამი პირისაგან შემდეგ სოფელი გლოლა მოშენებულა, რომელთა შთამომვალნი იქ დღესაც ცხოვრობენ. მაგალითად, ბერისაგან წარმოშობილა ბერიშვილები, ბერის ბი-

<sup>1</sup> გლოლა, სვანურად „გლოლაი“ ნიშნავს ხამოწოლილს ან მოფერდო ადგილს.

ძისაგან — ბიძაშვილები და ბიჭისაგან — ბიჭაშვილები (გაზ. ხელობა „ხიდა“, 1912 წ., № 104). შემდეგში კი, ხალხური თქმულებით გადასცა ლაში მოსახლეობა თურმე გადაჭარბებით მომრავლებულა, ხალხს საკვები აღარ ყოფნიდა და თემიც საგონებელში ჩავარდნილა. ამ დროს ამდგარა ერთი მოხუცი და უთქვამს, რომ სარჩის გამოსაზოვად საჭიროა კოვზი გავცვრიტოთ და, ცოტა ყელში თუ ჩაგვიგა, მეტი ჯამში დარჩებაო. ბოლოს ჭირი გაჩენილა და გლოლის მოსახლეობაც შეთხელებულა.

სოფელ ლების<sup>1</sup> დაარსების ხალხური თქმულება მიაწერს ლეჩხუმიდან გამოქცეულ ვიღაც მღებავს, რომელსაც თურმე იქ კაცი შემოკვდომია და მთის რაჭაში განიზნულა. მას აქაც ხელი მიუყვია თვისი ხელობა-მღებრობისათვის და ამ სოფელსაც ლები დარქმევია. შემდეგ ლები სხვადასხვა მხრიდან გადმოსახლებული გვარებით მოშენებულა. პირველად აქ უნდა გადმოსახლებულიყო ჩვეშოლან ლობჯანიძეების წინაპარი ხოშიტა ლობჯანიძე, რომელიც დაბინავებულა რიონის მარჯვენა მხარეზე და თავისი კოშკიც აუშენებია, რომელსაც დღესაც უჩვენებენ. შემდეგ ხიდურიდან გადმოსულან ვოგრიჭიანები, უნდა იყვნენ გარაჭველებული სვანები, რომელთა შესახებ ასეთი გადმოცემაც არსებობს. სვანეთის თავის დადგეშელიანს და რაჭის ფეოდალს ჯაფარიძეს ერთმანეთში მტრობა ჰქონიათ. დადგეშელიანისაგან შეწუხებულ ჯაფარიძეს დახმარება მეფისათვის უთხოვია. მეფესა და ჯაფარიძეს დადგეშელიანის წინააღმდეგ პირი შეუკრავთ და თავიანთი ლაშქრით დაბანაკებულან სვანეთის საზღვარზე „გორის ბოლოს“. დადგეშელიანს შეშინებია და მათთვის შერიგება უთხოვია. ჯაფარიძეს ამისათვის დადგეშელიანისაგან მოუთხოვია ერთი სავსე ჩექმა ჭიანჭველის ტვინი. ვინაიდან ამის შესრულება შეუძლებელი იყო, დადგეშელიანს სამაგიეროდ ჯაფარიძისათვის მიუცია ხიდურში მცხოვრები შეიდი კომლი გლეხი გოგრიჭიანი. გამობრუნებისას ჯაფარიძეს ერთი კომლი გოგრიჭა გოგრიჭიანისა უჩუქნია აზნაურ არიშიძისათვის, რომელიც ის ლებში დაუსახლებია, დანარჩენები კი ჯაფარიძეს რაჭის სხვადასხვა კუთხეში დაუგზავნია. შოდის მთიდან ლებში გადმოსახლებულან ბოხაშვილები, საგურამოლან კი — გავაშელიშვილები.

<sup>1</sup> ლები — სვანურად „ლება“ — იშვიაუს ჩალრმავებულ ადგილს.

საყურადღებო გადმოცემა არსებობს აგრეთვე გობეჭიშვილების გვარის წარმოშობის შესახებ, რომელსაც დიგორიდან გამოიჩინა ულად თვლიან. ესენი სამი ძმანი ყოფილან: „გობეჭა, ხაშიჯა და ია. მათ დიგორში კაცი შემოკვდომიათ და თემისაგან განდევნილებს თვით რაჭის მთებში შეუფარებიათ. მოსულან რაჭის მთავარ წერეთელთან და დასახლების ნებართვა უთხოვიათ. გზად ღები გაულიათ და ძლიერ მოსწონებიათ. საღმელთან მელა მოკულავთ და შემდეგ წერეთელს ხლებიან. გობეჭა და ხამიჯა ცხენზე მსხდარან, საშუალო ძმა — ია — კი — ჭორზე. წერეთელმა მგზავრები კი მიიღო, მაგრამ მათ შორის უმეტესი პატივი იასა სცა, როგორც ჭორზე მჯდომას. წერეთელმა მგზავრები ღამით თავის სასახლეში მოასვენა, სადაც იას თავადური პოზით თურმე ეძინა. მეორე დღეს მათ წერეთელი შეკითხვია, თუ სადა სურთ დასახლება. იას მოუხსენებია, მე იქ დამასახლე, სადაც მელია (საღმელი) მოვკალიო. ხამიჯას უთხოვია დიგორელებთან შერიგება და ისევ უკან გაბრუნება. გობეჭას კი მოუსურვებია ღებში ღაბინავება. წერეთელს შეუსრულებია მათი თხოვნა. იასათვის, როგორც ჭორზე მჯდომისა და ღამე თავადურად მძინარისათვის, აზნაურობა უბოძებია და საღმელში დაუსახლებია. აქედან შემდეგ იაშვილების გვარი წარმოშობილა. გობეჭა ღებში დასახლებული და გობეჭიშვილების გვარი წარმოშობილა. ხამიჯა უკანვე დიგორში გაბრუნებულია, სადაც მისი შთამომავალი ხამიჯავები დღესაც ცხოვრობენ და რომლებიც ღებელ დეტუქენთ გობეჭიშვილებს თვითი მონათესავედ თვლიან.

რაც შეეხება სოფელ ჭიორის, ხალხური თქმულების მიხედვით, ის უფრო გვიან უნდა იყოს დასახლებული. თავდაპირველად ჭიორელებს ფასის მთის იქით თურმე უცხოვრიათ. აქ მათ თათრები (ჩრდილოეთის ტომები) მეტისმეტად ივიწროებდნენ. ამიტომ ჭიორელებს ღებელებისათვის უთხოვიათ ღების ფარგლებში გადმოსახლების ნებართვა. ღებელებს მათთვის „სარჩევი“ მიუციათ, თუ სად გსურთ დასახლებაო. ჭიორელებს თურმე ის ჭალა უთხოვიათ, სადაც ბევრი „მწიორი“ ბუდებული (მწიორს აქ უწოდებენ: მელას, კვერნას, კურდღელს, თრითინას და სხვა მგვარ ცხოველს). ღებელებს მათთვის ეს ადგილი დაუთმიათ და სოფელსაც აქედან ჭიორი დარქმევია.

მგვარად, ჩეენ ვხედავთ, საუკუნეთა მანძილზე თუ როგორ მიმ-



### მთის რაჭელები

დინარეობდა მთის რაჭის სოფლების მოშენება და გაღმოსახლებულ საგვარეულოთა დაწვეუფება, სადაც სვანური ტიპის კოშკების ნაცვლად შენდებოდა რაჭული ტიპის დუროიანი სახლ-კოშკები მაღალი გალავნით შემოზღუდული.

თი, როგორ ავტიწერს მას სახელოვანი გეოგრაფი ვახუშტი: „არს გლოლა დაბა მგზავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი... კვალად გლოლის-ქეების შესართავს ზეით რიონის სამჯრით არს ჭიორა, დაბა მოზღუდვილი და კოშკოვანი, გოდლოვანი, ამას ზეით, ჩრდილოთ კერძოდ, დაბა არს ღები, ეგრეთვე ნაშენი... არიან გოთარტა სხვა მთის ადგილნი, მოსაელით, ნაყოფით, პირუტყვით, მაგარი, ვიწრო და შეუალი მტერთავან“<sup>1</sup>. ამის საუცხოო ილუსტრაციას წარმოადგენს დიუბუას<sup>2</sup> მიერ მეცნიერების საუკუნის

<sup>1</sup> ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ტფილისი, 1904 წ., გვ. 287.

<sup>2</sup> Dubois de Montpêreux, Voyage autour du Caucase, Tom. II, Paris, 1839, გვ. 403—414; ზისევ, Atlas ou II-e série, Pl. XVIII.

ოცდათიან წლებში გადაღებული სოფელ დების სურათი, ხადა  
დუროიან სახლებს შორის ომართულია ძველი საომარი კოშკების და  
დღეს, გარდა ერთისა, ეს კოშკები უკვე გამქრალია.

ზოგიერთი ადგინდება

მთის რაჭის ეს მყინვარ-მწვერვალებით და ციხე-კოშკებით შე-  
მოზღვდული კუთხე ეტროდა თავისუფალ არსებობას. ბუმბერაზი  
ბუნების წიაღში აღზრდილი, არსებობასათვის ბრძოლაში გაფაე-  
ბული, კუნთებმაგარი და გულზებიდი ქართველი მთიელისათვის მუ-  
ლამ საზიზღარი იყო ბატონყმობის მახინჯი ფორმა და ამიტომ ის  
ჩას გააფთრებით ებრძოდა. თავისუფლებისათვის ბრძოლის ეს  
სული რაჭის მთიელებსაც ბუმბერაზმა კავკასიონმა შთაბერა და  
მებატონეებისაგან ხიზულმა ყმებმა შეერთებული ძალით დაიწყეს  
კავკასიონის ამ ქედში შემოჭრილი რაჭის ფეოდალების წინააღ-  
მდევ ბრძოლა, როგორიც იყვნენ, სხვათა შორის, არიშიძენი. მება-  
ტონე არიშიძენი თურმე მეტად აეწროებდნენ დებელებს საპეგრო  
გადასახადებით და ყმური სამსახურით. ბოლოს ისე გაკადნიერე-  
ბულან, რომ „პირველი ღამის უფლებაც“ მოუპოვებიათ. ამას კი  
მთელი ღები აულელვებია, ხალხმა თურმე პირი შეკრა და გადა-  
წყვიტა მოძალადე მებატონეების აოხოცვა.

ამ შეთქმულებას მეთაურობდა ზეიადა ლობგანიძე, რომელიც  
„პირველი ღამის უფლების“ შიშით თურმე ცოლს ეკრ ირთავდა.  
მისთვის მთელ სოფელს დახმარება შეუფიცია, მხოლოდ ექებდნენ  
არიშიძეების ამოსაწყვეტად მოხერხებულ დროს და ამ მიზნით სო-  
ფელმა მოისყიდა მათი მოურავი გაგაშვილი და ერთიც დედაბერი,  
რომლისთვისაც აღაპის გადახდა აღუთქეამთ. ერთ მშენიერ დი-  
ლას, როდესაც ორი ძმა არიშიძენი სანალიროდ მიემგზავრებოდ-  
ნენ, ორივე ჩასაფრებულმა ღებელებმა მოჰკლეს. მესამე არიშიძე  
ჭიორისაკენ გაქცეულა და როდესაც რიონზე გასვლა დაუპირებია,  
მას ერთი მტირალი დედაბერი დასდევნებია და წყალზე გაყვანა  
უთხოებია. ① არიშიძეს დედაბერი ცხენზე შემოსვეამს და როდესაც  
შუა წყალში შეცურებულან, დედაბერს მისთვის ხელი წაუელია,  
მძღვრად გაღმოუწევია და ორივენი წყალში გადავარდნილან და

1. Л. Майсурадзе, Гебское сельское общество, Сб. мат. для опис. мест. и племен Кавказа, вып. XXII, отд. II, гг. 214—215.

იქვე დამხრჩეალან. <sup>1</sup> ამგვარად, ლებელებმა მოიშორეს თავიზთან ბატონე არიშიძენი და მათი ბატონყმური უღელიც.

თავისი ეს გმირული თავგადასავალი ხალხს გაულექსია, ორმელსაც ფერხულის — „ფერხისას“ შესრულების დროს ლებელები დღესაც მოერიან.

აი ეს, ლექსიც:

პირველ საყმონი ეყოფილვართ  
ჩენ თრის ბატონისაო,  
ორთა ძმათ არიშიძეთა  
ნე სწყალობს პირი ღვთისაო;  
არ ნაზოვავნ ქვრივობოლთ,  
ცოლებს ნართმევენ ყმებსაო,  
არ შინებიათ ცოდვისა,  
არც ნაკითხავან ღმერთსაო.  
ღმერთმა ულხინის ზეიადას,  
ზვიადას ლობჯანიძესო,  
არ დაელევა შენდობა,  
სანამ მზე მიწას უმშერსო.  
დიდხანს ყოფილა ზეიადა,  
რომ არ შეერთო ცოლიო,  
ზინძის თვალით ნაყურება,  
ცოლს რომ ნართავა ყოვლიო.  
ზვიადას უთქვაშს: „ლებურნო,  
მიყვირს რატომ არ გრცხვენიანთ,  
რომ მიდენი ბიაბრობა  
ბატონთთვის შეგირჩენიათ!  
კვარს იწერთ, ცოლები მოგყავთ,  
უწინ ბატონთან მიგყავთო;  
გამწლარხართ დედავალები,  
მათი ჩიქილით დახვალთო.  
კაცი უნდა კაცი იყოს,  
არ ჰევდეს ბებრულენაა,  
არ იქრუნჩოდეს შიშითა,  
ფეხ-ქვეშ არ ეგოს ყველასა.  
დროა, პასუხი გავსცეთ მტერს,  
ბატონთ დაეარტყათ მეხიო,

<sup>1</sup> ლედაბერს ლებელებისათვის ანდერძა დაუგდია, არიშიძის მოკვლის შემდეგ თქვენს მკედრებთან ერთად ტაბლა წემთვისაც გამოატევთო. მიტომ დებზი დღესაც მაცეალებულის ბატონით თავის წმინდა მოვალეობად თვლის, საკურთხის დამზადების დროს ერთი ტაბლაც ამ დედაბერს გამოუტხოს.

ომიერიდგან მათ თესლსა  
 ომუწმინდოთ ფეხიო.  
 ხომ კარგად იცნობთ გაგნიას,  
 ბატონთა მოურავსაო.  
 დაქერთამოთ, დავასიჩუქროთ,  
 მტრებს ის ჩაგვიგდებს ხელსაო.  
 სანადიროს წამოიყვანს,  
 ჩეენ ჩივესაფრნეთ ხევსაო,  
 ჭილა შვილდები ვესროლოთ,  
 თავი ვაცნობოთ მტერსაო".  
 ღებურთა ახალ ვაჟათა  
 ზეიადას დასცეს დასტური;  
 დაბატილეს გუნია;  
 მიართვეს ღვიძო და პურია.  
 შეზარხოშებულ მოურავს  
 ღებურთა უთხრეს ყოველი,  
 უაგარიშო აჩუქეს,  
 ფიციც მოსთხოვეს ცხოველი.  
 გაგნიამ უთხრა: „ხვალ დილას  
 წამოვალთ სანადიროსა,  
 ღამე იქნება, რომ მოვალთ,  
 წინ კალის ხიდის ბოლოსა;  
 წინ კალის ხიდის კურტმებში  
 მზად დაგვხედით ჩისაფრულები,  
 წინეთ მე შევალ ხიდზედა  
 არ ავიჩერდეთ ვლლები.  
 არვინ მესროლოთ ისარი,  
 არ წაიწყმილოთ სულები!  
 ჩემს უკან ვინც დაინახოთ,  
 ჰერი იმათ მწევე ისრები.  
 არ დაზოგოთ მოსაკლავალ,  
 ორთავ დასკერით კისრები.  
 შეიარაღდნენ ღებურნი,  
 გასწიეს წინ კალისკენა,  
 გაგნიაც დაფიქრებული  
 გვეშურა შინისკენა.  
 ღამე ყოფილა, მისულა,  
 გაგნია ბატონის სახლში,  
 წამლგარა ბატონების წინ,  
 უთქებეს: „წამობრძანდით მთაში,  
 ამბობენ, თურმე ნადირი  
 ურდოლ დადის საჭიბეში",

ორ იქნება მონადირემ,  
 რომ არ მოკლას ოთხი ღლეში.  
 ხელი შევაელოთ შვილდ-კაპარჭით,  
 წევერი ულესოთ ისრებსო,  
 სიზმარიც ვნახე შისთანა,  
 რომ ბლომად დავხოცოთ ჯიხვებსო".  
 ბატონთა უთხრეს მოურაეს:  
 „წავიდეთ, ჩემო გაგნია,  
 მაგრამ რა ვქნათ, ვვეშინია,  
 სიზმრებმა სულ გადავვრია".  
 ერთმა სთქვა: სიზმარი ვნახე,  
 მე ესტუროდი არა ცრემლით,  
 ვკვნესოდი, სული მიწუბდა,  
 გული სლულდა მღელუარებით,  
 ამერია თავში ტვინი,  
 სასიყვდილოდ მიეიწურე,  
 მუჯირას ეებჯინებოდი,  
 შემაგრება მოვისურე;  
 მაგრამ მესროლეს ისარი,  
 ისარი მოშხამულიო,  
 სიცოცხლის დღე დამიმწარეს,  
 გლაბ დამიკოდეს გულიო.  
 ეს ვნახე, ჩემო გაგნია,  
 მე წუხელ სიზმარშიდაო  
 და ამიტომ წასკლას ეიშიშვი,  
 დღეს სანადიროდ მთაშიო.  
 „ბატონო, ნება მიბოძეთ,  
 ახლავ აგიხსნათ სიზმარი,  
 სულ კეშმარიტს მოგახსენებ,  
 თუ მწამს დღეის წირვის ზარი.  
 ბლომად დახოცაეთ ჯიხვებსა,  
 ჯიხვებსა შავის კლდისასო,  
 ზურგს ავიკიდებ მძიმე ტეირის,  
 მოკლულსა ნადირისასო.  
 დალლილნი, დაქანცულები,  
 მუჯირებს დავებჯინებით,  
 სკენებ-სკენებით წამოვალთ,  
 შინისკენ გავეშურებით.  
 ეს გახლავთ თქვენი სიზმარი,  
 ცხადი, ნამდვილი, მართალი,  
 და თუ ეს ასე არ ახდეს,  
 მომთხარეთ მარჯვენა თვალი.

დაუკერქს ბატონებმა,  
 მიძყვნენ გაგნიას რჩევასა,  
 თოთო ფარფალა დალიეს,  
 მთვარეში გაუდგნენ გზასა.  
 ხეეს ჩისაფრულნი ღებურნი  
 ელიან არიშიძეთა;  
 მოჭიმული მშეილდ-ისრები  
 ყველას მზად უჭირავს ხელთა.  
 გათენებისას მივიღნენ,  
 არიშიძენი ხილზედა,  
 ღებურნი რომ დაინახენ,  
 ლიმი მოუათ პირზედა,  
 ზეიადა ეტყვისთ, ბიჭებო,  
 არ დამრთოთ ჭირი ჭირზედა,  
 ყველანი მარჯვედ იყვენით,  
 მჯვრი ვიყაროთ მტრებზედა.  
 ჭირათ უქციოთ ბატონებს,  
 რაც ლხინი ნახეს ჩვენზედა,  
 სულები ღავაფრთხობინოთ,  
 აქვე ბოგირ ხილზედა.  
 ეს სთქეა ზეიადამ და უცუად  
 შეიქწა ისართ გრიალი,  
 ერთბაშად დასცეს კიდინა,  
 მოისმა ღებურთ ღრიალი:  
 „ჰარია არიშიძესაო,  
 ისარი ქარქაშს ძევსაო,  
 თუ ბატონბამ მოისპოს,  
 დარჩეს ლობჭანიძესაო.  
 მოპელეს უფროსი ბატონი;  
 უმცროსიც დასტრეს ფერდსაო,  
 რინის მორეეში ჩივარდა,  
 შეელა შესთხოვა ლმერთსაო.  
 ცურვით წყალს პომბს, მიღარავს,  
 თაესაც არიდებს ქვეშსაო,  
 უკან ღებურნი მისდევენ,  
 ისრებს ესვრიან ბევრსაო,  
 მაგრამ არცერთი არ ხელება,  
 სანამ არ მიეა ღებსაო.  
 სოფელს ღებს, რიონის პირად,  
 მაღლა გორაზე სახლი სდგის,  
 გარს გალავანი არტყია,  
 აქ ძეირად ნახავთ ამის ფარდს.

ამ სახლში მცგარა გულითად,  
 გვარად გვეველიშვილი,  
 ავად ყოფილა საბრალო,  
 საბრალო დედ-მამის შეილი,  
 სახლში შეუდის დიაცი  
 და ეუბნება გულითადს:  
 „ნეტა მითხრა, რა უწდათ  
 დღეს რიონის პირს ამზენ ხალხს  
 ურდოთ მოსდევენ ზეპები,  
 თოთქოს ეძებდენ რისმეს კვალს.  
 გულითად, როგორც მისანი,  
 შიხვდა დიაცის სიტყვასო,  
 უთხრა, ამწიეთ, გამიყვათ,  
 ამ ჩელტით ბეგის პირსო,  
 ხელთ შეიღდ-ისარი მომეცით,  
 ისარი მოღერილით,  
 ვესროლო, წუწქა მცურავსა,  
 გავაფრთხობინო სულიო,  
 მე ვაცი ლებურთ ბიჭები  
 ვისაც მოსდევენ წყალშიო,  
 ამწიეთ, ჩქარა ამწიეთ,  
 გამიყვათ მალე კარშიო.  
 ამწიეს ჩელტით გულითად,  
 ბეგის პირს გაიტანესო,  
 შეიღდ-ისარი და კაპარჭი  
 მიართვეს, შიუტანესო,  
 უცბად მოსწია შეიღდ-ისარს,  
 გახდა რიგისკენ შეუიღი,  
 დასჭრა მცურავი ბატონი,  
 დააწყებინა ლმუილი.  
 შენი ჭირიმე, გულითად,  
 რომ კიდევ გერჩის ლონეო,  
 მოგვიალ მტერი მესისხლი,  
 სახელი მოიფინეო.  
 გამართეს ლებურთ მეჯლისი,  
 ლვინო დალიეს ბევრიო,  
 გულითადიც აღდეგრძელეს,  
 ქება შეასხეს ბევრიო“<sup>1</sup>

<sup>1</sup> მ. ლებელი, ხალხური ლეგენდა, გაზ. „რევიუი“, 1890, № 251.

მაგრამ გარდა იმ მებატონე ფეოდალებისა, მთის რაჭვილი /  
აწუხებდნენ აგრეთვე მეზობელი მთიელებიც, რომლებიც ქუჩაშეკულა  
ლად გადმოდიოდნენ უღელტეხილების ციცაბო ბილიკებით შემდგრევა  
სოფლებს ესხმოდნენ. ერეკებოდნენ ჭოგებს, ტყვეებს და ნაძარც-  
ვი ნადავლით ისევ უკან გარბოდნენ.

ეს აღვივებდა მეზობლებს შორის შურსძიების და სისხლის აღე-  
ბის საშინელ გრძნობებს, იმართებოდა დაუსრულებელი ლაშქრობა  
და ერთმანეთის გამანადგურებელი მიხტომ-მოხტომა. თავდაცვისაო-  
ვის საჭირო იყო კოშკები და დუროიანი (სათოფურიანი) სახლები  
მაღალი გალავნით შემოზღუდული, სადაც შესაძლებელი იქნებოდა  
გამაგრება და ქონების გადამალვა. მშვილუძ-ისრით თუ კაერიანი თო-  
ფით შეიარაღებული მთიელიც ამ კოშკის მშვერვალიდან ზვერავ-  
და შემოპარულ მტერს და ის მუდამ მზად უნდა ყოფილიყო მის  
შესატევად. მთის რაჭაც ამგვარი ციხე-კოშკებით იყო შემოზღუდუ-  
ლი, რომელსაც არაერთხელ უკუ უქცევა კარზე მომდგარი მტე-  
რი, რასაც მოწმობენ აქ დღემდე დაცული დუროიანი სახლ-კოშ-  
კები.

¶ მთის რაჭას ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრობა ჰქონდა დიგო-  
რელ ოსებთან, დასავლეთით კი — სვანებთან. ამ მტრობას ასაზრ-  
დოებდა შურსძიება და ნადავლის მოპოვების დიდი სურვილი,  
რომელშიაც მონაწილეობას მთელი თემი იღებდა და ნადავლიც  
მას ეკუთვნოდა. ასეთ ბრძოლაში გამარჯვებული თემი ზეიმობდა,  
ლექსავდა თავის გმირულ თავგადასავალს, რომელიც თაობიდან  
თაობაზე გადადიოდა. თემური ხასიათის ამგვარ გმირულ ლექსთა  
შორის აღსანიშნევია „ომი ლებელებისა დიგორელებთან და ივანე  
ქვაციხელის ამბავი“. /

¶ სოფელ ლებიდან შეიძი ვერსის შანძილზე ტყეში ერთ პატარა  
მიუკებაზე ვეებერთელა ქვა დევს. რომელსაც „ქვაციხურას“ უწო-  
დებენ. უწინ ეს ადგილი ჰკუთვნებია სამ ძმას გვარად ქვაციხისე-  
ლებს. აქ მათი კოშკი და სიმიგრეებიც ყოფილა. ერთი მათგანი,  
ივანე განთქმული მონადირე და მამაცი ვაეკაცი ყოფილა.

ქვაციხურას მახლობლად მდებარე მთავარანგელოზის ეკლესი-  
აში დღემდე ინახებოდა ერთი ძველებური ლაგამი, რომელსაც ხალ-  
ხი მისი ჭარმაგის (ბედაურის) ლაგამიდ თვლიდა<sup>1</sup>. ერთხელ ივანე

<sup>1</sup> ეს ლაგამი დღეს შუთაისის მუზეუმში უნდა იყოს დაცული.

თავის ჭარმაგზე შემჯდარა და სავაუკაცოდ დიგორისაკენ გაფრთხებული დია. აქ მას ყური მოუკრავს, დიგორელები ღებზე ღამისადამისადამისა და ემზადებიან. ღებელები მაშინვე შესდგომიან ლაშერობისას მარტივად დისს. ამ მიზნით ქვემო რაჭიდან დასახმარებლად ჯაფარიძე და გამყრელიძე მოუწვევიათ. ივანე კი მმ დროს თურმე დიგორელების გადმოსვლას დარაჭობდა და, როდესაც კირტიმოს მთიდან გადმოსული დიგორელები შეუნიშნია, შემჯდარა თავის ჭარმაგზე და ღებისაკენ გაფრენილა. ასულა მაღლა კოშკში და დაუძახია: „ღებელებო, მტერი ქვაციხესთან მოვიდა და ვინც მამაცი ხართ, პასუხი გაეცით“. მათ წინააღმდეგ ღებელებს იარაღი აუსხამთ და კიდევაც გაუმარჯვიათ.

ეს გამარჯვება ხალხს გაულექსია, რომელი ლექსიც ლებში დღესაც პირველობს:

დიგორსა ღასხდნენ გაზირნი,  
რჩეულნი ბადელუანი;  
მთანი და მთანი აეწონოთ  
სავალად კირტიშუანი.  
ქვაციხეს რომ ჩამოვიდნენ,  
გზანი დაუხვდათ წყლიანი;  
წინ ივანე შეეფეთათ,  
გამბედავი, ძალუანი;  
ფიცხლავ შინისკენ გაბრუნდა,  
კით შევარდენი ფრთიანი,  
ციხისა დუროს შეიძრა,  
მაღლა დაიშუო ხმიანი:  
ვაჟებო, ფრთხილად იყავით,  
საქმეა ღალატუანი.  
დილა გათენდა მზიანი,  
ლაშერსაც გახდა ხმიანი,  
გაელაშერნენ საომრათა,  
მტერს მისცეს დიდი ზიანი.  
გამყრელიძესა იქებენ,  
რომელს ისე ჰქეიანო,  
ქართული ხმალი გისტეხა,  
სისხლი ყუახა სცხიანო;  
ოსებსა ხოცვა დაუწყეს,  
ჭირკეებიერთა ჰყურიანო.  
სამარეც აღარ იღირსეს,

ლორის ნათხარში ჰყრიანო.  
გიჯობდა, ჯანხოტის შვილო,  
აზ ასტეხოდე ლებსაო,  
გვეამოს თსის ქარჯინა,  
გამოდგომოდე თხებსაო<sup>1</sup>.



დიგორელებთან ამ ბრძოლის დროს ზურგიდან ღებს ქურდულად შემოპარვია ფასის მთით გადმოსული მარყალლები (ბალკარები) და მისი დარბევა დაუწყიათ. მაგრამ ამ დროს მათვეის მოუსწრიათ დიგორიდან გამარჯვებით გამობრუნებულ ლებელებს და თათრებისათვის მუსრი გაუვლიათ. **სათვალავად ლებელები** დახოცილ თათრებს ყურს თურმე სკრიფნენ და, ხალხური გადმოცემით, ამ მოჭრილ ყურებს დაუფარავთ სოფლის დიდი მოედანი, რომელ მოედანს დღესაც „ნაყური“ ეწოდება (ახლა სკოლის ბოსტანია).

დიგორელებთან ომის შემდეგ ივანე ქვაციხისელი მალე მომკვდარა, რომლის შესახებ ასეთი ლეგენდაც არსებობს: ერთხელ, შემოდგომის პირზე, ივანე ჯიხვებზე სანადიროდ წასულა თავისი ძალლი „ყურშათი“. ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ივანეს ერთ ფიქალო კლდის წვერზე ჯიხვები შეუნიშნავს, მაგრამ იქ ასვლა ვერ მოუხერხებია. ბოლოს თოვლის გუნდები დაუკუმშია, წყალში დაუსველებია და ისე კიბე-კიბედ მიუკრავს ფიქალო კლდისათვის. საღამოზე გუნდები კლდეს მიჰყინვია და ივანე თავისი ძალლით ზემოთ აცოცებულა. აქ მას უნადირია და ჯიხვებიც ბლომად დაუხოცია, რომლებიც ძირს ჩამოუყრია და თვითონ ლამე იქვე გამოქვაბულში ვაუთვევია. მეორე დღეს დილის მზეს თოვლის გუნდები მოელხო, ძირს ჩაცვინულა და ივანემ ჩამოსვლა ვერ შესძლო. ის მიეცა მწარე საგონებელს. თანაც საგზალი თურმე შემოელია და შიმშილისაგან სული ძერებოდა. ბოლოს განუზრაბავს თავისი ერთგული ყურშას შეკმა, რომელსაც ასეთი ლექსით გამოსალმებია:

შავო ყურშაო, ყურშაო  
შავო და შავის დღისაო,  
შავს დღეზე დაბატებულო,  
შენ შავის პატრონისაო!

<sup>1</sup> ამ ლექსის სხვადასხვა ვარიანტი დაბეჭდილია: Сбор. Мат., вып. XX, отд. II, „Картвельская песни“, № 126—127; „ივერია“, 1890 წ., № 74; გაზ. „კოლხიდა“, 1911., № 189.

ორივ შემშილმა შეგვებნიღა,  
 გზა აჩსაღა გვაქვს საევლა;  
 უნდა შეგვემო, უურშაო,  
 მეტი აჩ აჩის წამალი.

ამის შემდეგ ივანეს ყურშა დაუკლავს, შეილდ-ისრითა და კა-  
 პარტით ცეცხლი დაუნთია და მწვადებიც აუგია. უნდა შეეძლოს,  
 მაგრამ გული არ მისდის და ამბობს:

ყურშა დავკალ და გვერდს მიდევს,  
 ალმასის დანაც ზედ მიდევს,  
 მ-თლია, ვერ მიჰამია,  
 სულაც ვერ წამიწყმელია.

ამავე დროს ივანეს მისი ძმები თურმე ეძებდნენ. ბოლოს მი-  
 სულან ერთი კლდის ძირში და დახოცილი ჭიხვები უნახავთ, აუხე-  
 დიათ მაღლა და კლდის წვერის გამოქვაბულში ივანეც შეუნიშნავთ  
 და დაუძახიათ:

ჰერ, შენ, ძმაო ივანე,  
 ჭიხვთათვის რა გირესა;  
 შენი შეილდი და კაპარტი  
 ნეტა რაღ გადგაგლას?

ამაზე ივანემ მაღლიდან თურმე ჩამოსძახა:

გამოვყე ჭიხვების კვალშა,  
 ნახტომია ჯერნებისასა;  
 აქ დავინახე ჭიხვები,  
 გუნდით ამოველ კლდის თავსა.  
 ისრით დავხოცე ჭიხვები,  
 ჭიხვები შავის-კლდისაო;  
 მაგრამ გზა ვეღარ ვიშვევ,  
 ვეღარ ჩამოველ ძირსაო.

ძმები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ივანეს მაინც ვერ გააბედინეს  
 კლდიდან ჩამოსვლა. მაშინ იფიქრეს, მოდი, მისი საცოლე მოვგ-  
 ვაროთ და შეიძლება იმან როგორმე გაამსნეოს და ჩამოვიდესო.  
 საცოლეც მოპგვარეს, რომელმაც შესძახა:

ივანე, მას არ იტუოდი,  
კლდეში არ მეშინიანო!  
რად ვერ ჩამოხეელ ვადკაცო,  
სირცხვილის არ გრცხვენიანო?



ამ სიტყვებზე ივანე წამომდგარა და კლდიღან გადმოვარდნილა, თან ერთი დიდი ჭვაც გადმოჰყოლია, რომელიც ზედ დასცემია და ის მოუკლას.<sup>1</sup>

\*როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, დასავლეთით რაჭის მთიულეთს სვანები მტრობდნენ, რომლებიც ღებს ხშირად ეცემოდნენ, აოხ-რებდნენ და მის ავლადიდებასაც იტაცებდნენ. მას, სხვათა შორის, გადავიდებია ერთი ყაჩაღი სვანი სახელად ჯამათა, რომელიც თავისი რაზმით უსაფრდებოდა ბალყარეთში სავაჭროდ მიმავალ რაჭელებს და ძარცვავდა. ამის გამო მათ შორის შური და მტრობა ჩამოვარდნილა. ერთხელ სოფ. ღებიდან სანაღიროდ წასულა მონადირე ნინია ღალაშვილი და მას გორის ბოლოში შეუმჩნევია თავისი რაზმით ჩასაფრებული ჯამათა. ეს მას ღებისათვის უცნობებია. მომხდარა ბრძოლა, საღაც ღებელებს გაუმარჯვიათ და ეს ამბავიც ხალხს ასე გაულექსია:

სვანსა ჯამათას ამბობენ,  
ძლიერ მტრობდა ღებსაო,  
კარი-კარ დაუცლიდა  
უშგულს ხალდეშლებსაო.  
წავიდეთ გორის ბოლოს,  
დაუხელეთ ღებელებსაო,  
თხის ტყავები გადამჟარეთ,  
ჩხებს ვიშოვნით ბევრსაო.  
გამოელაშქრნენ სვანები,  
ი გორის ბოლოს მთასაო,  
ეს ღალაშვილი ნინიც  
რავაი ბიძე თქვესაო,  
გორის ბოლოს დანაღირობს,  
დამჟარაულობს წეერსაო.  
ჯამათს რომ დაინახავს,  
ვულში ჩაიკრივს ხელნაო:  
მიღის და ღებელთ ახარებს,

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“ 1890 წ., № 74; Сб. Мат., вып. XX, отд.. II, гл. 135—137.

ჯამათ გდია ჩეენსაო.  
 ე რომ შეიტყვეს ლებურთა,  
 ძვე შეუტევეს მტერსაო,  
 გორი ბოლოში მივიღნენ,  
 იქ ერთი რჩევა ქნესაო.  
 უნცროს-უნცროსი ბიჭები,  
 მეწევერედ გაგზავნესაო,  
 უფროს-უფროსი კაცები  
 მეძირედ დატოვესაო.  
 ბაიკაშვილი ოთუე  
 იმედსა აძლევს ბევრსაო,  
 თუ დავინახოთ მტრებიო,  
 ფიცხლად მივცივეთ მასაო.  
 თამაზიკიანთ დევლეთა,  
 ვერცხლის თოას უსვამს ხელსაო,  
 თე ჯამათ დავინახე,  
 მე მოუსისხლამ გვერდსაო.  
 ე ჯაგოშვილი გოგია,  
 კბილითა პყრიდა ცეცხლსაო,  
 ნუ ვეშინიათ, ბიჭებო,  
 ფიცხლად მივცივეთ მტერსაო.  
 შალიყიანთი თვალია,  
 არყებს ევლება წვერსაო,  
 ე გამყრელიძე ელუკა  
 ეფარებოდა ქვებსაო.  
 შახუნაშვილი ქუჩიუკა,  
 გვერდზე უქნევს ყე ხელსაო,  
 ყაშილაშვილი ტატუა,  
 გვიან მიადგამ ფეხსაო.  
 კამეჩიშვილი პაჩელა,  
 ოთხს ერთად დაწვენსაო,  
 ქეხსურაშვილი ბარუკა  
 ტყვევებს შაუკრავს ხელსაო.  
 თავ-გადაქაჩულ ჯამათას  
 შიშისგან სული ძერებაო,  
 შეურცხვა მოწიფულობა,  
 ბაძეებში უკუ ძერებაო.  
 ჯამათა გახტა ფარშია,  
 ფერდში ფინთიხი ხედებაო,  
 სისხლი გადადის ლვარითა  
 სეანი ჯამათა კვდებაო.  
 ეს იმიტომ, ჯამათაო,

არ გაგვიშვი მეზაკრათაო,  
 წაგვართმევდი ჩოხა-ნაბაღს,  
 დაგვადებდი ვალადაო.  
 გორის ბოლოში ჩაეიღნენ,  
 ჭირითიც გაწაფესაო,  
 თევრეშის რო გამოვიდნენ,  
 ალლუმიც აუშევესო! <sup>1</sup>

## 2. მკონომიკური მდგომარეობა

ბუნების სიმშვენიერესთან ერთად მთის რაჭა მდიდარია ტყით, საძოვრებით და მიწრალური ბუდობებით. წიწვიანი ტყე, მთის საღი ჰაერი და მუავე წყლების შუშხუნა ნაკადები მას ხელს უწყობენ ახლო მომავალში საქართველოს კურორტებში დაიკავოს ღირსეული ადგილი. ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა საბჭოთა ხელისუფლების მიერ აქ გაშენებული შოვის „შამშოვის“ მშვენიერი აგარაკი თავისი ლამაზი და კეთილმოწყობილი სანატორიუმით.<sup>2</sup>

ბუნების სიმდიდრეთა შორის აქ ბუდობს: პირიტი, ქალკოპირიტი, ბროლი და ლახუსტაკი. სოფ. გლოლის ხიდთან და თვით გლოლაში და ღებშიც გამოდის ნახშირმჟავიან-რკინა მტუტიანი მუავე წყაროები. შოვში კი სხვადასხვა თვისების რადიოაქტიური ნაკადებია.<sup>3</sup> ხევებში ღრიანცელით გარბიან მწვერვალებიდან გადმონახეთქი აქაფებული მდინარეები, რომელთა ელექტრობით დატენილი ტალღები უსარგებლოდ ეხეთქებიან და ებრძვიან გადმოწოლილ კლდეებს. სამშუხაროდ, ბუნების მთელი ეს სიმდიდრე ჭერ დაუმუშავებელია და დარიბი მთიელისათვის ეკონომიკურად გამოუყენებელი.

<sup>1</sup> ამ ლექსის სხვადასხვა უარიანტი დაბეჭდილია: გან. „კვერიაში“, 1890 წ. № 121; გან. „კოლხიდაში“, 1911 წ. № 194.


<sup>2</sup> ჩვენ აქ არ ვეხებით ამ აგარაკის ისტორიას და მიმშენელობას, რადგანაც შოვის შესახებ ასეთი ხსიათის ბროშურა უკე გამოცემულია (ი. შამშე ლეზევა, აგარაკი შოვი, ტფილისი, 1928 წ.)

<sup>3</sup> Г. Смирнов, Геологическое описание части Рачинского уезда Кут. губ. (Мат. по геологии Кавказа, сер. III, кн. 7, 1908 г.).

ეჯვანი

სატარე

ლიდები ზელა



სახნისი (სახველი)

მთის რაჭველები მისდევენ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. მიწის დამუშავება აქ ჭერ კიდევ პრიმიტიული წესებით წარმოებს. მიწის ხელოვნური სასუქით განაყოფილებას აქ არ მისდევენ. ხნავენ ხის უბრალო „სახველით“ ერთი ან ორი უღელა ხარით. იქ, საღაც ხარი და სახნისი არ უდგება, მიწას თოხითაც ამუშავებენ. ამ ბოლო წლებში აქც გუთანი შემოღის. აქ მიწის მცირე ნაკვეთიც კი, მიუხედავად მისი სიშორისა და მიღვომის სიძნელისა, საყანედაა გამოყენებული. ზოგ გლეხს ფორთხვით უდება მაღალ წვერზე ასკლა და განსაცდელ პირობებში სახრებო სარჩოს მოპოვება. საყანე მიწები დაყოფილია „შინა-ყანებად“ (ნაფუძარი) და „გარე-ყანებად“ (სახნავი). შინა-ყანა სოფლის მახლობლად არის, უკეთესად მუშავდება და მეტი ფასიც იქნა, ვიდრე ვარე-ყანას, რომელიც საღლაც შორეულ ციცაბო მთაზე მდებარეობს.

თესავენ შემდეგ პურეულს: დოლა პურს, ხულუგოს (უწვერო), დიკას და ქერს. სხვა ჭიშის ხორბალი და სიმინდი იღრიანი და ხანგრძლივი ზამთრის გამო აქ არ გვარობს.

მებალეობას და მებოსტნეობასაც არ ვისდევენ, რაღვანაც ნა-

კუფი ვერ მშიფდება. სამაგიეროდ, ხალხი ეტანება სხვადასხვად ლახეულს. მაგალითად, უმაღ ჭამენ: მჟავე ლვალოს, ტყის კნ ჭამენ ნიორს, შელის თივას, მელის ძვალას. მუყუდოს, მღიყსჭმულოს თავს, მაწარას, ყარდიმელას, მელისკუდას და სხვ. ხარშავენ: ქალკუდას, თიორშს, დილხამს, ცერცვს და სხვ.

ამ ბოლო ხანებში ხელი მიუყვით კარტოფილის მოყვანისათვის, რომელიც შედარებით კარგ მოსავალს იძლევა და დიდ დახმარებას უწევს ღარიბ მოსახლეებას. ამასთანავე, მთის რაჭის უდიდესი სივრცე დაფარულია ტყეებით, კლდეებით და ყინვარებით, ამიტომ საყანედ ვარგისი მიწა აქ მეტად მცირეა, და, რაც მოეპოვებათ, ღროთა განმავლობაში ისიც იფიტება და ნაკლებ მოსავალსაც იძლევა. მოსახლეობის ბუნებრივ ზრდასთან შეფარდებული არ არის საყანე ადგილების სივრცის გაფართოება და მისი ინტენსიური დამუშავებაც. ამიტომ მთის რაჭელები მიწის სიმცირესთან ერთად განიცდიან ჭირნახულის დიდ ნაკლებობას. მოსახლეობის წლიური სარჩო აქ არ მოდის და იძულებულია ის სხვაგან შეიძინოს.


მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი აქ მესაქონლეობაა. მისღევენ უმოაერესად მსხვილი საქონლის მოშენებას. მაგრამ რადგანაც ზამთრის საძოვრები არა აქვთ და ზამთარიც აქ თითქმის რვა თვე გრძელდება, საქონელსაც განსახლებული რაოდენობისას ინახავენ. მართალია, ზაფხულის საძოვრები და სათიბებიც აქვთ, მაგრამ ეს ადგილები ისეთი შორი კლდეების მწვერვალებზეა, რომ ვლეხი ვერ ასწრებს მათ მოთიბებს და მარნილით ჩამოტანას, ისინი უკვე თოვლით იფრებიან. ამის გამო ვლეხი იმდენ სულ საქონელს ინახავს, რამდენის გამოკვებაც მას შეუძლია, დაახლოებით ოც სულს, რომელშიაც უმეტესი ძროხებია. წვრილფეხა საქონელიდან პყავთ ცოტა ცნკარი, თხა და ლორი.



გლეხი.

ზაფხულობით ეს საქონელი ირეკება ღურშევის, ნორჩულის, ლაფურის, ზოფხითოს, დომბურას, ედენის და სხვა საძოვრებლების სადაც ნოყიერი ბალახეული იზრდება. ამ საძოვრების ნორჩულის იჯარით იცემა ოსებზე და ყარაჩაელებზე.

საძოვრებისა და გარე-ყანების მიდამოში გლეხს საზაფხულო სადგომი და ბოსელი აქვს გამართული, სადაც ის აგროვებს და თავს უყრის წლიურ სარჩოს. აქვე აბინავებს მინდვრის საქონელს-დადაკაცები წველიან ძროხებს და სხვ.



რძის პროდუქტებში აქ ამზადებენ მცირე რაოდენობით კარაქს და ერბოს.

ნის სადლვებელა „ვარია“-ს ნაცვლად აქ „სეპარატორებია“ გავრცელებული.

რძისაგან ამზადებენ აგრეთვე შემდეგ საჭმელებს: ჰაირანს (შედედებული რძე), ხავიშს, ფიფინას (სიმინდის ფქვილის ფაფა), ჭიკას (ჭიკინტი ყველისა და ფქვილისაგან), ხაჭოს და სხვ. (ს. დათეშიძე, ფასის მთა და რიონის სათავე, გაზ. „ივერია“, 1884 წლის № 160).

შეძლებულ გლეხად აქ ის ითვლება, ვისაც მოეპოვება ათიოდე ქცევა სახნავი და სათიბი მიწა და ოცდაათი სული საქონელი. ღარიბები კი მიწასა და საქონელს ერთეულებით ითვლიან.

ერთი სიტყვით, მთის რაჭა ღარიბი კუთხეა, სადაც გლეხს მოჭარბებული და ზედმეტი სარჩო არ მოეპოვება, რომ ის ბაზარზე გაიტანოს და თავისი მრავალი ნაკლულოვანება შეივსოს. მაგრამ

ამავე დროს მისი მომრავლებული მოსახლეობა როსეპობის უძველესი შეკრიტიკული მთის რაჭელს ხელი მოეკიდა ხელოსნობისა და ვაჭრობის უძველეს და გადაელახა კავკასიონის ყველა მყინვარშვერი, რასაც ხელს უწყობს მისივე გეოგრაფიული მდებარეობაც. სამხრეთით რაჭის გზატკეცილით ის შეერთებულია რაჭა-იმერეთთან და მთელ საქართველოსთან. ჩრდილოეთით კი ჭანჭახის ან მამისონის, კირტიშოს<sup>1</sup> ლრჯამის და ნოწარის გადასასვლელებით დაკავშირებულია ჩრდილო კავკასიის ნაყოფიერ და საქონლით მდიდარ ველებთან. მამაკაცები მისდევენ კალატოზობას და ხურობობას და, როვორც კარგი ხელოსნები, რაჭელები განთქმული არიან როვორც წვენში, აგრევე ჩრდილოეთის ქვეყნებში: ბალყარეთში, ყარაბაში, ოსეთში და სხვ., სადაც ისინი სამუშაოდ წლობით გადადიან. დედაკაცები კი ოჯახში ხელსაქმობენ, ვანსაკუთრებით შალეულს ქსოვენ და ჩოხა-ნაბაღს ამზადებენ.

რაჭელები ამასთანავე ეწევიან ფეხზე საქონლით ვაჭრობას. ზამთრის მოახლოებისას გლეხი, საზამთრო საკვების სიმცირის გამო, იალაღზე ნასუქ პირუტყვს მოგებით ჰყიდის, სამაგიეროდ, გაზაფხულზე იმავე ფულით ნაზამთრ საქონელს იაფად ყიდულობს. რაჭელებს აგრეთვე გადმოყავთ ბალყარეთილან საქონლის ჭოგები და ონში მოგებით ჰყიდიან. ამ მხრივ დიდ უნარიანობას განსაკუთრებით ლებელები იჩენენ, რომლებიც გადადიან ჩრდილო კავკასიაში, ეწევიან იქ ფიზიკურ შრომას და შინაური პირუტყვითაც ვაჭრობენ. ამით აისნება, რომ ლებელებმა საქმაოდ კარგად იციან მათი ენა და ჭირნახულის დაბინავებისთანავე სამუშაოდ თუ სავაჭროდ ჩრდილოეთისაკენ მიეშურებიან, სადაც ზამთრის განმავლობაში მუშაობენ და თავსაც ინახავენ. გაზაფხულზე კი ზოგი მათგანი მონაგები ფულით თუ საქონლით ისევ შინისაკენ ბრუნდება, რომელთათვის კავკასიონის ყინულოვანი ქედის ფეხით გადალახვა მხოლოდ ერთი დღის საქმეა. ამგვარად, ეკონომიკურად მთის რაჭა უმთავრესად დამოკიდებულია ჩრდილოეთისაგან, საიდანაც

<sup>1</sup> ამ გზით ლებიდან დიგორში გადავიდა 1771 წ. გენერალ ტოტლებენის რაზმი, რომელიც გამოვზავნილი იყო ეკატერინე II მიერ იმერეთის მეფის სოლომონ I დასახმარებლად.

Digitized by srujanika@gmail.com



୧୯୦



ମୁରିଳ ଲେଖକ

გადმოაქვთ ჭირნახული და გადმოყავთ საქონლის ჯოგები. მოსახლეობის ზოგიერთი უმაღლესობა მცხოვრილი ასეთი მონაცემი არსებობს, რომელსაც ფოსტით ფულს აწედიან შორისულობას ჩრდილოეთში სამუშაოდ გაქრილი მამაკაცები.

მაგრამ რიონის ეს ვიწრო ხეობა მაინც ვერ იტევს მთის ამ შემჭიდროებულ მოსახლეობას და სამუშაოდ გასული მთიელიც თავისი სურვილის წინააღმდეგ, წმინდა ეკონომიკური აუცილებლობით, იძულებულია იქედან ოჯახიანი იყვაროს და ჩრდილოეთის მხარეში გადასახლდეს. მოსახლეობის ზრდის ამ პროცესის საილუსტრაციოდ ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ სტატისტიკურ შედარებას:

1884 წ. 1

	კომლი	მამაკაცი	დედაკაცი	სულ
სოფ. ლები . . .	148	958	886	1.844
სოფ. ჭიორა . . .	74	480	400	880
სოფ. გლოლა . . .	31	222	201	423

1923 წ. 2

სოფ. ლები . . .	382	1481	1366	2.847
სოფ. ჭიორა . . .	188	743	662	1.405
სოფ. გლოლა . . .	88	435	416	851

თუ ჩვენ ამ ცხრილს შევადარებთ 1926 წლის სრულიად საკავშირო აღწერისას (იბ. აქვე, გვ. 11), მაშინ ირკვევა, რომ მოსახლეობა აქ 1884 წლიდან თითქმის გაორკვეცებულია.

მოსახლეობის ეს ნამრავლი ყოველთვე ჩარდახიანი ურმებით მიემგზავრება ალაგირში, კისლოვოდსკში, ნალჩიკში და კავკავში, სადაც რაჭული ახალშენები თანდათანობით იზრდება. ამგვარად,

<sup>1</sup>. И. Л. Бахтадзе, Экономич. быт государствен. крестьян Рачинского уезда, Кут. Губ. (Материалы для изучения экономич. быта государствен. крестьян Закавказского края, т. II, Тифлис, 1886 г. გვ. 118, 124).

<sup>2</sup> სრულიად საქართველოს 1923 წლ. სასოფლო-სამურნეო აღწერის კატ. II, დემოგრაფია, ტფილის, 1926 წ., გვ. 96—103.

მიწისა და სარჩოს სიმცირემ, უგზოობამ და ცხოვრების სხვა მრავალმა სიდუბჭირემ აძლევა არსებობისათვის მებრძოლი მთის რაჭის ერთნაკრძალვის ელი, გადაელახა კავკასიონის ყინვარწვერები და ჩრდილოშოთ კასიაში შეჭრილიყო, საითვენაც ის დღესაც სტიქიურად მიიღოდა.

### 3. საზოგადოებრივი ზოფა

მთის რაჭაში თანადროულობა საკმაო სიძლიერით არის შეჭრილი. თვით რაჭელი მთიელებიც, რომლებსაც ეკონომიკური აუცილებლობით თითქმის წლობით უზდებათ უცხო ქვეყნებში და ქალაქებში სამუშაოდ თუ საეპროდ გადახვეწია, ადვილად თმობენ მამა-პაპურ ადათებს და ითვისებენ კულტურული ცხოვრების ახალ ფორმებს და წესებს. ამიტომ კავკასიონის ამ კუთხეში, საქართველოს დანარჩენ მთიელებთან შედარებით, სოციალური ყოფის ძველი ფორმები სამუღამოდ შერყეულია და სწრაფადაც ისპობა<sup>1</sup>.

სამავიეროდ, თანამედროვე მლელვარე რევოლუციური ხანა ამ ძველის ნაცვლად მთაში ამყარებს ახალ სოციალურ ურთიერთობას, რწმენას და მორიალს. დღეს სოფლად ამ კულტურული სიახლის გამტარებელია: სკოლა, კლუბი და სამკითხველო. ყველა ამას, რასაკვირველია, მცირე საზომით, არც ეს კუთხეა მოკლებული, სადაც 722 კომლზე არის ორი ოთხწლედი და ერთიც სოფლის ახალგაზრდობის სკოლა სოფ. ღებში. ახალი თაობა სწავლას აქ ძლიერ ეტანება და ცდილობს არსებობისათვის მის ნაყოფიერ გამოყენებას. მაგრამ სიღარიბისა და ხელმოკლეობის გამო მისი უდიდესი ნაწილი მოკლებულია, სწავლის ეს დიდი სურვილი დაიკმაყოფილოს. წერა-კითხვის მცოდნეობის მიხედვით მოსახლეობა ასეთ სურათს იძლევა:

<sup>1</sup> 1929 წლის ზაფხულს მთის რაჭაში კინოგადაღებებს აწარმოებდა სახუნ-მრეწვეს კულტურულმა ნინო ღოღობერიძის ხელმძღვანელობით. ამ ახლო მომავალში უნდა ვეღოდეთ, რომ ფართო საზოგადოება კინოს ეკრანზე იხილავს მთის რაჭას ბუნების სილამაზეს და მის დასურათებულ ყოფა-ცხოვრებას.



မြန်မာပြည်၊ ခီတာ၊ ရက်ကြံး၊ ပေါ်တော်

မြန်မာပြည်၊ ဒေသကြောင်း၊ အေရာင်း၊ လျှော့






გლობუსი

გლობუსი, ძველი სახლი



გლობას თემში	434	მამაკაცში	წერა-კოთხ.	მცოდ.	193
	487	დედაკაცში	"	"	99
ლების თემში	2014	მამაკაცში	"	"	გვიანდებულის 904
	2202	დედაკაცში	"	"	4491

მთის ჩაჭაში შემოღებულია და მოქმედებაშია საბჭოთა საქართველოს სოციალისტური კანონმდებლობა, რომელიც თავის „მმანით“ და მიწის სოციალიზაცია-კოლექტივიზაციით ქმნის საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულიად ახალ ნორმებს.



საოჯახო იერი და ხელსახმარი

ამ ახალ წყობილებას ეგუება ახალი თაობა, ძველი კი ისევ წარსულით ცოცხლობს, ეტრფის მამა-პაპურ რწმენას, აღათებს, და ზნეობის კანონებს. ამიტომ ჩვენ აქ მოკლედ შევეხებით ამ ძველი რაჭული ყოფის დამახასიათებელ ზოგიერთ მოვლენებს.

<sup>1</sup> მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლისა, ტფილისი, 1929 წ., გვ. 144.


4. ს. მაკალათია

უნდა აღვნიშნო, რომ საგვარეულო წყობილების დამახატაში  
ბელი მოვლენები, როგორც, მაგალითად, თემობა, შურისძეების ფლაკ  
სისხლის აღება, ყალიმი, ქალების მოტაცება და სხვ., რაჭის ფლაკების  
კიდევ ადგილი აქვს ხევსურეთში და სვანეთში, მთის რაჭაში ყვე-  
ლაფერი ეს უკვე მოსპობილია და დღეს მათ აქ არსად აღილი  
არა აქვთ. რასაკვირველია, ყველა ეს წესი თემობრივი წყობილე-  
ბის დროს აქაც არსებობდა<sup>1</sup>, მაგრამ მთის რაჭელებს საზოგადო-  
ებრივ ცხოვრების ეს გზა უკვე გაუვლიათ და მხოლოდ ზოგიერთ  
კონსერვატიულ ოჯახში დღემდე დარჩენილა ამ წყობილების მცი-  
რე ნაშთები.

აქაური შემშეიდროებული მოსახლეობა შეფენილია წოწოლა  
მთების კალთებზე და აქა-იქ ჭერ კიდევ მოჩანან მრავალსართული-  
ანი „დუროიანი“ სახლები.

სოფელში თითოეულ საგვარეულოს მისი ერთი უბანი უჭი-  
რავს, რომლის სახელსაც ეს უბანი ატარებს. გვარი შედგება რამ-  
დენიმე კომლისაგან. თითოეული კომლი ატარებს თავის განსაკუთ-  
რებულ სახელშიდებას, რომელიც დაკავშირებულია წინაპრისა თუ  
ოჯახის უხუცესი პაპის ან მამის სახელთან, ზოგჯერ წარმოშობის  
ადგილთან და სხვ. ამ მხრივ სოფლებში მოსახლე გვარები, ზაგა-  
ლითად, ლობჯანიძეები იყოფიან: ხოშიტიანი, ნანუკიანი, ლაშეენი,  
ზვიადეენი, ჯოტეენი, სვანეენი, ჯოჯოენი და სხვ.; გობეგიშვილები:  
შალიკიანი, ერმილეენი, გოგეენი, ნინეენი, ლეტუეენი და სხვ.;  
გავაშელიშვილები: ქაოზეენი, ნასხიდეენი, გოტოიანი, გივიტიანი,  
ქუტუნეენი, ჯამოეენი, ოთუკეენი და სხვ.; გოგრიჭიანი: ჩხუტე-  
ენი, ლეჩხუმელეენი, საგიეენი, მამუჩიანი და სხვ. მხოლოდ ამ კომ-  
ლობრივი სახელით შეიძლება აქ ადამიანის მონახვა. მაგალითად,  
თქვენ თუ იყითხავთ ივანე ლობჯანიძეს, მას ვერ გიჩვენებენ. უნდა  
იყითხოთ ივან ზვიადეენთ ლობჯანიძე, რომელი სახელით ეს კომ-  
ლია ცნობილი და მაშინ კი გაიგებენ. მათში გვარს არ იხსენიებენ  
და ხშირად არც იციან ამა თუ იმ პირის გვარი, არამედ ჩვეულებ-  
რივად იტყვიან: მისა ერმილეენთი, მამუკო ნინუკიანთი და სხვ.


<sup>1</sup> ამას მოწმობენ, სხვათაშორის, მოგზაურ დიუბეუს ცნობებიც, რომელსაც  
ამის საიდუსტრაციოდ მდგრობინდელი ცოცხალი მაგალითებიც კი აქვს მოყვა-  
ნილი (იხ. ზისი, Voyage Autour du Caucase; III, გვ. 415).



საკარტული

თავიანთი ტიპიურობით მთის რაჭველები არაფრით განსხვავდებიან ქვემო რაჭველებისაგან. ამ მთიელებსაც ახასიათებთ ჯანმრთელობის სისალე<sup>1</sup>, ფიზიკური აღნაგობის სიმკვრიცე და სახის კეთილი მოყვანილობა. აგრეთვე სიდარბაისლე მოქმედებაში და მეტყველებაში. საუბრობენ წმინდა ქართული ენით დინგად და კოლოიანად.

<sup>1</sup> 1929 წლის ზაფხულს მთის რაჭაში მოსახლეობის ჯანმრთელობის გამოსაყლებად მუშაობდა ჯანსახურმისარიატის სამეცნიერო-ქარტურგიული ექსპედიცია ექ. ი. ასლანიშვილის ხელმძღვანელობით (ამის შესახებ ექ. ასლანიშვილის მოკლე წინასწარი ანგარიში იხ. გამ. „კომუნისტი“ № 278 (2624). ამ ექსპედიციის საკვლევ-სამიებო მუშაობის შედეგები ახლო მომავალში გამოქვეყნდება ჯანსახურმისარიატის სამკ. განკ. კრებულში. უნდა აღინიშნოს, რომ ექ. ასლანიშვილის ამ მხრივ მუშაობა სულრედ რომ მისაბაძია, რომლის მიზანია ჩვენი ჩამორჩენილი მთიელების ჯანმრთელობის მეცნიერული შესწავლა-გამოკვლევა და ამ მიმართულებით ის საედალებულადც მუშაობს. ჭიორის ფორმა. სურათის მოწოდებისათვის ექ. ი. ასლანიშვილს მაღლობას მოვახსენებ.



ଲୁହାନଙ୍କ ଶବ୍ଦ




მათ ქართული თქმის მხოლოდ ახასიათებს „ძვე“, „ყვე“ და „ჭიათუ“  
(ჭიორაში) ხშირი ხმარება!

ზოგიერთი კომლი აქ ჯერ კიდევ მამა-პაპურ დუროიან ცისლიში  
ცხოვრობს და ოჯახის მრავალ წევრს ითვლის. ამგვარ დიდ ოჯახებს  
შორის სოფ. ღებში ცნობილია მამუკო მახარის აქ ლობჯანიძისა და  
ხაოუკიანთ ორდანეშვილები (გავაშელიშვილის) ოჯახი. ამ დიდ და  
ჯერ გაუყოფელ ოჯახებში დღესაც დაცულია გვაროვნული წყო-  
ბილებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთ წესი. მაგალითად, სოფ.  
ღებში დიდი ოჯახის სათავეში დგანან უფროსი მამაკაცი „ბაბუა“  
და უფროსი რძალი „ბებიად“ წოდებული. ოჯახის ბაბუას ეკითხება  
სასოფლო და სამეზობლო საქმეები, რომელსაც ემორჩილებიან  
ოჯახის მამაკაცები. თავიანთ მონაგებ ფულს თუ ნივთს მამაკაცე-  
ბი უკლებლივ ამ ბაბუას აბარებენ, რომლის განკარგულების ქვეშ  
იმყოფება ოჯახის თანხები და ის საჭიროების მიხედვით ოჯახს ახ-  
მარს. ბაბუას თავისი საპატიო საჭდომი სავარებელიც აქვს „საკარ-  
ცხულად“ წოდებული, რომელიც კერის თავთან დგას და მასზე  
სხვის არავის დაჯდომა არ შეუძლია.

საღიასახლისო საქმეები კი ბებიას აბარია, რომელსაც ოჯახის  
ყველა ქალი ემორჩილება. რძლებს შორის ბებია ერთი წლით უფ-  
როს-უმცროსობის დაცვით ირჩევს თანაშემწეს „ვეზირად“<sup>1</sup> წოდე-  
ბულს. ვინც ვეზირობს, ოჯახის ყველა გასაღებიც მას აბარია,  
რომლებიც რგოლშია ასხმული და ვეზირს წელზე ჰქიდია. ვეზირს  
ოჯახის ბებიის ზედამხედველობით ევალება ჭირნახულის აკრეფა  
და დაბინავება, რომლის დაუკითხავად ოჯახიდან არაფერი გაიცე-  
მა. დანარჩენი ქალ-რძლები ვეზირის თანამოსამსახურებად ითვ-  
ლებიან, რომლებიც შველიან მას კერძის განაწილება-მიწოდებაში,  
გაგზავნ-გამოგზავნაში და სხვა საოჯახო საქმეებში.

ქალებს პირადი შრომით მონაგები საბრუნავი თანხაც აქვთ,  
რომლითაც თავიანთ „ბოშებს“ — გოგოებს მოსავენ, ბიჭებს კი  
მამაკაცები აცმევენ. ბაბუასა და ბებიას თაოსნობით ოჯახში ყვე-  
ლაფერი თანაბრად ნაწილდება, ყველანი ერთად და თანხმობით

<sup>1</sup> „ძვე“ იხმარება უკვეს მნიშვნელობით (მე ქვე მოვიტანე); „ყვე“ ბრძ. კილ.  
და ნაცვლისახელის ნაცვლად (წაიყვანეს); „ჭიათუ“ შემოკლებული შენი ჭირიმეა  
(მოვიტანე ჭი).



ଗୁଣ୍ଡେ-ଦେଖରେଲ୍ଲଙ୍କିଳିଙ୍କି ଦେଉଣିବାନ୍ତି ଶବ୍ଦରେ

მუშაობენ. ჩხუბს და ყოველგვარ უსიამოვნების ქალებს შორის ბიი აწესრიგებს, კაცებს შორის კი — ბაბუა. თუ ოჯახური ეჭყარება მაყალი დარიგებით არ მოგვარდა, მაშინ ბაბუა დამნაშავეს ჭარხებულა უთავებებს. მაგრამ თუ ოჯახის მშვიდობიანობისათვის აუცილებელია ზისი რომელიმე დამნაშავე წევრის გამორიცხვა, მაშინ იწვევენ ოჯახის ყველა წევრს და სერთო ბჭობის შემდეგ წყდება ულირსი წევრის ოჯახიდან გაძევების თუ შეწყალების საკითხი.

ვაჟურის დროს ქონება ყველა მამაკაცზე თანაბრად ნაწილდება. ამ შემთხვევაში უფროსი ვაჟის განსაკუთრებული უფლება და წილი არ არსებობს. ქალებს კი მამულში და საზოგადოდ ოჯახში წილი არა აქვთ. საოჯახო მუშაობაც განაწილებულია.

მამაკაცები მიწის მმუშავებენ, თიბავენ, შეშის ეზიდებიან და სხვ; დეღაკაცები კი საოჯახო საქმეებს უძლვებიან, საქონელს მწყემ-სავენ და ყანებსაც მყინვან.


#### 4. პოზის დამახასიათებელი რეალიები

მთის რაჭაში ნივთიერი კულტურის საყურადღებო ძეგლებია დარჩენილი. განსაკუთრებით საინტერესოა მათი ძეგლებური საცხოვრებელი სადგომები თავიანთი არქიტექტურული ფორმით და შინაგანი მოწყობილობით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ღლემ-დე დაცული რაჭული კოსტიუმის ძეგლი ფორმა და ჭრილობა. ნივთიერი კულტურის ყველა ეს ნაშთი იქ ღლითიღლე ისპობა და ჩქარა სამუდამოდაც გაქრება. მხოლოდ სოფ. ღებშია დაცული 50-მდე ძეგლებური „დუროიანი“ სახლი, სადაც ჭერ კიდევ ფუს-ფუსებენ ჩიქილიანი მოხუცი დედაკაცები. სხვაგან კი ეს ძეგლი სადგომები თანამედროვე მოთხოვნილების მიხედვით გადაკეთებულია ან დაუნგრევიათ და ამ ძეგლი მასალით ახალი ტიპის სახლები აუშენებიათ. ეს დუროიანი სახლი ნაშენია ქვითკირისაგან და თავისი არქიტექტურული ფორმით და სტილით წააგავს სვანურ „მურყვამს“ — კოშკს. მხოლოდ მასთან შედარებით უფრო დაბალია და ოთხ სართულს არ ღემატება. ამასთანავე, ეს რაჭული დუროიანი სახლი თავისი დანიშნულებით საცხოვრებელი შენო-



საქართველო  
შიგნიური მინისტრი

საშუალება



### კირა

ზაც არის და არა მარტო საომარი, როგორც სვანური კოშკია. ამ დუროიანი სახლის სიმაღლე უდრის 11,68 მეტრს, სიგრძე 9,57 მეტრს და სიგანე 8,32 მეტრს. მისი საძირკვლის მოელი ფართობი კი 79,62 კვ. მეტრია. ქვედა სართულში ბოსელია გამართული. მეორე სართულში საცხოვრებელი ბინაა შუა კერით მოთავსებული. კედლებში დატანებული აქვს: სარკმლები, კვებოები და საბუდოები. მესამე სართული დღეს საკუჭნაოდ არის გამოყენებული, მაგრამ ძველად მას სამარქაფო დანიშნულება ჰქონდა, სადაც ოჯახის ნამრავლს ათავსებდნენ. ამ სართულსაც აქვს კვებოები და სარკმლები დატანებული. მეოთხე სართული დუროიანია (სათოფურები), რომელიც კოშკის დანიშნულებას ასრულებდა. ამ სართულს ოთხივე მხრივ დატანებული აქვს ოთხ-ოთხი თაღიანი და ჰუჭრუტანიანი დურო (სათოფურები). მისი შერი „მარწუხებისაგან“ შედგება და „კოშკიალაზეა“ დაყრდნობილი. კოშკიალა კი „დირეზეა“ გამართული, რომელსაც ქვეშ ბოძი აქვს შედგმული. დუროიანი სახლი გადახურულია ყავრით და ზოგან კი ფიქალო ქვებით. ზოგ დუროიან სახლს მიშენებული აქვს კიბე, ხის დერეფანი, ხორბლის საშრობი — „საფიცხებელი“, ბეღელი და სხვ.

მაგრამ საუკუნეთა მანძილზე ცხოვრების ცვალებადობასთან




### კერის თავის თრნაშენტი

დაკავშირებით იცვლებოდა ამ დუროიანი სახლების ნაგებობის კონსტრუქცია და დანიშნულება, რასაც მოწმობენ ამ დუროიანი სახლის გვერდით არსებული მეორე, უფრო გვიანდელი ტიპის სახლები, რომლებიც იმავე გეგმითაა ნაშენი, მაგრამ დურო უკვე მოხსნილი აქვს და ორი სართულისაგან შედგება. ქვეშ ბოსელია გამართული, ზემოთ კი — საცხოვრებელი ბინა. ასეთ სახლებში კერა უკვე მოშლილია და ბუხრებია გამართული. სარკმლის ნაცვლად ფანჯრებია გამოკრილი და აივანიც აქვს მიშენებული.


მესამე ტიპს წარმოადგენენ ქალაქურ გეგმაზე აშენებული სახლები ოთახებით, კარ-ფანჯრებით და აივანით გამართული. ახალი ტიპის ეს სახლები შეგუებულია თანამედროვე ყოფასთან, ამიტომ აქ ყველგან შლიან ბნელსა და გამჭვიარტლულ დუროიან სახლებს და იმავე მასალით აშენებენ ამ უკანასკნელი ტიპის სახლებს.

ძველებურ დუროიან სახლში კერაა გამართული. კერაზე დაგებულია „ყვერბი“, რომელიც წარმოადგენს ბრტყელ ფილაქანს; თავ-



სკამ-საკული

თან მას მოყუდებული იქნეს მოვრძო და შუაში ამოკვეთილი ქვა „ქვა-კერალ“ წოდებული, რომლის ორივე თავზე ამოჭრილია სვასტიკა (მზის სიმბოლო). კერაზე ჩამოკიდებულის საკიდელი — „საქვა-ბე“, რომელიც „ოჯინჯალით“ ან „საფუნებელით“ სხვენზეა მიმაგ-



სკამ-ლოვინი.

რებული. საკიდელის მახლობლად „სამკერე“ პკიდია, რომელიც  
დაც ქვარი ანთია. კერასთან საპატიო ადგილის დგას უფრო კარგი საფრთხეების შემთხვევაში გრძელი „სკამ-საკაცედ“ წოდებული. სახლის თახები მარტინ კვებობში ინახება ოჯახის სახმარი ჭურჭელი და სხვა წვრილმანი. კადლის ერთ მხარეზე გამირთულია საწოლი „სკამ-ლოგინი“. ის კუთხედი ფორმისაა და აქვს დაჭრელებული მოაგირი.

მეორე კედელთან მოთავსებულია „არმანი“, რომელშიაც გა-  
ომიცხვარ პურს და კერძს ინახავენ. არმანზე დგამენ ვარცლს. კედ-  
ლებზე პკიდია ოჯახში სახმარი სხვადასხვა ჭურჭელი და წვრილმა-  
ნი. წყლის ჭურჭლად იხმარება კოვა, თუნგი და განსაკუთრებით  
„საერმელა“, რომელიც მთლიანი ხისაგან არის გამოთლილი. ტან-  
სამოსს და თეთრეულს ინახავენ რთული ჩუქურთმებით და ლა-  
მაზი სახეებით დაჭრელებულ სკივრებში.


ორნამენტისა და მოჩქურთმების მხრივ ძველი სკივრები გა-  
ცილებით უფრო მხატვრულადაა შესრულებული, ვიდრე შემდეგი  
დროისანი, რომელსაც ახსიათებს ორნამენტის სისაფავესთან ერ-  
თაღ ამოჭრის დაბალი ტექნიკაც.

ტანთჩაცმულობისა და მოკაზმულობის მხრივ მოს რაჭა უკვი-  
თანამედროვე ფორმაზე გადასული. მხოლოდ მოხუცი ქალები  
ატარებენ ძველ რაჭულ კოსტიუმს, განსაკუთრებით სოფ. ღებში,  
საღაც დღესაც მრავალი ახეთი კოსტიუმია სკივრებში ჩალაგე-  
ბული.

ეს კოსტიუმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: გრძელი და  
გვერდებისაგრილი ჰერანგი, რომელსაც ქვეშ იცვამენ. მასზე იცვა-  
მენ ფერად დაბამბულ საგულეს. საგულე პერანგზე უფრო მოკ-  
ლეა.

ზემოდან იცვამენ ყუთმაჯიან „კაფითარას“ (კაბა), რომელიც თა-  
ვისი კრილობით წააგავს ქართულ ყუთმაჯიან მამაკაცის კაბას. წელზე იქრავენ გრძელ სარტყელს და იფარებენ წინსაფარს. გულ-  
მკერდს იმკობენ: ნიშნის ბალთით, ვერცხლის ლილით, უინულილით,  
ფიფინდურებით, „ანგაროზით“ და სხვა სამკაულებით.

თავზე ხურავთ თეთრი მიტკლისაგან შეკერილი და უკან იზი-  
ბაღ ჩამოვრძელებული „ჩიქილა“, რომელსაც ქვემოთ შემოვლე-




### წყლის ზიდვა

ბული აქვს „ფოჩი“ და „ჩიმჩიყი“ ჩიქილაზე იხვევენ თავშალს“, „თავსაკონაღ“ წოდებულს.

ფეხზე იქეთებენ საჭვივეებს, რომელსაც „წვივსაკონით“ — „ლეკვერთხებით“ იკრავენ. იცვამენ წინდებს, წუღებს „პვახუჭებს“ (უბრალო ქალამანი) და ბანდულებს. ხელის თითებს იმკობენ სარდიონის თვლებიანი ბეჭდებით.

ამ რაჭული კოსტიუმების უმეტესი ნაწილი შევი სატინისაა, მაგრამ აქ მოიპოვება იგრეთვე ფერადი ფარჩა-ატლასისაგან შეკერილი და მდიდრულად მორთული კოსტიუმებიც. ქსოვილები ადგილობრივი არ არის, ყველა ფაბრიკულია და სხვადასხვა შორეული



0 10 20 30 40 50 60 70 80 90 100

როდინი და მისი თავი

ქალაქიდანაა შემოზიდული. საყურადღებოა, რომ ამ რაჭულ ტანისამოსს თავისი წარმოშობით უკვეელია კავშირი აქვს ძველებურ ქართულ კოსტიუმთან. და ეს რაჭული „კაფთარაც“ თავისი ფორმით და ჭრილობით ქართული ყურთმაჯიანი კაბის პროტოტიპია.

დღეს ეს ძველებური კოსტიუმი უკვე ისპობა, მას ატარებენ მხოლოდ მოხუცი დედაკაცები. ახალი თაობა იმოსება თანამედროვე ფორმისა და მოდის ტანისამოსით. მამაკაცები ატარებენ ჩვეულებრივ იმერულ ჩოხა-ახალუხს და შარვალ-ხალათს. სოფლის ქალები იცვამენ შავი სატინის მოკლე კაბას და გრძელ ზედატანს. თავპირს იხვევენ შავი ან თეთრი მოსახვევით.


ტანისამოსი საღაა, უსამყაულო და გაუწყობელი. ყველაფერი ეს ფაბრიკულია.



აღამიანის არსებობის ეს სამი მთავარი მომენტი ხალხურ რწმენაში დაკავშირებულია მრავალგვარ ცრუმორწმუნეობასთან. მა შემთხვევებში აღამიანის ყოველგვარ მოძრაობას ეძლევა ერთგვარი ჯადოსნური მნიშვნელობა, რომლისგანაც დამოკიდებულია მისი აქტეული ბედნიერება თუ უბედობა. მა ხალხური ჩვევების აღწერას ჩვენ აქ მშობიარობის წესებით ვიწყებთ.

მთის რაჭაში ორსული ქალი ყოველგვარ უსიამოვნებას გაუბის, მას განსაკუთრებით წყევლისა ეშინია. ფეხმძიმე ქალი ზოგიერთ საჭმელს არ ვამს და პირუტყვის დაკვლისაც ვერ ესწრება. მელოგინეს მიწაზე დაგებულ ჩალაზე ან თივაზე აწვენენ. მას ბებია ქალი უვლის, რომელიც იმავე დროს სხვადასხვა ჯადოქრობით და შელოცვებით ცდილობს მშობიარობის შემსუბუქებას. მელოგინეს ბალიშის ქვეშ ხანგალს ამოუდებენ, რომ დაიფაროს იველებისაგან. ქმარი მას ჩოხის კალთით მოტანილ წყალს დაალევინებს. შემდეგ სახვნელს (სახნისს) სამჯერ დაშლის და ისე ააწყობს, დასასრულ ის სახლში შემოდის და მშობიარეს სამჯერ გადაალაჭებს. თუ მშობიარე ძნელად არის, მაშინ მას სამეცენ „დათვის კუდას“ ამ ბალისის დანაყილ შავ მარცვლებს წყალში ხსნიან. ეძახიან, ვისაც გვილ-ბაყაყი გაუშორებია და დაბმიარებას სთხოვენ. ის მიდის წისქვილში, წყალს გადაუგდებს და იტყვის: „წისქვილს წყალი გადამიგდია, გვილ-ბაყაყი გამიყრია, დედა-შვილიც გამიყრია“ (სამჯერ) და გამობრუნებისას მელოგინესთან შეიცლის.

ახალდაბადებულ ბავშვს პირველად ბებია აიყვანს და, თუ ვაჟია, კერაზე თავს დააკვრევინებს და ეტყვის: „ფულის ილბალიმც გექნებაო“. შემდეგ მას ღვინოს გადაასხამენ, რომ მაგარი ვაჟაცი გამოვიდესო. ბებიავე აცნობებს ოჯახს მელოგინის მორჩენას. თუ ვაჟია, იტყვიან: „ლმერთმან გაზარდოს და იღბლიანი კაცი გამოიყვანოსო“, თუ ქალია, ლმერთმან მეორეზე ვაჟი შეგძინოთ. შემდეგ მელოგინეს დაბანენ, სისხლიან ჩალას სწვავენ და ბავშვის ბუდეს კი ბოსელში მიწაში ჩაფლავენ. ერთი კვირის განმავლობაში ბავშვს ბებია უვლის და ის სრულებს ყოველგვარ დედობრივ



### სკივრი

მოვალეობას. თუ ბავშვი ლამაზია, მას უცხოს არიდებენ, რაღაც, მათი რწმენით, ყმაწვილს „თვალი ეცემა“, „დაითვალყებაო“. ამიტომ ავი თვალის წინააღმდეგ აკვანზე ჰყიდებენ: „ანგაროშს“ (ავგაროში), დუას და სხვა თილისმებს.

რაც შეეხება ქორწინების და გლოვის წესებს მთის რაჭაში, თანამედროვე სოციალ-ეკონომიკური პირობების ზეგავლენით უკვე საგრძნობლად შერყეულია და ძელის ნაცვლად ახალი თაობა თანდათანობით დღევანდელ წესებზე გადადის, მაგრამ ძელი ყოფის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაშთი დღესაც ცოცხალია და ამიტომ საინტერესოა ქორწინების და გლოვის რიტუალის გაცნობაც:

ამასთანავე საყურდალებოა, რომ მთის რაჭის ამ იდათებში დაცულია საგვარეულო ოჯახისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაშთიც, მაგალითად, ამ რამოდენიმე წლის წინათ მათში ერთგვა-



ମତୀଳ ରାଜ୍ୟରେଣୁଳି ନଗବୀ



გლოლა. ჟედეულაქი

სოფ. ჭორი. ეკლესია





ლეგი. დუროვანი სახლი

გლოლი. ეკლესია



რიანების შეუღლება აკრძალული იყო და ნათესაობაც ვრძელდებოდა მოდა მეშვიდე თაობამდე. გავრცელებული იყო აგრეთვე აკანიშვილის „დაწინდვა“ (დანიშვნა). სოფელში თუ ერთ ოჯახს ქალი შეეძინებოდა და მეორეს — ვაჟი, და თუ ორივე ოჯახი ერთმანეთთან მეგობრულ განწყობილებაში იყო, ამ შემთხვევაში მათი დედაკაცები მოლოგინების ორმოცი დღის შემდეგ შეხვდებოდნენ წყაროზე ერთმანეთს და უწინ ქალის დედა ასეთი სალმით მიმართავდა: „დიდება მოწყალე ღმერთს, მშვიდობით გაღარჩი და ვაჟი ქვე გავიზარდოს ღმერთმა; გამეხარდა შენი ვაჟი და მორჩენა, ისე მე გავიზარე ჩემი ქალიშვილის ლხენით.

მაღლობელი ვარ; ენაცვალე, გაიხარე შენი ქალიშვილის კაი ყოფნით. მაღლობა უფალს, შენც მშვიდობით გადარჩი და მეორეზე ბიჭუნა (ვაჟი) გექნას გასაზრდელი. ბიჭუნა ქვე გამეზრდება შენთვინ ამ გზობიათ, მაღლობა უფალს! ლეთის ნაბოძარი ყველა შვილია — ვაჟიცა და ქალიც.

იუურთხოს ლეთის სახელი! ლირსი არა ვარ მის წყალობის, ასეთი ლამაზი ბოშუჭა (გოგო) შემეძინა, რომ ვაჟზე ნაკლებად არ მიმაჩნია. მაინც ქვე მიყვარხარ ჩემო და, თუ შენი ნებაც იქნება, მოდი, ქვე დავმძიხლდეთ.

ბატონი ბრძანდები, ივი ნუ მოგცეს, მე შენ მძახლად ვერ დაგიწუნებ; ღმერთმა ბედნიერ დღესა და მთვარეზე ინებოს ჩვენი შეილების შეთვისება<sup>1</sup> და ამის შემდეგ ხელს აძლევლნენ ერთმანეთს, პირობის დადებას ჩქარა ნიშნობაც მოჰყვებოდა ხოლმე და ამ დღეს ქალიანთა ძღვნით მოდიოდნენ ვაჟის დედ-მამა. სადედამთილოს მოჰყონდა ნიშნის შემდეგი ნივთები: თვალედი ბეჭედი, ვერცხლის ლილი და თავშალი „ბურსეულად“ წოდებული. ამ სამკაულებს სადედამთილო თავისი სარძლოს აკვანზე ჩამოჰყიდებდა და მძახლებიც ერთმანეთს ასე ულოცავდნენ: „ჩემო მძახალო, ჩემი და შენი გამონარჩევი ბედნიერად ინებოს ღმერთმან“-ო. ამას მოყვებოდა სადილი და სმაში ღმერთს შესთხოვნდენ პატარა დანიშულების ბედნიერებას. ამ „ხელდების“ შემდეგ პირობის დარღვევა შეუძლებელი იყო, რომელსაც შედეგად მოჰყვებოდა ხოლმე

<sup>1</sup> ღებელი, ბავშვების აკვანშევე დაწინდვის შესახებ, გაზ. „ივერია“, 1904 წ., № 121.

დაუსრულებელი შფოთი, შურისძიება და სისხლის ღვრულობა  
ვანში დანიშნული დაასაკებამდე მოკვდებოდა, სანიშნოდ ქვეტყველი  
ნივთების დაბრუნება ვაჟის ოჯახის სურვილზე იყო დამზადებული.  
მაგრამ, როდესაც აკვანში დანიშნულები თავიათ ასაკს მი-  
აღწევდნენ, ვაჟი 15 წლის და ქალი 13—14 წლისა გახდებოდა,  
მაშინ მშობლები შეუდგებოდნენ მათი დაქორწინების სამზადის.  
სასიძო ვალდებული იყო საცოლეს მშობლებისათვის საძუძური  
მიერთმია, რომლის რაოდენობა დამოკიდებული იყო ვაჟის შეძ-  
ლებაზე და საცოლეს ღირსებაზე. ამ საძუძურით დედა თავის ქალს  
უმზადებდა ლოგინს და სხვა საჭირო ნივთებს.



### აკვანი

აკვანში დაწინდვის ეს წესები, როგორც აღვნიშნეთ, დღეს აქ  
უკვე მოსპობილია და ქალ-ვაჟების შეუღლება „მოციქულების“  
მეშვეობით წარმოებს. ქალს მზითევს უმზადებენ სასიძოსაგან მი-  
ტანილი „საძუძურის“ თანხიდან, რომლის რაოდენობის განსაზღ-  
ვრისათვის მექორწინეთა პატრონები იკრიბებიან და ბჭობენ, თუ  
66

რამდენი უნდა მიართვან სარძლოს მშობლებს საძუძურში. პატიო-  
ძალს შეუძლია აგრეთვე წაიღოს თავისი მონაგები ფული, ფურცელი  
წოდებული „საბრუნავი ფული“, რომელიც მის პირად საკუთრებულ  
შეაღენს. დანიშნულების ოჯახები ერთმანეთს მოსაკითხავ ძლევებს  
უგზავნიან; ახალ წელიწადს სულზე ვაშლს, აღდგომას წითელ კვერ-  
ცხებს და სხვ.


თუ დანიშნულ ქალს საქმრო მოუკვდა, მაშინ მისი შერთვა სა-  
მაზლოს შეუძლია, თუ მათი მშობლებიც თანამანი იქნებიან.

კვრის წერი საზოგადოდ მიღებულია ქალის სოფელში, სადაც  
სასიძო თავის „ანქრით“ — მაყრით მიემგზავრება. აქ მათ მიულო-  
ცავენ გვირგვინოსნობას და ასაჩუქრებენ ნივთებით და ფულით.  
ვახშმის შემდეგ აიშლებიან, პატარძალს წამობურავენ „ბურსეულს“  
და მაყრიონი თოფების სროლით და სიმღერით სიძისას გაემართე-  
ბა. აქ ნეფე-პატარძალს კარებში დედამთილი ხვდება ხელში ბაჭუ-  
ლით და შაქრით, ულოცავს მათ ბედობას და შაქარს შეავმევს.  
ოჯახში შესვლისას ზოგან ნეფე-პატარძალს კვრის ვარშემო სამ-  
ჯერ შემოატარებენ, რომელზედაც კასრით საფუარი დგას და ორი-  
ვენი მას სიმჯერ წალმა მოაბრუნებენ. შემდეგ იმართება ქორწი-  
ლი. პატარძალს მუხლზე ვაჟს დაუსვამენ, რომელსაც ის ტკბილე-  
ულით და ფულით ასაჩუქრებს. იწყება „თავგადასაგდების“ მირთ-  
მევა ფულით თუ ნივთებით.

ნეფე-პატარძალს ლოგინს პირველად „ფეხმომხდელი“ უშლის,  
რომელიც ნეფისაგან საჩუქარს იღებს. პატარძალი უწინ ნეფეს  
ხმას არ გასცემდა, სანამ მისგან „საუბროს“, ე. ი. ვერცხლის ფუ-  
ლებს არ მიიღებდა. „მდადრემ“ მწოლარე ნეფე-პატარძალს გვირ-  
გვინი უნდა მოპაროს, ნეფე მასაც ასაჩუქრებს. სახელის ნაცვლად  
ცოლ-ქმარი ერთმანეთს ეძახია: ქმარი—ცოლს „შენ, ბოშო, ქალო“.  
ქალი — ქმარს: „კაცო, შენ“ და სხვ.

ქორწილთან დაკავშირებულია აგრეთვე მრავალი ცრუმორწმუ-  
ნეობა. მაგალითად, თუ რამე გატყდა ქორწილში, ეს ცუდი ნიშანია,  
რადგან ამით ნეფე-პატარძალს ბედი გაუტყდებათო. ნეფის სახლი-  
დან მექორწინეებს პატარძლისას არაფრის წალება არ შეუძლიათ,  
რადგანაც ამით პატარძალს ბედი გაუბრუნდებათ და სხვ.

რაც შეეხება ტირილისა და გლოვის წესებს, მთის რაჭაში შედა-



ლების წყარო.

რებით უფრო მარტივია და შეგუებულია თანამედროვე ეკონომიკურ პირობებს. ძეელებური ღიღი და დაუსრულებელი ქელეხები უკვე საგრძნობლად შემცირებულია და დღეს სრულდება განსაზღვრულ ფარგლებში. გარდაიცვლება თუ არა ადამიანი, მას მაშინვე გასუდრავენ, კუბიში ჩასვენებენ და მხოლოდ ერთ ღამეს გათენებინებენ. მეორე დღეს იმართება ტირილი. კუბოს თავთან დგამენ მრგვალ მაგიდას, რომელზედაც მისი სულის საგზლად ალა-

გია განატეხი და ერთი ჭიქი ღვინო. ზოგი მოტირალი ამ მაგიდაზე დებს ხილს თუ ტკბილეულს და თან ტირილით ამბობს. ფარეჯული პირი შენ გაისველე, სამოციქულოდ არ მარგივარ, მაგრამ ეჭირებულია (თავისი მიცვალებულის სახელს იტყვის) მიუტანეო“.

ტირილის დღედ საქელეხო შესაწევრად მოკეთებს მოაქვთ სამ-სამი დაჭრელებული მრგვალი პური „ჭირის შოთაღ“ წოდებული, ნათესავებს კი — ცხრა-ცხრა ასეთი. ტირიან მოთქმით, ზოგჯერ დატირება „ზრუნით“ იციან, რომელიც ჩვენში გავრცელებულ „ზარს“ წააგავს. მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ იმართება ქელეხი, საღაც ნუგეშსა სცემენ მგლოვიარე ოჯახს. სასაფლაოდან გამობრუნებისას სახლის კარებთან ჭირისუფალი ხელპირს იძანს, რომ „კურცხალი“ ცრემლი ოჯახში არ შეჰყვეს, რაც მათი რწმენით გამოიწვევს ახალ ცრემლებს. მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ ერთი კვირის გაზმულობაში ხორცეულს არ ჰამენ. მეშვიდე დღეს იმართება აღაპი ან „ხელის გახსნა“, საღაც პირს იხსნილებრინ.

მაგრამ ამით არ თავდება მთის რაჭაში მიცვალებულზე. ზრუნვა. მას ყოველ კვირა და დიდ დღესასწაულებში, ყოველ შემთხვევაში, ერთი წლის განმავლობაში, საკურთხს უშზადებენ. მოსახსენებლებში ყველაზე მნიშვნელოვანი და ხარჯიანი აღდგომის აღაპია, ეგრეთ წოდებული „ჩამოსარიგი“ ან „მოსაკითხი“. ამ დღეს მიცვალებულის პატრონი უმასპინძლდება მთელ სოფელს და მათ ოჯახებს უგზავნის იმდენ წითელ კვერცხს, რამდენიც იქ ვაჟია.

ერთი სიტყვით, გლოვის ამ წესებიდან ირკვევა, რომ მთის რაჭელები ჯერ კიდევ შეპყრობილი არიან ანიმისტური რწმენით და ქაური გლეხიც დარწმუნებულია, რომ მიცვალებულის სული ასებობს და მას სჭირია მოვლა და პატივისცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ბოროტ სულად იქცევა და მის ოჯახს ავნებს. ამიტომ ზოგი ცრუმორწმუნე გლეხი უფრო მზრუნველობას იჩენს მიცვალებულის გამოკვებაზე და თავის სარჩოს ანიავებს, მაშინ როცა „ჩამოსარიგი“ აღაპის შემდეგ ოჯახის ცოცხალი წევრები ხშირად დამშეულები სხედან.




კვირა დღე ლებედი



ხალხური რწმენის გასარკვევად საჭიროა ამ რწმენის გამოტევითი კულტივისა და რიტუალის გაცნობა, რომელსაც ხალხი ერთგვა-ზი სასოებით ასრულებს. თვით ამ რიტუალს გამოყენებითი და-ნიშნულება ეძლევა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანისა და მისი მეურნეობის კეთილდღეობას. ამიტომ ოჯახის სალოცავად თითო-ეულ სიტყვას და მასთან დაკავშირებულ რიტუალს ცრუმორწმუნე ადამიანის წარმოდგენაში ერთგვარი ჯადოსნური მნიშვნელობა ეძ-ლება.

ამასთანავე, გონიერივად ჭერ კიდევ ყრმობის ხანაში მდგომ გა-უთვითცნობიერებული ადამიანისათვის ძნელი იყო ბუნების მოვ-ლენათა საიდუმლოს გაეგძა და ის თავდაცვის მიზნით მიმართავდა სხვადასხვა ჭადოსნურ საშუალებებს, რომ ამით მკაცრი სტიქი-ური მოვლენების საშინელებანი თავიდან აეშორებინა. ამ მიზნით ოჯახის უხუცესის მიერ ითხზებოდა ლოცვები და იქმნებოდა ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებული რიტუალი, რომლის სა-შუალებით ადამიანი ცდილობდა ბოროტების დათრგუნვას. რწმე-ნის ასეთი პრიმიტივობა მთის რაჭველებსაც ახასიათებთ და მათი ოჯახებიც ჭერ კიდევ გარემოცულია კეთილი და ბოროტი სულე-ბით, როლებსაც რაჭველი გლეხი დღესაც ლოცვით მიმართავს. ეს ლოცვები და მათთან დაკავშირებული რიტუალი ემსახურება გლე-ხის სოციალ-ეკონომიკური ყოფის სხვადასხვა დარგს, მაგალითად, ოჯახის კეთილდღეობას, საქონლის მომრავლებას, მიწის განაყო-ფიერებას და სხვ. ამიტომ ცრუმორწმუნე გლეხი იძულებულია ყველშლილურად უკლებლივ შეასრულოს ყველა ეს წესი, წინა-ღმდეგ შემთხვევაში, ის დარწმუნებულია, რომ ღმერთი მის ოჯახს დასახის საქონლის თუ ჭირნახულის დაზარალებით. ამასთანავე, აყურადღებოა, რომ ოჯახის ეს სალოცავები მთის რაჭაში უკვე გაქრისტიანებულია, სადაც წარმართი ლოთაებების ნაცვლად ქრის-ტიანული წმინდანები მოქმედებენ. ამ ცრუმორწმუნეობის მატა-ჩუბელი და თაყვანისმცემელი ქქ მოხუცებია, ურწმუნო ახალი თა-ობა კი ამ შემთხვევებით მხოლოდ სარგებლობს, რომ გემრიელი „ბაჭულებით“ (ერბო-ყველიანი კვერები) გამოძლეს.

თავდაპირველად ჩვენ აქ შევუდგებით ახალწლის მიგებების



### ტანსაცმელი


წესების განხილვას, რომელშიაც მოცემულია ხალხური რწმენის და მაგიურობის ზოგიერთი დეტალი<sup>1</sup>.

იხალ წელიწადს მთის რაჭველი დიდის მოწიწებით ეგებება რომლისაგან ის მოელის თავისი წლიური სურვილების განაღებას. ახალწლის წინა დღით თითოეული გლეხი ოჯახში ერთ მარხილ შეშას მოიტანს. ამ მარხილზე დებენ ჩიჩილაკს, „ნეკერს“ (თხილის ბიბილო) და „თომს“ (ფეხის თივა). ამავე დღეს საახალწლო ღორს ჰყლავენ, ვისაც ღორი არა ჰყავს, „ნებიერს“ (ნასუქ მოზევრი). ღამე აცხობენ საახალწლო ბაჭულებს, მათში ერთს ძველი წლისთვის. იგრეთვე აცხობენ აღამიანის სახის კაცა-ბასილას და ერთ დიდ პურს, „კერია-ბერიად“ წოდებულს, რომელიც პატარა რკალებითაა დაჭრელებული. ამ ნამცხვრებს ოჯახის მეკვლე, „მაკვრიელი“ ცხრილზე დაალაგებს, გვერდში საზედაშედ ერთ ბოთლ ღვინოს მოუღვამს და ბეღელში შეინახავს.


<sup>1</sup> სერ. მაკალათია, ახალი წელიწადი საქართველოში, ტფილისი, 1927 წ.

მამლის ყივილისას მექვლე დგება და ცეცხლს დაანთებს. შემდეგ დეგ გარეთ გადის და მარხილზე დაწყობილ ნეკერს, თომშე უდიდესად ჩილაქს იღებს და ბელელში შევა. იქ ცხრილს იღებს და ყველა ამით უკანვე სახლში შემობრუნდება. იღებს „კერია-ბეთიას“ პურს და საფუარზე დადებს, აბრუნებს მას მარჯვნივ და ხმამალლა მეტყველებს: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი, დიამც მოგივა ახალი წელი: შეძენის და მოგების, მშვიდობის და კარგად ყოფნის, ღვინიანობის, პურიანობის, საქონლის გამრავლების... ღმერთო, ბედნიერი წელიწადი მოგვიბრუნეო“. ბოლოს ხმის აწევით დაიძახებს: „მრავალი ახალი წელიწადი გავითენოთ ღმერთმან“. ამაზე ოჯახი უპასუხებს: „შენც მრავალი ახალი წელიწადი გავითენოს ღმერთმან“. შემდეგ ოჯახის მექვლე ცხრილს ვარცლზე დებს და წყლის მოსატანად წიგა, რომლის დაბრუნებამდე ლოგინიდან ყველანი დგებიან და მექვლეც მათ ხელ-პირს აბანინებს. ხალხის რწმენით ამით ძროხებს მთელი წლის განმავლობაში კარგი წველა ეწენებათ.

მექვლე იგრეთვე ბოსელში შედის და იქ ახალ წელიწადს საქონელსაც მიუღლოცეს და თან თივასაც დაუყრის. საუზმის წინ „კერია-ბერია“-ს პურიდან ბეჭდებს მოჭრიან და ყველას სათითაოდ დაურიგებენ, დანარჩენს კი ბეღლის თითოეულ თვალში ჩასდებენ, ბარაქიანი მოსავალი იქნებათ. ახალ წელიწადს ყველანი ფუსფუსებენ და მხიარულობენ, რომ სიზარმაცე და სიავე არ დაეკვებოთ. მექვლეს ირჩევენ კარგი ფეხისას, რომლისაგან დამოკი-



ბერანგი.




### საგულა

დებულია ოჯახის ბარაქიანობა. მეკვლეს მოლოცვამდე ოჯახში არავის უშეებენ.

ამ დღეს მონადირეები „იმზიან“, ე. ი. ნიშანში ვარჯიშობენ და ამის მიხედვით მომავალზე წინასწარმეტყველებენ. იციან ერთ-მანეთის ძლვნით მოკითხვა და ახალწლის მილოცვა.

ერთი სიტყვით, ახალწლის ეს რიტუალი დაკავშირებულია მზის ღვთაების რწმენასთან (გაზაფხულის მზის მოქცევასთან), რომლის მკრთალ ანასახს აქ წარმოადგენს ადამიანის სახის ნამცხვარი „ქაცა-ბასილა“. და ამ ახლად მოქცეულ მზეს მთიელი მეკვლე შესთხოვს ჭირნახულის დოვლათიანობას, საქონლის გამრავლებას, ოჯახის ბეღნიერებას და საერთოდ მშევიღობიანი წელიწადის მობრუნებას. რაც შეეხება საახალწლო პურს „კერია ბერიას“, როგორც მისივე სახელი მოწმობს, ის დაკავშირებული უნდა იყოს ოჯახის კერის თაყვანისცემასთან, რომელიც ოჯახის უხუცესი წინაპრის სადგომად ითვლებოდა. და ამ ოჯახის მფარველ ბერს (უხუცესს) რაჭ-ველი მეკვლე, მისივე გამოსახულების „კერია-ბერიას“ პურზე შეს-თხოვს ოჯახის ბარაქიანობას.



### ც ი ბ ე

ოჯახის დოვლათიანობას მთის რაჭველი ევეფრება წმ. შიოს და უხდის მას „შიოობას“. ამ მიზნით ყველიერის ხუთშაბათს ოჯახის უხუცესი აიღებს ორ კვერცხს და ორ განატებს (კვერს) და წმ. შიოს შესთხოს მის ოჯახში ბარაქა დაატრიალუოს. ლოცვის შემდეგ ამ კვერცხებს და კვერს არმანში შესდებს, ვარცლზე ღვინით სავსე ჭიქს დგიმს, რომ როდესაც შიო გამოიყლის, მისი მათრახის კუდი ღვინოში ჩაეწობა და ოჯახშიც დოვლათი დატრიალდებათ. თუ ჭიქა ცარიელი დახვდა, შიო ოჯახს დასწყვევლისო.

ოჯახის გამრავლებას შესთხოვენ სახლის ანგელოზს და ამ მიზნით გათხოვილი ქალები იხდიან „სანამალეოს“. სოფ. ჭიორაში მას უწოდებენ „არ ვარგიას“. ხუთშაბათ დღეს, სადილის შემდეგ, ყველა მამაკაცს და ბავშვებს სახლიდან დაითხოვენ, რადგანაც ხალხის რწმენით, ამ სალოცავის დანახვაზე მათ თვალები ასტკივათო. შემდეგ „ნაგვირგვინევი“ ქალები აიღებენ განატებს, ღვინოს, იმავე დღეს დაჭლული ცხოველის ასოს და ლოცულობენ, რომ სახლის

ანგელოზმა ოჯახი გაამრავლოს. დასასრულ, კვერებს იქვე  მართვა  
ლად შექმამენ.

მაგრამ ამ ნამრავლს ხშირად მტრობენ და სიცოცხლეს უსპონ-  
ბენ სხვადასხვა სახად-„ბატონები“. მათ წინააღმდეგ კი მთის  
რაჭველი სრულიად უძლურია და ამიტომ იძულებულია ამ ბორო-  
ტი „ბატონების“ პატივსაცემად ერთი კვირა საგანგებოდ იმარხუ-  
ლოს, რომელსაც პირურწყობა ეწოდება. ამ მარხვის დროს ოჯახი  
ევედრება „ბატონებს“, დაიფაროს ის ყოველგვარი ყვავილისა და  
სახადისაგან.

ოჯახთან დაკავშირებულია აგრეთვე „მაცხოვრის მარხვა“, რო-  
მელსაც აქ ყველიერის წინა კვირას იხდიან. მარხვა იწყება ორშა-  
ბათიდან და გრძელდება ოთხშაბათამდე. ოთხშაბათს, დილაადრიან,  
მამლის ყიფილისას სოფლის ბიჭები დგებიან, ჯგუფ-ჯგუფად გროვ-  
დებიან და ოჯახებს უვლიან შემდეგი სიტყვებით: „დიდება ბრძა-  
ნა მაცხოვრისა ჯვარცმისა წმიდა გიორგისა ზედქალაქისაო“<sup>1</sup>. ოჯახის  
პატრონი გამოდის და მათ აძლევს პურს, ლვინოს, ფულს და თან  
სთხოვს ვაჟის საბედოს დალოცვას ან გვირგვინის დალოცვას, თუ  
ოჯახში ახალი ჯვარდაწერილები არიან. აგრეთვე მიცვალებულის  
შენდობას, თუ ოჯახში ვინმე ახლად შესვენებულია. მოგროვილ  
სანოვაგეს და ლვინოს ბიჭები სოფლის ბოლოს გაიტანენ და იქ  
მხიარულ სადილს გამართავენ.

მაცხოვრის მარხვის დაწესების შესახებ აქ ისეთი გადმოცემა  
არსებობს. ძეელად ღების მაცხოვრის ჯვარი თურმე სვანებს მო-  
უბარავთ და ამის გამო ღებელებიც დაღონებულიან. ამ დროს სოფ-  
ტიორაში ცხოვრობდა თურმე განთქმული მონადირე ბათხაძე, რო-  
მელსაც შემთხვევით ნადირის მაგივრად შვილი შემოკვდომია. თავ-  
ზარდაცემულ ბათხაძეს თავის ცოდვის მოსანანიებლად განუზრა-  
ხავს სვანეთიდან ღების ჯვრის ჩამოტანა. ბევრი ძებნის შემდეგ  
ბათხაძე შეპარულა სვანეთის ერთ ეკლესიაში, სადაც მოპარული  
ჯვარი შეუგულებია და უთქვამს: „მაცხოვარო, იჩინე თავი, თორემ  
ბნელაში ვერ დაგინახეო“. ჯვარი მას მართლაც ჩვენებია და მისი  
წამოსვენება განუზრახავს, მაგრამ დაგეტილი კარებიდან გამოსვლა

<sup>1</sup> ზედქალაქი სოფ. ღებშია ძეელი ნასაყდარი, ახლა სასაფლაოა.



ჭანურის დაკრა

ვერ მოუხერხებია. მაშინ ბათხაძეს პატარა სარქმლიდან უცდია ვაძრომა, მაგრამ ჯვარი ვერ გამოტეულა. ბათხაძე შეშფოთებულა და უთქვამს: „მაცხოვარო, შენ იდრიკე თავი და მეცაო, თორემ დაკრჩითაო“. ჯვარი მოხრილა და ორივენი გამოსულია.

ბათხაძის დაგვიანებით მთელი ლები დაფიქრებული ყოფილა, მაგრამ ოთხშაბათს, მამლის პირველ ყივილისას, ბათხაძეს ზედქალაქიდან გაღმოუძახნია: „დიდება ბრძანე, მცხოვარო, ჯვარცმისა წმ. გიორგი ზედქალაქისაო“. ხალხი აშლილა და მას აღფრთვავანებით მიგებებია. ამის აღსანიშნავად ეს მარხვაც დაუწესებიათ.

ბათხაძის ჩამოტანილი ეს ჯვარი დღესაც სოფ. ღების ეკლესიაში  
დაცული, ვერცხლითაა მოქედილი და ცოტათი მოხრილია კარის გვერდის შეუზრე-  
ობის ერთ მნიშვნელოვან დარგთან — მესაქონლეობასთან. შინაურ  
პირუტყვს გათვითცნობიერებულმა ადამიანმა თავისი მფარველი  
ცრუ ღმერთები გაუჩინა. მისი რწმენით მხოლოდ ამ ღვთაებათა  
შევეძრებით შესაძლებლია პირუტყვის ნაყოფიერი მომრავლება  
და მათი ყოველგვარი ფათერაჟისაგან დაცვა. ამიტომ ის სხვადასხ-  
ვა ლოცვებით და ჭადოსნური წესებით ცდილობს ამ ღვთაებაზე  
თუ ანგელოზებზე ერთგარი ზეგავლენის მოხდენას, რომ ამით სა-  
ქონლის ჭოვი გაიმრავლოს და კეთილადაც მოიხმაროს.

მთის ჩაჭის სოფლებში ჯერ კიდევ საღურობენ ასეთი ანგელო-  
ზები, რომლებსაც გლეხები თავიანთ სალოცავებს უხდიან. ყვი-  
ლიერის წინა შაბათს აქ იციან „ბოსლობა“. აცხობენ კაცის სულ-  
ზე ბაჭულებს. შეღამებისას უფროსი აიღებს ორ ბაჭულს, კვერ-  
ცხებს და ბოსლისაქენ გაემართება, თან მხოლოდ ვაჟებს წაიყვანს.  
ბიჭები ერთმანეთს ზურგზე შეასხდებიან და საქონლის ხმაზე  
ბლავიან, თან ხშირად იძახიან: „ბოსელ, ბოსელ, ბუ!“ შევლენ ბო-  
სელში, დაბმულ პირუტყვს სამჯერ შემოუვლიან და იტყვიან:  
„დათვი მჭლე და შენ სუქიანი, გაზაფხულზე გასვინტრიკდი“ (გა-  
სუქდი). შემდეგ თვალს იხუჭავენ და კვერცხს ბაგაში მალავენ,  
ვინც იპოვის, ის ბედნიერი იქნებათ. აქვე შეექცევიან ბაჭულებს  
და თან ლოცულობენ: „ანგელოზო, საქონლისაო, შენ ამრავლე  
და დაიფარე ნადირისაგან ჩვენი საქონელიო“. ბოსლიდან გამობ-  
რუნებისას პირველად სახლის კარებს მიადგებიან, რომელსაც დი-  
ასახლისი შიგნიდანვე ჩაკეტავს. მამასახლისი იტყვის: „კარი რკი-  
ნისაო“ (სამჯერ), დიასახლისი უპასუხებს: „არა მეუფისაო“ და  
გაიმართება ასეთი კითხვა-პასუხი:

დიასახლისი

მამასახლისი

ხარებმა რა შამოსთვალეს?

სახენელი უღელი დაგვიმზა-  
დეთო.

ძროხებმა რა შამოსთვალეს?

სახბორე დაამზადეთო და ჩვენ  
მზად ვართო.

ცხენებმა რა შამოსთვალეს?

საჯინიბე დაგვიმზადეთო.

ცხვრებმა რა შამოსთვალეს?

თხებმა რა შამოსთვალეს

ღორებმა რა შამოსთვალეს?

კაცებმა რა შამოსთვალეს?

ქალებმა რა შამოსთვალეს?

ყანებმა რა შამოსთვალეს?

ქაომებმა რა შამოსთვალეს?

საკრავე დაამზადეთო და ჩვენ  
მზად ვართო. გარენაზე  
სათიკნე დაგვიმზადეთო.

საღორე დაგვიმზადეთო.

თოფ-იარაღი დაგვიმზადეთო.

აკვნები დაგვიმზადეთო.

ბელლები დაგვიმზადეთო.

საწიწილე დაგვიმზადეთო.

და სხვ. შემდეგ კარებს აღებენ და დიასახლისი მამასახლისს სახე-  
ზე აზელილ ქატოს მიიყრის, რომ ოჯახს მოარული არ შეეყარო-  
სო. დასასრულ ვახშმობენ.

ასეთივე ხსიათისა და დანიშნულებისაა მეორე საღოცავი „თე-  
ღორობა“, როდესაც წმ. თეღორეს ევედრებიან საქონლის გამრავ-  
ლებას, განსაკუთრებით ცხენისას. ამიტომ დიდი მარხვის პირველ  
შაბათს აცხობენ კვერებს და თეღორეს შესთხოვენ ცხენისა და  
ხარის მომრავლებას. ამ დღეს ზოგი ხარს შუბლს პარსავს და ვი-  
საც ცხენი ჰყავს, ცხენის ბეღზე მარხულობს. სოფ. ღებში წმ. თე-  
ღორეზე შეწირულია ერთი სათიბი და ორი ყანა. თეღორობას ამ  
მამულის შემოსავლიდან პურსა და ღვინოს ყიდულობენ. შემდეგ  
თეღორობა დღეს ეკლესის ეზოში იკრიბება კომლზე ორი კაცი,  
ღოცულობენ და ამ პურ-ღვინოს შეექცევიან. ასეთივე მფარველი  
ანგელოზი იქ გოჭებსა და ქათმებსაც ჰყავთ და მათ „გოჭისხუთ-  
შაბათსაც“ უხდიან. ამ დღეს გოჭს კლავენ და განატეხებსაც აცხო-  
ბენ. ვისაც დასაკლავი გოჭი არა ჰყავს, ღორის რაიმე ნაწილი მაინც  
უნდა იშოვოს და ამ კვერებით საქათმეში ილოცოს გოჭისა და  
ქათმის მომრავლებაზე.

მაგრამ რაჭველი მთიელის რწმენით, ამ სახლის ანგელოზების  
გარდა მის ოჯახზე და საქონელზე რაღაც ჯადოსნური გავლენა  
ახალ მთვარესაც აქვს, რომლის განრისხებას შეუძლია დააზარა-  
ლოს მის ოჯახი ცეცხლითა და ნაღირითა. ამ მიზნით ის იხდის  
„ცინცხლობას“, (ახალი მთვარე). მთვარის მოქცევის პირველ პა-  
რას კევს მარხულობენ და უქმობენ, რომ ოჯახს ცეცხლი არ გაუჩნ-  
დეს და ნაღირმა საქონელი არ დააზიანოსო. ამიტომ ცინცხლობის



მაცხოვრის ჯერი უჭირავს მოხუც „ბაბუას“ მამუკო ლობგანძეს.

გატეხა მათში შეუძლებელია და თუ ვინმეს ცეცხლისა და ნაძორებისა განვითაროთ საგან რაიმე ზარალი მოუვა, მაშინ იტყვიან, „რომ მან ცინცა კუნძულები არ შეინახაო“.

ამასთანავე, ახალ მთვარეს აქ „თავზნესაც“ უკავშირებენ და, ვისაც ეს ავადმყოფობა მოუარს, იტყვიან: „თავზნემ მოუარა, რომ დღეს ცინცხალი არისო“.

მაგრამ ადამიანისა და საქონლის გარდა მტერი ქათმებსაც ჰყავდათ — ცნობილი წუწყი მელია, რომელიც მუდამ საქათმებს დარაჭობს, მის მოსაშორებლად მთიელი გლეხი მიმართავს — „მელაკურკუტალაობას“. აღება ღამის წინ ოჯახებში იცხობენ „ბობჩუანებს“ (ოთხკუთხედ ხაჭაპურებს), რამდენიც ბავშვია. ამ ბობჩუანებს ბავშვები წაიღებენ სოფლის ვარეთ, შევლენ იქ რომელიმე გადახურულ სადგომში, მოსტებენ ბობჩუანებს ოთხივე კუთხეს, ისერიან მალლა და თან გაიძახიან: მელა, მელა, კურკუტალა, თხის სურა და სამოსელა, ჩვენს ქათმებს ნურას ერჩი, სხვისი ქათმები წაიღეო“. შემდეგ სიმღერა-თამაშით კვერებს იქვე შეჭირენ.

ხალხური სალოცავების მესამე ჭგუფი დაკავშირებულია გლეხის მეურნეობის მეორე მნიშვნელოვან დარგთან — მიწათმოქმედებასთან. პრიმიტიული იარაღებით აღჭურებილი, მიწის დამუშავების არმცოლნე და ვონებრივად ჭერ კიდევ განუვითარებელი მიწის მუშა თავიდანვე ვერ ერკვეოდა ბუნების მკაცრ მოვლენათა კანონზომიერებაში, რომლებიც გვაღვისა და კოხის, მეხისა და სეტყის სახით ხშირად ინადგურებდნენ მის ყანებს და ბალ-ბოსტნებს. შემდევში ეს სტიქიური მოვლენები დაუკავშირდა ადამიანისავე შეთხზულ ამა თუ იმ დევთაების ნებისყოფას. ბუნების ამ სტიქიონთა ძალოვანობით დამფრთხალ გლეხს დღესაც სწამს, რომ მიწის კარგი ნაყოფიერება და ჭირნახულის დოვლათიანობა დამოკიდებულია ბუნების ამ გაღმერთებულ მოვლენათა კეთილგანწყობილებაზე. და ამ მიზნით ცრუმორწმუნე გლეხი ცდილობს ლოცვებითა და სხვადასხვა რიტუალის შესრულებით მათი გულის მოგებას. წინაღმდეგ შემთხვევაში ის დარწმუნებულია, რომ მის ყანებს განადგურება მოელის.

ამიტომ მთის რაჭველების ყანებიც ჭერ კიდევ ამ ცის ბატონების ხელშია და ცრუმორწმუნე გლეხიც იძულებულია ლოცვიბით და რიტუალურ წესთა შესრულებით მათზე ერთგვარი ზეგავ-  
6. ს. შეკალათია



მამუკა ლობგანიძე თანასოფლელებთან

ლენა მოახდინოს და ამით სარჩო გაიბევროს. ამ მიზნით, მაგალითად, როდესაც მინდვრის სამუშაოზე პირველად ვაღიან, სანამ ბოსლიდან ხარებს გამოიყვანენ, ბოსლის კარებთან მიიტანენ ახალწლის კერაზე ნარჩენ მუგუზზალს და მას აანთებენ. ოჯახის უფროსი ხელში განატეხით, რომელზედაც კოვზით საფუარია მოთავსებული, ბოსელში შევა და ხარებს ამ ანთებულ მუგუზზალზე გაღმოატარებს და მათ მარჯვენა ბეჭებზე საფუარს ჯვარულად ამოსცებს. შემდეგ ის ხარებს ყანაში წაიყვანს, განატეხიდან გულს მრგვალად ამოჭრის და ხარს მარჯვენა რქიზე ჩამოჰკიდებს. ამასთანავე აკეთებენ პურის „ლულუას“ (გრძლად ამრგვალებენ), რომელსაც მიწაში ჩაფლავენ და იტყვიან: „ლმერთო, ამისთანა თავთავი გაუკეთე ჩვენს ნახნავსო“. აკეთებენ პურის ბურთულებსაც, ისერიან მაღლა და თან ამბობენ: „ამ სიმაღლე გაიზარდოს და ამოდენა ჭირნახული დადგესო, ამის ქვემო ნისლი ნუ წამოვა, თორებ ყანებს მოგვინისლავსო“ და სხვ. ამ სიმბოლური წესების შესრუ-

ლების შემდეგ გლეხი შეუდგება ყანის ხვნა-თესვას. მაგრა ზოგადი ხანგრძლივი გვალვა დადგა და ნათესს მოსცლა გაუჭირდა, ამას გლეხი იძულებულია „გონგაობა“-ს მიმართოს. ამ მიზნით სოფელი ირჩევს ორ კაცს, რომლებსაც შეგონვავენ, ე. ი. სახეზე მუს წა-უსვამენ და ხელში ცოცხს მისცემენ. დაგონჯილები ეზო-ეზო და-დიან, ოხუნჯობენ, თან პევიან და მტვერს აყენებენ. შეგონჯილებს სოფლის გოვოები გაეთამაშებიან და, როდესაც მათ წყალს გა-დასხმენ, მაშინ ყველანი ერთხმად გაიძიხიან: „წვიმა მოვიდა ზე-ცისაო“. გვალვის დროს ღრუბლის ბატონს ითას იხსენიებინ. მაგ-რამ რომ ის სეტყვაო არ მოვიდეს, წმ. გორგისაც ევედრებიან. შეგონჯილებს საჩუქრებენ, პურით, კვერცხით და სხვ.

გონგაობა დღეს მთის რაქაში თითქმის მივიწყებულია და გვალ-ვის დროს ღებში სამ ამორჩეულ კაცს გზავნიან რიონის გაღმა-მდებარე ტბაზე („ტბათავალ“ წოდებული), რომელშიაც ღორის ჭვალს ჩააგდებენ. ხალხის რწმენით ეს უებარი საშუალებაა ივლ-რის მოსაყვანად და ცდაც ირასოდეს არ გაცუდებულია, მაგრამ ხანგრძლივი ივდარი და კოხიც საზარალოა ნათესისათვის და გლე-ხი ამის წინააღმდეგ „კოხინჯობას“ იხდის. ახლა ის ევედრება ღრუბლის ბატონს ელიას, დაიფაროს მისი ყანები კოხისა და სე-ტყვისაგან. ამ მრისხანე ღვთაების გულის მოსაგებად გლეხი მსხვერ-პლად ჰკლავს ციკანს, რომლის თვესა და ტყავს მაღალ მწვერვალ-ზე ჩამოჰკიდებენ და ის იქვე ლბება.

ბუნების ამ სტიქიურ მოვლენათა გარდა გლეხის უკვე დამწი-ცებულ ყანას აზიანებენ იგრეოვე ფრინველები და ნადირი. მათ მოსაშორებლად მთის რავეელი ასრულებს „ჩიტაფაფაობას“. ამ მიზნით ყველიერის შაბაოს აქ ამზაღებენ ერბიოან ფაფას. ფაფიან ჯამს დიასახლისი დაიკავებს და სახლის კარებში დადგება. ბავშვე-ბი ეზოდან შესძახებენ: „დედა, რახა შვრები?“ ამაზე დედა უპა-სუხებს: „ჩიტაფაფასო“. ბავშვები შეეყითხებიან — ვის და ვის აქ-მევო? დედა უპასუხებს — შენ და შავლესა და გამრეკელასაო. დედა-ჩიტები სად არიან? ბავშვები — დავითიახოსაო! ამ სიტყვების შემ-დეგ დედა ფაფიან ჯამს ბავშვებს გადასცემს. ბავშვები იღებენ ჯა-მიდან ფაფას, წაუსვამენ სახლის კედელს და ამბობენ: ეს ბეღუ-რას, ეს ყვავს, ეს ქორს, ეს დათვს, ეს მგელს და სხვ. ხალხის რწმენით, ამ რიტუალის შესრულებით გარეული ფრინველებია და

ცხოველები ყანებს აღარ გვნებენ. ასეთი ჭირის ოფლით შესაბურთებული ნილი ჭირნახულის აკრეფისა და დაბინავების შემდეგ მთელი მადლობის ნიშნად ყანის ამ ბატონებს უხდის „ნამგზის და კალო-კრობა“-ს. ამ დღეს აქ საგანგებო საღილს ამზადებენ, ღმერთს მადლობას სწირივენ კარგი მოსავლისათვის და თან შესთხოვენ, რომ მან ეს ჭირნახული ოჯახს კეთილად მოახმაროს.

ამგვარად, ცრუმორწმუნე გლეხი მთელი წლის განმავლობაში ამ კეთილი ანგელოზების ფერებაზი და მონურ სამსახურშია. რომლებსაც ის კვერებითა და ზეარავის მირთმევით სიმბოლურად კვებავს.

შაგრამ ამავე დროს გლეხს თავდაცვა ბოროტი სულებისაგანაც უხდება, რომლებიც მისივე რწმენით, სხვადასხვა სახით ებრძვიან აღამიანის ოჯახის კეთილდღეობას.

რაჭის მთიულების რწმენით, ევი სული დასადგურებულია ავთვალია აღამიანში, რომელსაც ისინი „წყეულს“ უწოდებენ. მათი წარმოდგენით ეს წყეული უჩინარია, შევა ოჯახში და აჯადოებს საქონელს, ფრინველს, აღამიანს და მის ყანებსაც. ამას კი, ხალხის რწმენით, მოპყვება ოჯახში ბარაქიანობის გაწყვეტა, საქონლისა და ვარინახულის ზარალი, აღამიანის სიკედილიანობა და სხვ. ამიტომ საჭიროა ამ წყეულისაგან თილისმითა და ჯადოქრული საშუალებებით თავდაცვა. ამ მიზნით მთის რაჭაში ქალები გულზე „ანგაროზს“ ატარებენ. ეს ანგაროზი წარმოადგენს გრძელ გრაგნილ ქალალდს, რომელშიათ მოთავსებულია შელოცვები ავთვალის წინააღმდეგ და გამოკრულია უბრალო ტყავში. როგორც თილისმას, ატარებენ აგრეთვე სამკუთხოვან „დუას“ (ჯაღო), ნიჟარებს, თეთრ ზოლიან მძივებს „სათვალედ“ წოდებულს და სხვ. ამ თილისმებთან ერთად წყეულისაგან თავდასაცავად აქ აგრეთვე სხვადასხვა შელოცვებსაც მიმართავენ, რაღვანაც ხალხის რწმენით, თუ წყეულის თვალნაკრავს დროშე შელოცვით არ ეშველა, ის კიდევაც კვდება. ამიტომ როდესაც წყეულისაგან თვალნაკრავი ავადმყოფი შემლოცველ დედაკაცთან მიღის, უკანასკნელი მიმართავს შემდეგ ჯადოქრულ საშუალებას: იღებს დანას და ნახშირს ფხევავს მთენარებით, უბერავს მას და თან ასე ჩურჩულებს: „ფუ, გაქრა „მაკლებელი“. წმ. გოორგიმ დაწყიოს: ორშეაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათი. ამ დღეებში რა დღეს

  
შეგეშინდა? თვალ შევმა შეგაშინა, ძუძუ კოკობმა შეგაშინა, რულ კოკობმა შეგაშინა, თვალ მაჩხამ შეგაშინა, თვალ ავმა შეგაშინდა ძალლის ყეფის შეგეშინდა, მამლის ყივილის შეგეშინდა, ამ დღეებზე ირშაბათს შეგეშინდა, ღამე შეგეშინდა თუ დღე შეგეშინდა: თუ ამ დღეში რა დღეს გამოვეყარა: ირშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს თუ შაბათს. ჯვარი ვინც რა იცოდეს დანადებისაგან, ფიქრისაგან, მოარული ღამისაგან ჯვარი გეწეროს. თეთრი ქორი მოვიდა, თეთრი ფერი მოვიტანა, წითელი ქორი მოვიდა, წითელი ფერი მოვიტანა. შევი ქორი მოვიდა და შენი ჭირი და სატკიცარი წაიღო. გაქრა ქარიცითა, გაწყულდა წყალიცითა, შენი ავი თვალითა და გულით მამზირალი. სამას და სამმა წმ. გორგიმ დაგწეროს ჯვარი და გადაგავლოს თვალი” (სოფ. ლები, ნუსია სვანეენი ლობჯინიძე, 60 წლ).

მთის რაჭაში, როდესაც საქონელი ღამე ტყეში ან მინდორში უარჩება, ასე შეულოცავენ: „ეკენია, ბეკენია, ბერსა ხატი სვენებია, ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე ცხრა კლიტენი კლიტონია, ნაჯირს კბილი შეუკარი, მეკობრესა ხელ-მხარია, ჩაგდე ზღვაში, ნუ ვაუშებ გზაში. ღმერთო, დაიფარე ჩვენი საქონელი ნაჯირისა-განო”. ამ შელოცვის შემდეგ შეკრავენ კანაფით სავარცხელსა და მაკრატელს, რომ ასე შეეკრას ნადირს კბილით, და სკამის ქვეშ შესდებენ.

ასეთავე შელოცვებია აქ დაცული ირსულ ქალზე, შაკუზე, თვალის ტკივილზე, გველის ნაკბენზე და სხვ., რომლებიც უმთავ-რესად ქართული კარაბადინიდანაა ამოლებული და გავრცელებული.

დასასრულ, უნდა აღვნიშნო, რომ ეს ცრუმორწმუნეობა და-ცულია არა მარტო მთის რაჭაში, არამედ ზოგიერთი ცვლილებე-ბით გავრცელებულია ზემო და ქვემო რაჭაშიც<sup>1</sup>. სოფ. ლებიდან მოყოლებული ნიკორწმინდამდე. და ამ არ გეოგრაფიულად და-ზორებულ მანძილის ფარგლებში, მიუხედავად მაღალი მწვერვა-ლებისა და ღრმა ხევებისა, რწმენის ერთობა დღემდე დაცულია. ეს გარემოება, როგორც ამას სვანთა სიგელიც მოგვითხრობს, მოწმობს, რომ რაჭელები მთიულეთში გვიან გადასახლებულან და მთის რაჭას ზემოსა და ქვემო რაჭასთან შეუწყვეტელი ეკო-

<sup>1</sup> Н. Миндели, Сел. Сори, Сбор. мат. для опис. мест. и племен Кавказа, вып. XIX, гл. 84—143; Г. Джапаридзе, Народные праздн. обычай и поверья, рачинцев, Сбор. мат. вып. XXI, отд. II, гл. 107—150.

ნომიკურ-კულტურული კავშირი პქონია. თუ ჩვენ ამასთავთ რაჭულ სალოცავებს შევადარებთ საქართველოს სხვა კულტურული სას, დავინახავთ, რომ რაჭული უფრო ენათესავება ქართლის წესებს, ვიდრე სვანურ-მეგრულს. მაგალითად, შიომობა, ჩიტაფაფაობა, გონჯობა და სხვ. რაჭაში და ქართლში ერთი და იგივე წესით და მნიშვნელობით სრულდება. ეს დეტალი თავისთავად საყურადღებოა და აყენებს რაჭულ-ქართლური ხალხური რწმენის ერთობის საკითხს, რომლის საბოლოო გადაჭრა ყერ, რასაკეირველია, ნაადრევია და რომელიც მოითხოვს უფრო ხანგრძლივ და სერიოზულ შესწავლას.

## 7. საქულტო აღგილ-სამლოცველოები და გათთან დაკავშირებული რიტუალი

იმ საოჯახო ხასიათის სალოცავების გარდა, რომელსაც თითოეული კომლი თავისი ოჯახის ფარგლებში მამასახლისისა და დიასახლისის მეთაურობით ასრულებდა, არსებობდა იგრეთვე სახოფლო და სათემო სამლოცველოები. აქ სადგურებდა თემის მფარველი ღვთაება, სადაც წლის განსაზღვრულ დროს ხევისბერის მეთაურობით მთელი თემი ლოცულობდა.

წარმართობის ეს წმინდა აღგილ-სამლოცველოები დროთა ვითარებაში ქრისტიანულმა ტაძრებმა დაიკავეს, თემის ღვთაებები ქრისტიანულმა წმინდანებმა შეცვალეს და მათთან დაკავშირებული რიტუალიც ქრისტიანულმა მოძღვრებამ შეარყია.

მთის რაჭის თემურ სამლოცველოებში ქრისტიანული წმინდანები უკვე დასადგურებულიან. აქ განსაკუთრებით თაყვანსა სცემენ წმ. გორგის, რომლის კულტი ჩვენში ერთობ გაბატონებულია.

ამგვარ სამლოცველოთა შორის აქ აღსანიშნავია შეხლის წმ. გორგი, რომელიც მდებარეობს სოფ. გლოლიდან ორი ვერსის მანძილზე პატარა ღელა ილინესთან. ამ სამლოცველოს უჭირავს დიდი და გაშლილი, საუცხოო ლამაზი მინდორი, რომელიც დაბურულია ხატის წმ. ნიძენარით. მთელი ეს მიღამო ხელუხლებელია, სადაც ხის პატარა ტოტის მოჭრაც სასტიკად აკრძალულია. ამ წმ. ტყეში

აშენებულია შხელის წმ. გიორგის ხის სამლოცველო, რომლი  
კედლები დაჭრელებულია სვასტიკებით და სხვადასხვა სიმბოლოებით  
სახეებით. შიგ სამლოცველო სავსეა ჯიხვის, არჩვის, ირმის, ზარის  
და სხვა ცხოველების რქებით. თაროებზე ყრია ხის საღვინეები,  
ყანწები და სხვა სახმარი ჭურჭელი, რომლებსაც მეხატენი აქ სა-  
განვებოდ ინახავენ.

შხელში ხატობა ორჯერ იმართება, ერთი მაისში — წარმარ-  
თულ-თემური ხასიათის „ათანიგენა“ და მეორე 10 ნოემბერს —  
გიორგობა.

ათანიგენობას<sup>1</sup> აქ გლოლელები დღესასწაულობენ, სადაც მთე-  
ლი სოფლის თემი თავს იყრის განატეხებით, ღვინით, და საკლავე-  
ბით. ათანიგენობას თემის უხუცესი ღვთაებას შესთხოვდა თემის.  
გაძლიერებას და წარმატებას. ვისაც შხელისადმი რაიმე დაპირება  
იქნება შეთქმული, ის აქ ასრულებს სხვადასხვა რიტუალს, როგო-  
რიცაა მაგალითად, ფეხშიშველი და მუხლმოყრით მის გარშემო  
რამდენჯერმე შემოვლა, ბამბის ძაფის შემორტყმა და სხვ.

გიორგობას კი შხელში თავს იყრიან რაჭის სხვადასხვა კუთხის  
მეხატენი. აქვე მოჰყავთ თვალით სნეულები და შესთხოვენ შხელის  
წმ. გიორგის განკურნებას.

შხელის სალოცავთან ქალებს ახლოს არ უშვებენ, არც ცხენო-

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ეს სალოცავი მთიულეთ-ხევსურეთშიაც ცნობილია „ათენეგენობას“ სახელით, რომელსაც აგრეთვე თემობასაც უწოდებენ. ათენე-  
ენობას ხევსურეთში მკათათვეში დღესასწაულობენ, განსაუთრებით ხახმატში და  
გუდანში, სადაც თავს იყრიან ხევსურეთის ყველა საგვარეულოს წარმომადგე-  
ნელნი და ხატს თემის გაძლიერებას შესთხოვენ.

რაც შეეხება თვით სახელწოდება „ათანიგენა“ ან „ათენეგენობა“-ს წარმოშო-  
ბას, შესაძლებელია, ის წარმომდგარიყოს თემის მარადისობის მნიშვნელობით —  
ბერძნული ორი სიტყვისაგან „ანათოს“ — უკვდავი და „გენო“-ს — თემი, რასაც  
ეს სალოცავის მნიშვნელობა და რიტუალიც მოწმობენ. მაგრამ ამასთანავე ისიც  
შესაძლებელია ვითიქროთ, რომ ის დაკავშირებული იყოს ქართულ ღვთაება  
„ათარ“ — „ანათარ“-თან, ან „ანატორთან“ (სურ. მაკალათია, ღვთაება მითრას  
კულტი საქართველოში, საქ. მუზ. მოამბე, ტ. III, 1927 წ., გვ. 185). მა ხევ-  
სურულ ანატორს პროფ. ივ. ჯავახიშვილი ბერძნულ „აპატურიას“ შესატყვევის  
ღვთაებად თვლის, რომელიც ბერძნული თემების ღვთაებად ითვლებოდა და  
რომლის განთქმული სამლოცველოც შევი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე  
შოთაში (იხ. მისი ქართველი ერის ისტორია, ტ. I, ტფილ., 1928 წ.,  
გვ. 73—79).




შეელის წმ. გორგა

სანს შეუძლია მის მინდორზე გავლა, რაღვანაც მას შეელის წმ. გორგი იქვე მოჰკლიავსო. ამიტომ ცხენოსანი დღესაც იძულებულია ეს წმინდა ადგილი ფეხით გაიაროს! <sup>1</sup>

შემდეგ ოლსანიშნავია აგრეთვე შვილიერობისა და დედათა სქესის მფარველი „დედალვთისა“, რომელიც წარმოადგენს სვანური ტიპის მაღალ კოშკს და მდებარეობს სოფ. ლების სამხრეთით, რიონის გაღმა. ამ გორაკზე წინათ ქართული სტილის ტიბარი ყოფილა, რომელიც შეკეთების დროს დანგრეულა და მის ნაცვლად ეს კოშკი გამოუყენებით სამლოცველოდ.

„დედალვთისა“ წარმოადგენს სამსართულიან კოშკს, რომელიც

<sup>1</sup> ხალხური გადმოცემით, შეელის სამლოცველო ძველად მდიდარი ყოფილ ტერიტორია ხატებით და ნიეთებით, მაგრამ დამუშავოთ და გამდნარი ოქროსა და ვერცხლისაგან მთელი ტბა დამდგარა. მისი გვარი თავთში გახიზნულა და დღესაც აქ არის (Граф. Уварова, Кавказ, путевые заметки, часть III, Москва, 1904, გვ. 19).



10 0 10 20 30 40 50

### შეღლის ორნამენტი

დაფარულია არყის ხეებით. აქვე დარჩენილია ძველი შენობათა ნანგრევებიც. ამ კოშკის ქვედა სართული დღეს გამოყენებულია დედალვთისას სამლოცველოდ, საღაც დაცულია ფაბრიკული ხატები, ცხოველის რქები. თითისტარები და ხატის შარნები.

დედალვთისობას დღესასწაულობენ აღდგომის მესამე კვირას. ამ დღეს ოჯახის დიასახლისი ბამბის ძაფზე აასხამს ფერად მმივებს, შარნებად წოდებულს, ჩამოჭკიდებს ავრეთვე ფერად ნაჭრებს „დედალვთისას საბურავს“ და ნემსებსაც შიგ და შიგ გაუყრის. ამ შარნას დიასახლისი ბოშებს (გოგოებს) შემოავლებს ამ სიტყვებით „დედალვთისა წყალობა გექნა საბური მიმართებსო“ და თან დედალვთისას ევედრება მათ იღბლიანობას.

შემდეგ ამ შარნებით, განატეხებით და ღვინით ქალები მიღიან დედალვთისას კოშკში და იქ იმართება ვედრება სხვადასხვა რიტუალის შესრულებით. უშვილო ქალები დედალვთისას შველას შესთხოვენ, უვაჟონი — გაუიანობას, ორსულები კი მშვიდობიან მოლოგინებაზე ევედრებიან. ამავე დროს, ვისაც შეპირებული აქვს, ის ამ კოშკს გარს უვლის ორივე ხელის თითებზე ანთებული სანთლებით. ზოგი ამ კოშკს ხელში თითის ტარით შემოუვლის და მას რამდენიმე წყება ბამბის ძაფს შემოარტყამს, რასაც „სარტყლის შემორტყმა“ ეწოდება. დასასრულ, ამ თითისტარებს კოშკის კედლებში არჭობენ და ეს დიდი კოშკიც მთლიად დალურსმულია იმგვარი ტარებით. შარნებს შიგ სამლოცველოში ჩამოჭკიდებენ. ხალ-

ხის რწმენით ამ შარნიდან მოხსნილი მძივი შველის თვალნაჭრაში „შეშინებულს“ და თვალით სხეულს, ამიტომ შემდეგ სამაგიერო და სამართლებრივი ინსტიტუტები ამ მძივებს და ავადმყოფს გულზე პკიდებენ, სამაგიერო და სამართლებრივი ინსტიტუტები ამ მძივებს და ავადმყოფს გულზე პკიდებენ.

საყურადღებოა აგრეთვე თავისი მკურნალობით აქ ცნობილი ქვე-ქვაბი“. ეს ქვე-ქვაბი არსებობს გლოლაში და წარმოადგენს ერთ უზრამაზარ ქვა-კლდეს, რომელიც ბოყოს წყალს გადასცემის სამლოცველოს თავზე დვას ნაძვის დიდი ხე. მისი ძირის სიღრმეში მოთავსებულია რიტუალური შარნებით შემკული ხის კვარი. ამ ქვე-ქვაბში ყველა კუთხიდან მოჰყავთ სიყვითლით სნეულები, საღაც ღამეს უთევენ და გლოლის „ორთა გორთა“ წმინდანებს ავადმყოფის განკურნებას შესთხოვენ. ხალხის რწმენით და ოქმით, გაყვითლებულ ავადმყოფს აქ თურმე ძილი მოსდის და სიყვითლისაგან იკურნებათ. ამიტომ ცრუმორშმუნე გლეხობაც ქვე-ქვაბის ხშირი სტუმარია, რომლის ქვეშ ისინი ციც ღამეებს ათენებენ, ციცდებიან და მორჩენის ნაცვლად უფრო სნეულდებიან.

რაც შეეხება ქრისტიანულ ძეგლებს, მთის რაჭა შედარებით ღარიბია. ამ მხრივ საყურადღებოა სოფ. გლოლა, საღაც ბოყოსა და ჭანჭახის წყლის შუა აღმართულია ერთი ბორცვი „ზეთქალაქად“ წოდებული, რომლის მწევრეალიდან დღესაც ვაღმოიყოფებიან ძველი ეკლესიისა და მისი ციხე-გალავნის ნანგრევები<sup>1</sup>. ამ ეკლესიის მხოლოდ სამი კედელია დაცული და ხალხური გადმოცემით ის აშენებული ყოფილა თამარ მეფის მიერ მიქელ-გაბრიელის სახელობაზე. ამ მიქელ-გაბრიელის ეკლესიის ნანგრევზე გლოლელები“ „გვარობას“ იხდიან. აქ წესად აქვთ, თუ ოჯახში ვინგე მძიმე ავად გახდება, მას უღელ ხარს შემოავლებენ და ამ ხარებს მიქელ-გაბრიელის ნანგრევზე იყვანენ. ავადმყოფის პატრონს თითქმის მთელი სოფელი აყვება და აქ ყეველანი მუხლმოყრით ვვედრებიან მიქელ-გაბრიელს ავადმყოფის განკურნებას, რასაც აქ გვარობას უწოდებენ. თუ გვარობის შემდეგ ავადმყოფი განიკურნა, ერთ ხარს, მაღლობის ნიშნად, დაკლავენ და ხორცის სოფელს გაუნაწილებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხარს ამუშავებენ.

<sup>1</sup> Dubois de Montpêreux, op. cit. Том II, გვ. 421—424; Граф. Уварова, op. cit. том III, გვ. 17—18.

ამავე ზედქალაქის პორცეზე პშენებულია ავრეთვე წმ. გორგა  
გის სახელობის პატარა ბაზილიკა, რომლის აშენებასაც თამარიშვილი  
ფეს შიაშერენ. იქვე არის სოფლის სასაფლაოც. წმ. გორგაშვილის  
პატარა ბაზილიკა თლილი ქვითაა ნაშენი, სრულიად სადა და უორ-  
ნამენტო. შიგ ეკლესია დღეს ცარიელია, დარჩენილია მხოლოდ  
ქვის ტრაპეზი.

ეკლესია მოხატულია ლამაზი ფრესკებით, რომლის უმეტესი ნა-  
წილი დაზიანებულია და დღითიდლე ქრება. ვაზეთ „ივერიის“  
ფურცლებზე (1902 წ. № 177). ე. ვაშვიძე აღნიშნავდა რა კლო-  
ლის ამ წმ. გორგის ეკლესიის მაღალხარისხოვან მხატვრულობას,  
სხვათა შორის უჩვენებდა აქ დაცულ თამარ მეფის შესანიშნავ ვა-  
მოხატულებაზე. დღეს თამარის სახეს ამ ეკლესიაში ვერ იპოვით,  
შესაძლებელია, მისი სახე სხვა ფრესკებთან ერთად ჩამონაჟონმა  
წყალმა წალეკა.

უნდა აღნიშნოთ, რომ მთის რაჭა საზოგადოდ ლარიბია ფრეს-  
კოვანი ძეგლებით და გლოლის ეს პატარა ეკლესია ამ კუთხეში  
ერთადერთი ძეგლია, რომელიც მართლაც შემქულია მაღალხარის-  
ხოვანი მხატვრული ფრესკებით: მხოლოდ საჭიროა აღნიშნული  
ფრესკების გაღმოღება და ავრეთვე მათი აღვილობრივად გამაგ-  
რება.

გლოლის ამ ეკლესიის აღმოსავლეთის კედლის თავზე გამოსა-  
ხულია „ვედრება“, რომლის ქვეშ მოთავსებული მახარობლის  
მკერდის გასწვრივ დაცულია ასომთავრული წარწერა, რომელიც  
ზოგიერთი შეცდომით გადმოღებული და წაყითხული იქვს მ. ბრო-  
სეს: „უფალო ქრისტე, იქონიე მოწყალება, შენ  
რომელი ხარ მოწყალე ჩემდა მახარობელისა,  
ცოდვილისა, როგორც მათის, რომლებმაც შენ  
გვარს გაცვეს, სუმვარელისა (ან სუმვარს) ძი-  
სა დვალისა. თქვენც ვინც წაიკითხოთ,  
ესე შენდობა ბრძანეთ და თქვენც შენდობილი  
იქნებით. უფალო, ვაუმარჯვე იოანეს, დავი-  
თიანთ ოკანს“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique, ST. Petersburg, 1851,  
Douzime rapport, Jméréthi—Radcha et retour, 83, 76—77.



ପ୍ରେସରି ଓ ଟାଇପିଂ

ამავე წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ: „ქრისტე, ღრმა  
თო, შე მი წყალი მე მახარობდელი ცოდნაში გამოიყენდეთ  
კვარისმცოდნელი სუმვარს დავითის ძეინ“.

ვინც წარიკითხო, ბრძანოთ შენდობა, შენცა,  
შენც შეგინდოს ღმერთმაღმერთო, გაუმარჯვე  
შე დავითეთ“.

თუ ვინ უნდა იყოს ეს მახარებელი ცოდვილი, იმის გარევევა  
წარწერის უთარილობის გამო გერვერობით ძნელია. მავრამ ეს წარწერა  
დამწერლობის ნიშნების მიხედვით XVII საუკუნეზე უგვი-  
ანესი არ უნდა იყოს. იმს სხვათაშორის ისიც მოწმობს, რომ სა-  
ხელი მახარებელი იმ საუკუნის მანძილზე ხშირად გვხვდება. მა-  
გალითად, კვრის მონასტრის იღაბებში, იქ სადაც იწყება XVII  
საუკ. იმერეთის მეფეების და დიდებულების მოსახსენიებელი,  
ხშირად გვხვდება სახელი მახარებელი და სხვათა შორის „ზებედე  
მღვდელ-მონაზონი მახარებელ ყოფილი“ და სხვ.<sup>1</sup>. გლოლის საყდ-  
რის თაღზე შერჩენილია და შედარებით კარგად არის დაცული  
თორმეტი დღესასწაულის ფრესკები. იატაზე ყრია ხატისაღმი  
შეჭირული ნივთები: ცხოველის რქები, ჰურპელი, ფერადი ნაჭ-  
რებისაგან შემდგარი დროშები და სხვ. ეს დროშები სურტანიშვი-  
ლების საგვარეულოს ეკუთვნის. ამ საგვარეულოს აღთქმა აქვს  
დადებული, ოჯახს რამდენი ვაჟი შეეძინება, იმდენი ასეთი ახა-  
ლი დროშა გლოლის იმ წმ. გოორგის მიართვა.

აქური სურტანიშვილები თავიანთ თავს სულთანის ჩამომავ-  
ლად თვლიან. ხალხური გადმოცემით მათ წინაპარს ოსმალეთში  
რაღაც ცოდვა ჩაუდენია, გამოქცეულა და გლოლაში დასახლებუ-  
ლა. ექ ის გაქრისტიანებულა და მაღლობის ნიშნად წმ. გიორგი-  
სათვის ვაჟის შეძენისთვალე იმგვარი დროშის შეჭირვა აღუთვევამს. აღდგომა ღამეს ცისქის დაწყებამდე წინათ სურტანიშვილების  
ყველა მამაკაცი „ზედქალაქის“ ბორცვზე აღიოდა, წმ. გიორგის  
ეკლესიიდან გამოპქონდათ თავიანთი ეს პრელი დროშები და „კი-  
რიელებისონის“ გალობით მას ლიტონიას შემოუვლილნენ. შემდეგ  
გვარის უბრცესი აქედან სოფელს გამომსახებდა „ქრისტე აღსდ-

<sup>1</sup> ნ. მარი, ღლაპნი, ჭარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, სანქ-პეტერ-  
ბურგი, 1914 წ., გვ. 14, 36.


გაო". სოფელიც დგებოდა და იშვებოდა სააღდგომო დაწუმაზე  
ულა.

სოფ. ლებიდან ხუთიოდე ვერსის მანძილზე კირტიშოს შეპირულებუ-  
ლად არის მთავარანგელოზის სახელობის პატარა ეკლესია. ეკლე-  
სია დაბურულია ხატის ტყით, რომელსაც ზედ დასცემის კირტი-  
შის თოვლიანი მშვერვალი. ეს ბაზილიკა ნაშენია თლილი ქვით და  
შიგ და გარეთ შეთეთრებულია. შიგ არავითარი სიძველე არ მო-  
იპოვება, გარდა რუსული ფაბრიკული ხატებისა და ცხოველების  
რქებისა. ეკლესიას აქვს ერთი პატარა დარკინული შესავალი კარი.  
მთავარანგელოზის ამ ეკლესიაში ახალ კვირეს გობეჭიშეიღების  
გვარი საღმრთოს იხდის, სადაც ამ ახლო წარსულში იმართებოდა  
ლაპის თევა, ლოცვა-ველრება და სხვ. -

გობეჭიშვილების ამ საღმრთოს ესწრებოდნენ სხვა საგვარე-  
ულოებიდანაც, კომლზე ორი კაცი. საღმრთოსათვის საჭირო სა-  
ნოეაგეს და საკლავებს საგვარეულო იძენდა და მთავარანგელოზი  
წინდაწინ აგზავნიდა. ლებში წირვის გადახდის შემდეგ უხუცესების  
წინამდობით გობეჭიშვილები მთავარანგელოზში მიემგზავრე-  
ბოდნენ. აქ გვარი იხდიდა ვედრებას და ხატს შესთხოვდა გობე-  
ჭიშვილების გამრავლება-გაძლიერებას. შემდეგ გვარის მიერ არჩე-  
ული უხუცესი შეუდგებოდა ვაჟის „სალოცურის“ და მიცვალებუ-  
ლების შესანდობარის მიღების.

ვისაც ამ წელში ვაჟი ჰყავდა შეძენილი, მოდიოდა ამ უხუ-  
ცესთან, გადასცემდა ფულს და ეტყოდა, ვაჟიანობა დამილოცეო.  
უხუცესი იღებდა შემოწირულებას, მოიხსენიებდა ვაჟის სახელს და  
მას საჯაროდ დალოცავდა. მეხატენიც შესძახებდნენ: „გაიზირდოს,  
იღბლიანი კაცი უოფილიყოსო“. შემდეგ მასთან მიცვალებულის  
პატრიონი მიღიოდა და ეტყოდა: „შენდობა მიეცით ჩემს მიცვალე-  
ბულსაო“. ისიც წარმოთქვამდა გრძელ შესანდობარს და ხალხიც  
იტყოდა: შეუნდოს ღმერთმან შენაცოდარით<sup>1</sup> და აქვე მის შესან-  
დობარსა სვამდნენ. დასასრულ იმართებოდა საზოგადო პურიბა  
დიდის მოლხენით, ცხენების ჭირითით და სხვა გასართობებით.

<sup>1</sup> მთავარანგელოზის ეს სალოცვი თავისი რიტუალით და დანიშნულებით წა-  
ავის სოფ. სორქში ასევე ულ „ნაციხეურობას“ (იხ. H. მინდელი, სილ. სორ-  
ცხოვ. მათ. გვ. 126—127).



### გლოლის მალესის ფრესკა

ემ საღმრთოს გობეჭიშვილები დღესაც იხდიან, მაგრამ ნაკლები რწმენით და სიცხოვლით, რომელიც უკვე მოკლებულია პირვანდელ გაგებას და მნიშვნელობას. რაც შეეხება საეკლესიო სიძელეებს, ამ მხრივაც მთის რაჭა ღარიბია, სადაც მხოლოდ სოფ. ოქბის მაცხოვრის სახელობის ეკლესიაშია დაცული ათიოდე ძველი ხატ-გვარი. მათ შორის თავისი მაღალი ხელოვნებით ცნობილია მთავარანგელოზის ორი დიდი ხატი, რომელიც შემკულია ოქროთი დაფერილი ეკრცხლის ლამაზი ორნამენტიანი არშიით. ჩეენ იქ არ შევუდგებით მათ აღწერას, რაღანაც ოქბის ეს ხატ-გვარები აღწერილი და ფოტოგრაფიულადაც გადაღებული აქვეს გრაფ. უკაროვას<sup>1</sup>, მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ზოგი-

1 Уварова, Материалы по археологии Кавказа, том IV, гл. 109, 117, таб. XLI, XLII.

ერთი შეცდომა, რომელიც განსვენებულ ბროსეს მოსვლის გარანგელობის ამ ორი ხატის ასომთავრული წარწერების კონცეფცია ღებისა და წაკითხვის დროს.

პირველი ამ ხატთაგანი, ზომით 1,31 0,75 მეტ. მ. ბროსეს მოხსენებული აქვს წმ. გოორგის ხატიდ<sup>1</sup>, რაც აშკარა შეცდომაა. ამ ამ ხატზე გამოხატულია ფრთოსანი მთავარანგელობი, რომლის ქვემო არშიაზე მოთავსებულია ლამაზი ამობურცული ასომთავრული წარწერა. სამწუხაროდ, ამ წარწერას თავი და ბოლო ყვლია და ასე იკითხება: „...მეობ ექმენ წინაშე (შემდევ რვა ასოს აზრი ძნელი გასარკვევია)... გარაყანისძესა მჩქელს და ფურთუხს და ჩვანეს და ძეთა მათთ დღესა მას განკვეთხვესას რო...“

მეორე მთავარანგელობისავე ხატი, ზომით 1,22 0,70 მეტ. ქვემო არშიაზე აქვს ამობურცული წარწერა, რომელიც ზოგიერთი შეცდომით წაჟითხული აქვს მ. ბროსეს<sup>2</sup>. ჩვენ მას ასე ვკითხულობთ: ... ა ძალთა უხორცოთა ერის მთავარო, გაბრიელ, მეობ ექმენ წინაშე ღვთისა მიქელს და ფურთუხს და ივანეს გარაყანიძეთა და შვილთა მათთა დღესა მას განკვეთხვისას“.

ამ ორივე ხატის წარწერა უთარილოა და ამიტომ ძნელია მათი ხნოვანების განსაზღვრა, მაგრამ ჭელვითი ხელოვნებისა და წარწერის პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით შესაძლებელია ორივე ეს ხატი მივაკუთვნოთ XIII—XIV საუკ. მზოლოდ რაც შეეხება წარწერაში აღნიშნულ ფურთუხ გარაყანისძის ვინაობის გარკვევის, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის გარდა ამ წარწერისა ორგერაა მოხსენიებული აგრეთვე ჯვრის მონასტრის აღაპებში, საიდანაც ირკვევა, რომ ფურთუხ ან ფორთოხ ყოფილი შვილი მავარ გარაყანისძისა და სიძე ბერქენ მანდატურთუხუცესის ვარდანის ძისა. ფურთუხის მეულლეს ხათუთა რქმევია<sup>3</sup>.

მაგრამ ეს ბერქენ მანდატურთუხუცესი ქართულ საისტორიო წყაროებში ჯერჯერობით უცნობია, რომ მისი ცხოვრების დროის

1. M. Brosset, op. cit. გვ. 72-73.

2. M. Brosset, op. cit., გვ. 73.

3. ნ. მარი, op. cit., გვ. 14 § 58; გვ. 36, § 138.



მიხედვით შესაძლებელი იყოს ლების ამ ორივე ხატის დათარიღება. სახელი ბეშქენი ჩვენში საზოგადოდ გავრცელებულია და განსაკუთრებით ჯაყელთა საგვარეულოში, რომელ საგვარეულო-საც გიორგი ბრწყინვალემ 1320 წლიდან ათაბაგობა უბოდა.

ამასთანავე, ათაბაგები ხშირად მანდატურთუხუცესობასაც ატარებდნენ. ამიტომ შესაძლებელია ვითიქროთ, რომ ფურთუხ გარაყანისძის სიმამრი ბეშქენ ვარდანისძე სამცხის ერთ-ერთი ათაბაგის ოჯახის წევრთაგანი ყოფილიყო, რომელსაც XIV საუკ. მიზნა-ზე ეცხოვდა. სარგის კავაბაძის გამოკვლევით კი 1325—1350 წწ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ს. კავაბაძე, აფხაზეთის სამეფოს მანდატურთუხუცესი შე-XIV საუკნე-ში, წერილი შტუდიები, ტფილისი, 1914 წ., გვ. 7—11.

## ბ 0 ბ ლ ი მ გ რ ა ფ ი ა

1. ვახუშტი — საქართველოს გეოგრაფია, ტფილისი, 1904 წ., გვ. 281—288.
2. დათვიძე ხ. — ფახის მთა და რაონის ხათავე, გაზ. „ივერია“, 1890 წ., № 160.
3. ღებელი ხ. — ხოფ. ღების მექატონიკური არიშიძენი და მათი ამოწყვეტა, გაზ. „ივერია“, 1890 წ., № 251.
4. ღებელი ხ. — მთის რაჭა (აკვანში დანიშვნა ხასძლო-ხასიძო ყმაწვილებისა), გაზ. „ივერია“, 1904 წ. № 121.
5. ვაჟაპეგე ე. — ღების, ჭიორას და გლოდას ზე-ჩვეულებანი, გაზ. „ივერია“, 1902 წ., № 177.
6. იალიმი ღებელებისა და სვანებს შუა (ხ. ღებში ჩაწერილი ხ. ბ-ძის მიერ), გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ., № 194.
7. ოსების თავდასხმა ღებელებზე, ბასილა ლიბჯანიძის ნათქვამი, გაზ. „კოლხიდა“, 1911, 4., № 189.
8. პროფ. ჯავახიშვილი ალ. — საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, გეომორფოლოგია, ტფილისი, 1926 წ., გვ. 50—64.
9. ღეგავა შ. — აგარაკი შოვი, ტფილისი, 1928 წ.
10. Акад. Гильденштедт И. А. — Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, СПБ. 1809 г. 289—294.
11. Маркович В. В. — О поездке к истокам Ардона и Риона (Труды Юрьев. Ботанич. сада, II, 1901 г.).
12. Срединский И. К. — Очерк растительности Рион-

<sup>1</sup> ლატერატურა მთის რაჭაზე მცირება. ეს კუთხე საელიალური შესწავლის საგანი ვერ იქ ყოფილა. მას შესახებ მოკლე ცნობები ვაჟაპეტულია ქართულ-რუსულ პერიოდულ გამოცემებში, მოგზაურთა წერილებში და ზოგჯერთ მეცნიერულ გამოკლევაში.

- ского бассейна (Зап. Новоров. о-ва. Ест. т. II, 1874 г.).
13. Смирнов Г. — Геологическое описание части Рачинского уезда Кут. губ. (Мат. по геологии Кавказа, сер. III, кн. 7, 1908 г.).
  14. Кошин А. — Описание минеральных источников зап. Кавказа (Мат. по геол. Кавказа, сер. 2-ая, кн. 8-ая, Тиф. 1894 г. № 218—221).
  15. Симонович С. — Геологическое наблюдение верхов. р. Риона (Мат. по геол. Кавказа, кн. 9-ая, Тиф. 1880 г.).
  16. Бахтадзе И. Л. — Экономич. быт. государствен. крестьян Рачинского уезда, Кут. губ. (Материалы для изучения экономич. быта государствен. крестьян Закавказского края, т. II, часть I, Тиф. 1886 г.).
  17. Майсурадзе Л. — Гебское сельское общество, Сбор мат. для опис. местн. и племен Кавказа, вып. XXII, отд. II, № 214—215.
  18. Джапаридзе Г. — Народные праздн. обычай и поверья рачинцев, Сбор. Мат. вып. XXI, отд. II, № 107—150.
  19. Граф. Уварова — Материалы по археол. Кавказа, т. IV, № 109—117.
  20. Минделли Н. — Картвельский песни, Сбор. мат. для опис. местн. и племен Кавказа, вып. XIX, отд. II, № 124—140.
  21. Dubois de Montpèreux—Voyage autour du Caucase, Tom II, Paris, 1839, № 403—414.
  22. Brosset M.—Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et l' Arménie St.—Petersburg 1851, „Douzième rapport Iméreth—Radcha, et retour“, № 76—77.

## ପ୍ରତିକାଳିକାଙ୍କ୍ଷା

ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତିକ	3
ଫର୍ମାର୍ଟ୍‌ରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା	7
ବୋଲ୍ଦା ଏବଂ ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା-ବସନ୍ତରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା ମନୋରୁଦ୍ଧାନ୍ତା	11
ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା ଏବଂ ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା	41
ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା ଏବଂ ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା	48
ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା ଏବଂ ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା	55
ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା ଏବଂ ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା	62
ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା ଏବଂ ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା	71
ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା ଏବଂ ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା	86
ବୋଲ୍ଦାର୍ଥିଗାନିରୁଦ୍ଧାନ୍ତାଙ୍କା	98

V

ს. ბ. № 2061

გამომცემლობის რედაქტორი მარინე სოხაძე  
გრაფიკული გაფორმება კ. თევზაძის  
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე  
ტექნიკური რედაქტორი ზ. დონდუა  
კონტრ.-კორექტორი ლ. სულთანიშვილი  
კორექტორი მ. სიმონიშვილი  
გამომშვები ნ. კაკაშვილი

გადაეცა ასაწყობად 27.03.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.09.87.  
ქაღალდის ზომა  $60 \times 84^1/16$ . გარნიტური კენ. ბეჭდვა მაღალი.  
პირობითი ნაბეჭდი თაბაზი  $6,04+4$  გვ. ჩას. საბ. ქაღალდი № 1.  
სალებავგარება 7,17. საალრ.-საგამომცემლო თაბაზი 5,01.  
ტრაქი 20.000. შეკვ. № 312  
ფასი 30 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მშვიდობის გამზ. № 28  
Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира № 28

გ 181 „მთის რაჭა“. — მიორი გამოცემა, თბ., „ნაკადული“, 1987 წ. — გვ. 104

„მთის რაჭა“ სერგი მაკალათიაშ პირველად 1930 წელს გამოაქვეყნა. ამჟამად განმეორებით გამოდის საქართველოს კუთხეების ყოფა-ცხოვრების ამსახველი მონოგრაფიების ციკლში.

70803 — 133

М —————— 126 — 87

М-603 (08) — 87

Макалатия Серги Иосифович

ГОРНАЯ РАЧА

(На грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули», Тбилиси, 1987

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის  
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდევითი სიტყვის  
კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР  
по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тби-  
лиси, ул. Марджанишвили, 5.

7.8.

